ბიბლიოთეკა

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 071 (12 446) 26 მარტი ოთხშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



## შოთა არველაძე ალკმაარში იმუშავებს?

ინტერვიუ »» 5

## ინტერი რონალდინიოსთვის იბრძვის

მანჩინი ბეწვზე გადარჩა »» 8-9



# ქეცბაია არ მჭირდება

ხიზანიშვილთან ყველაფერი მოგვარებულია, მაგრამ მაინც ვერ ითამაშებს, მუჯირს სიცხე აქვს

ინტერვიუ კლაუს ტოპმიოლერთან

»» 3



დღეს, ჩრ. ირლანდია-საქართველო, საზოგადოებრივ მაუწყებელზე, 23:45

## ცინცაძის ვარსკვლავი



გუშინ კვიპროსის ქალაქ ლიმასოლში გაიმართა ევროთასის "ოლ სტარი", რომელშიც ევროპის ნაკრებმა ბოლო წამებზე დათმო მსოფლიოს კრებულთან - 116:118. საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი **გიორგი ცინცაძე** ევროპის ნაკრების სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა. მან მოედანზე 9 წუთი გაატარა, ერთი სამქულიანიდან, ორი ორქულიანიდან თითო გამოიყენა და საბოლოოდ 5 ქულა, 3 შედეგიანი გადაცემა და 1 მოხსნა მიითვალა. გიორგი ცინცაძისთვის ეს 2008 წელს მეორე "ოლ სტარი" იყო. 2 თებერვალს მან ბალტიის ლიგის ვარსკვლავთა მატჩში მიიღო მონაწილეობა და ლეგიონერთა ნაკრების მაისურით 6 ქულა ჩააგდო.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## სებრტის პიარ აქცია

# 4
# 0



საქართველო-ლატვია. ამხანაგური მატჩი »» 2

# რუსებმა ბარაბაძე უგუნდოდ დატოვეს

## გაგიჟებული ვარ, განაცხადში ვერ შემიყვანეს

**გუშინ** რეზო ბარაბაძემ "ამერის" სტადიონი ბედნიერმა დატოვა. ქართველმა ახალგაზრდებმა ლატვიელები მისი მშვენიერი თამაშის წყალობითაც დაამარცხეს. რეზომ ბალტიისპირელებს პირველი ბურთი გაუტანა და საერთოდაც, ტანმაღალი, ათლეტური თავდამსხმელის წინააღმდეგ თამაში ძალიან გაუჭირდათ.

თუმცა მოედნიდან გასულს სიხარული არ დასცალდა. თავსატეხი გაუჩნდა, შესაძლოა, ნახევარი სეზონი უთამაშებელი დარჩეს.

როგორც შევიტყვეთ, გუშინ რუსეთში დასრულდა გუნდების განაცხადების მიღება, მახაჩყალის "ანჟიმ" კი რალაცნაირად "მოახერხა" და რეზო ბარაბაძე "თამაშგარედ" დატოვა - რეზო გუნდის განაცხადში არაა.

ეს მოულოდნელი ინფორმაცია თავად ფეხბურთელმა დაგვიდასტურა.

- მართლა ასეა, "ანჟიმ" განაცხადში ვერ შემიყვანა. ეს ამბავი ლატვიასთან თამაშის შემდეგ მითხრეს და გაგიჟებული ვარ. ვერ ვიჯერებ, რომ გუნდში სამი თვის ვარჯიშის შემდეგ, ეს ელემენტარული პრობლემა ვერ მოგვარდა. ანდა, რა პრობლემაა, ეს არის ორი წამის საქმე და ვერ ვხვდები, რა მოხდა.

**- მოდი, სიმართლე ვთქვათ, იქნებ, სამთვიანი მომზადების შემდეგ, ომარ თეთრაძემ შენს სამსახურზე უარი თქვა?**

- გამორიცხულია, ომარი და მამუკა ჯულელი თავად არიან გაგიჟებულები. ჯერ ერთი, პირველი ლიგა 27 მარტს იწყებოდა და ომარმა წინასწარ მითხრა, რომ ირკუტსკის "ზვეზდასთან" ძირითადში მაყენებდა. რომ არ ვჭირდებოდე, ძირითადში დამაყენებდა? 18-კაციან განაცხადშიც არ შემიყვანდა.

**- იმედი საბოლოოდ გადაგეწურა?**

- განაცხადების მიღება 25 მარტის საღამოს რვა საათზე შეწყდა და ასე დამტოვეს. ვერაფერს ვხვდები, ძალიან აღელვებული ვარ. გერმანიიდან, იენის "კარლ ცაისიდან" გათავისუფლების ცნობას ველოდებოდი და არ ჩამოვიდაო.

**- რატომ?**

- გერმანიიდან გათავისუფლების ფურცელი დროულად ვერ გამოაგზავნესო... უფრო სწორედ, არ გამოაგზავნესო.

**- სამი თვეა "ანჟიში" ვარჯიშობ და ეს ელემენტარული საკითხი ბოლო დღეს გადასაწყვეტი გახდა?**

- არაფერი ვიცი. მეუბნებიან, თითქოს საკითხი გერმანელებმა გაწელეს. გუნდშიც თავს იმშვიდებდნენ და კინაღამ გავგიჟდი.

**- კონტრაქტი ხომ გააფორმე?**

- ოთხწლიანი გავაფორმე, თუმცა ისე შევადგინეთ, რომ "ანჟის" სასურველი წინადადების მიღების შემთხვევაში დავტოვებდი.

**- დაღესტნელებმა ფული გადაიხადეს?**

- კი, ესეც დიდი ხნის წინათ მოგვარდა.

**- ახლა რას აპირებ?**

- წარმოდგენა არ მაქვს. ახლა მე და გიორგი ნავალოვსკი მატარებელში ვართ და რუსეთში მივდივარ, არც ვიცი, რა შეიძლება შეიცვალოს. ტრანსფერები კი უკვე დაიკეტა.

**- უთამაშებლობას, დროებით საქართველოში თამაში არ გირჩევნია?**

- რატომაც არ მირჩევნია, მაგრამ ტრანსფერები საქართველოშიც რომ დაიკეტა? თუკი ფედერაცია თამაშის უფლებას მაინც დამრთავს, მაისამდე სიამოვნებით დავბრუნდები.

უინტერესო არ უნდა იყოს: მახაჩყალის "ანჟისთან" ერთად, რეზო ბარაბაძეს არანაკლებ საინტერესო წინადადებები ჰქონდა. კონტრაქტს სთავაზობდნენ მოსკოვის "ლოკომოტივი", რამენსკოეს "სატურნი" და სამარის "კრილია სოვეტოვი". რუსეთის ახალგაზრდული ნაკრებთან ჩატარებული შეხვედრისა და გატანილი ბურთის შემდეგ, მასზე მოთხოვნილება გაიზარდა.

და არა მარტო რუსეთში: დაინტერესდნენ შვეიცარიული "ბაზელი", დანიური "ვიბორგი" (სადაც **გიორგი ფოფხაძე** თამაშობს), პორტუგალიური "ბოავიშტა", **იოჰან ბოსკამპის** ბელგიური "დერდენი", მაგრამ ფეხბურთელმა, ერთი შეხედვით, პარადოქსული გადაწყვეტილება მიიღო.

თუმცა საქმე ცოტა სხვაგვარადაა. რეზომ საკუთარი შესაძლებლობები ობიექტურად შეაფასა და მიხვდა, რომ ამ კლუბების ძირითადში სათამაშოდ მზად არ იყო და რუსეთის პირველ ლიგაში თამაში გადაწყვიტა.

მას ომარ თეთრაძესთან მეტი გასაქანი, ნდობა და სათამაშო პრაქტიკა ექნებოდა. პირველ ლიგაში 44 ტური ტარდება და რეზოს 70 პროცენტს მაინც ათამაშებდნენ.

მწვრთნელის გარდა, "ანჟიში" სპორტული დირექტორიც (მამუკა ჯულელი) ქართველია და შვიდი ფეხბურთელიც.

ახლა კი, თუკი მართლა საოცრება არ მოხდა, რეზო "ანჟის" დატოვებს და კონტრაქტს გაწყვეტს.



ამ გაუგებარი ისტორიის დეტალებიც გავიგეთ: განაცხადში შესაყვანად, მახაჩყალური კლუბიდან "კარლ ცაისში" მოხოვნა უნდა გაეგზავნათ. ბარაბაძის ბედით დაინტერესებულმა ადამიანებმა იენურ კლუბში დარეკეს, სადაც უთხრეს, რომ მახაჩყალიდან მოთხოვნა არ მიულიათ და ეს იყო პირველი შოკი.

რეზოს გათავისუფლების ფურცლის ასლი კი **გოჩა თამაზაშვილს** გააჩნია, რომელიც თავის დროზე "თბილისს" ავარჯიშებდა. ანუ თავად დაღესტანში მოხდა დაუდევრობა და ახლა თეთრაძე და ჯულელი არიან გაუგებრობაში - საკუთარ კლუბში ასეთი დანაშაულებრივი დაუდევრობა ვისი მიზეზით მოხდა.

გუშინ სალამოს საქმეში ბარაბაძის ახლობლებიც ჩაერთვნენ და რუსეთის საფეხბურთო კავშირის სატრანსფერო განყოფილების უფროსს, **სერგეი კულიკოვს** დაუკავშირდნენ, მაგრამ გაჭირვებულს ქვა ალმართში დაეწია - კულიკოვი ბუქარესტში იმყოფებოდა და ქართველ მეგობრებს ვერაფრით დაეხმარა.

**მერაბ მამულაშვილი**

# სეგრტის პიარ აქცია

## ლატვიისთვის ჩვენ ვართ მაქცია



სახიფათო მომენტი ლატვიელთა კართან

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**საქართველო-ლატვია**

**4:0**

25.03. თბილისი. ამერი
1500 მაყურებელი

1:0 ბარაბაძე (10), 2:0 კლიმიაშვილი (26), 3:0 ნავალოვსკი (50 პ), 4:0 სმირნოვსი (78. ს. კ.)

საქართველო: ლორია (88. ალავიძე) - მჭედლიშვილი, სანაია, გვაძაბია (60. თომაშვილი), ნავალოვსკი (61. ელბაქიძე) - მერებაშვილი (82. ხაჭიპერაძე), ბჟალავა (82. ვანაძე), დაუშვილი, კლიმიაშვილი - დევდარიანი (68. ფანცხავა) - ბარაბაძე (82. ჩიმაკაძე)

ლატვია: მალინსი - შილაგაილისი, სმირნოვსი, გაბევსი, გაილუსი (ლაპესი 46) - ლაიზანსი, ლაზდიმსი, კოზლევსი, ზულევსი - გავრაჩსი (ლოკინოვსი 46), რუდნევსი

*სათადარიგოები: ვლასოვსი, ფერტოვსი, კრიაუკლისი, კოზანსი*

არბიტრი: ვ. ალიევი (აზერბაიჯანი)

**4.** გიორგი ნავალოვსკის შეცდომა ედგარას გავრაჩისმა ვერ შეირგო - არაზუსტად დაარტყა.

**8.** ნავალოვსკის კუთხურს ზურაბ გვაძაბიამ დაჰკრა თავური. ლატვიელთა მეკარემ კუთხურზე მოიგერია ბურთი.

**10.** 1:0 - გიორგი მერებაშვილის ჩაწოდებულს რევაზ ბარაბაძემ ლონიერი თავური მიაყოლა.

**26.** 2:0 - ირაკლი კლიმიაშვილმა საპირისპირო სვლაზე ჩამოიცილა მეურვე და თვრამეტიოდე მეტრიდან საშიში ძალით საგოლედ გაისროლა.

**37.** მერებაშვილმა ჩინებული პასი გაუჭრა ბარაბაძეს, ვინც ფაქტობრივად პირისპირ აღმოჩნდა მეკარესთან, მაგრამ დარტყმა გაუცუდდა.

**43.** არტიომ რუდნევსმა საშუალო დისტანციიდან ძლიერად კი დაარტყა, მაგრამ მიზანი ვერ გაასწორა.

**50.** 3:0 - მერებაშვილის მოპოვებული პენალტი ნავალოვსკიმ გაიტანა.

**51.** იგორ კოზლოვსის დარტყმა გიორგი ლორიამ მუშტებით მოიგერია.

**71.** მერებაშვილმა შორიდან სცადა გატანა - მალინსმა ბურთი კუთხურზე მოიგერია.

**74.** მერებაშვილმა მახვილი კუთხიდან დაარტყა და ისევ მალინსმა იყოჩაღა.

**78.** 4:0 - ფანცხავამ კარის გასწვრივ ჩააწოდა, ბარაბაძემ იმდენი ქნა, ვიტალის სმირნოვს საკუთარ კარში ჩააჭრევინა ბურთი.

**81.** კოზლოვსმა ჯარიმიდან ლორიას მუშტებს შეაწყვიტა ბურთი.

DANKE, PUBLIKUM! ასე მიმართა **პეტარ სეგრტმა** თავის ფეხბურთელებს მატჩის დასრულების შემდეგ - მოედანს ისე ნუ დატოვებთ, მაყურებელს მადლობა რომ არ გადაუხადოთო.

პიარ ელემენტები კარგად აუთვისებია სეგრტს, რომლის დამოძღვრილმა ქართველმა ახალგაზრდებმა გუშინ ბალტიელები გადაჯეგეს.

ჩვენი U 21 ძალიან შმაგი იყო, ბიჭები ერთმანეთს აგულიანებდნენ და არც სეგრტისგან აკლდათ გამხნევება-შეფუცხუნება.

ვერ გამოდგა ლატვია საინტერესო მეტოქე, თუმცა უამისოდაც ჩანდა, რა კონცეფციას ეყრდნობა ჩვენი ახალგაზრდობის დამრიგებელი - სეგრტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ხასიათს, ფეხბურთელების ფსიქოლოგიურად მომზადებას - ამ ბაზისზე აშენებს გუნდს.

სეგრტმა 4-4-1-1 აირჩია, ცენტრფორვარდი **რევაზ ბარაბაძე** სულ საჯარიმოში ან მის სიახლოვეს ტრიალებდა, მის უკან კი **დავით დევდარიანი** იყო, რომელსაც თანამედროვე ფორმაციის პლეიმეიკერობა უნდა გაეწია. დევდარიანმა გუშინ თავისი საკუთარი მატჩი ნამდვილად ვერ ითამაშა, თუმცა რამდენიმე ეპიზოდში დაიკვეხნა, რომ შეუძლია გახდეს საკმაოდ საინტერესო ათი ნომერი.

კარგად გაისარჯნენ ფლანგელები - **გიორგი მერებაშვილმა** და **ირაკლი კლიმიაშვილმა** მოედანზე ცეცხლი დაანთეს.

რაც შეეხება დაცვას, მხოლოდ **გიორგი ნავალოვსკი** ცდილობდა შეტევაში აქტიურობას. ისე ჩანდა, სეგრტმა თითქოს აუკრძალა დაცვას თამაშგარის ზღვარზე თამაში ანუ სეგრტმა უარი თქვა ავანტიურისტულ სტილზე და ამხანაგური თამაში უფრო შედეგისთვის გამოიყენა, ვიდრე ექსპერიმენტებისთვის.

რაც მთავარია, სეგრტის გუნდი გუნდს ჰგავდა, მობილიზებულ, კარგად კონცენტრირებულ კოლექტივს, რომელმაც გუშინ სუსტ მეტოქეს კი მოუგო, მაგრამ ეს გამარჯვება ალბათ ძალიან მნიშვნელოვანია ფეხბურთელებში თავდაჯერებულობის მომატებისთვის.

გუშინდელი მოგება ცხადია, აქტივში ეთვლება ნაკრებთა სამწვრთნელო შტაბსაც. გლდანში თამაშს ტრიბუნაზე თუ მერხებს მიღმა დაახლოებით ათასხუთასმა კაცმა უყურა და იქედან ნასიამოვნები წავიდა.

ალბათ არ ღირს ლატვიის ახალგაზრდების უნიათობით ჩვენი ნაკრების გაფერმკრთალება - ლამაზი გოლები, მსუყე ანგარიში და ტაში - იქნებ, ეს გაცილებით სერიოზული წარმატებების საწინდარი იყოს.

**დავით თავართქილაძე**

**მატჩის შემდეგ**

*პეტარ სეგრტი: "მართალია, სხვადასხვა მიზეზის გამო რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლდა, მაგრამ ამის მიუხედავად ჩვენმა გუნდმა მობილურად ითამაშა. მონდომებისა და სწორად თამაშის შედეგი სახეზეა. სწორედ გამიგეთ, ამაყი და ბედნიერი ვარ. ამ გამარჯვებას მთელ საქართველოს ვულოცავ. ჩვენ კიდევ ბევრჯერ გავახარებთ ქართველ ქომაგებს".*

*გიორგი მერებაშვილი: "ლატვიის ნაკრები კარგი გუნდია. რამდენადაც ვიცი, ლატვიელებმა შინ უნგრეთი დაამარცხეს და სერბეთთან სტუმრად ფრე ითამაშეს. ჩვენ მობილიზებისა და მონდომების ხარჯზე მოვიგეთ".*

*რევაზ ბარაბაძე: "ძალიან გახარებული და ბედნიერი ვარ. სწორად ვითამაშეთ. მონდომება არ გვაკლდა და მობილიზებულნი ვიყავით. ამ გამარჯვებას ნამდვილად ვიმსახურებდით".*

*ირაკლი კლიმიაშვილი: "როგორც გამოჩნდა პეტარ სეგრტმა სწორი ტაქტიკით გვათამაშა. ჩვენც მოვინდომეთ და მოვიგეთ. რაც შეეხება ჩემს მიერ გატანილ გოლს, ასეთი გოლები ადრეც გამიტანია. თუმცა ასეთები "ადიდასის" ბურთით უფრო ხშირად გადის. მატჩისწინა ვარჯიშზე ასეთ ჩახვეულ დარტყმაზე ვვარჯიშობდი და მართალი გითხრათ, ჩავიფიქრე კიდეც. მინდოდა, ასეთი გოლი გამეტანა".*

**დავით ცაბაძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გაზეთი ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი; მიმართულების რედაქტორები: მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი); გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი), შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: ნოდარ დუგლაძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური: ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.

მისამართი: 0159 თბილისი, ახმეტელის 10ა (დიღომი, ახალი კონსტუდია, I სართული); ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 46 32 62; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ინტერვიუ კლაუს ტოპმიოლერთან

# ქეცბაია არ მჭირდება

## პროგრამა მინიმუმი: კარგად უნდა ვითამაშოთ, არ უნდა წავაგოთ!

საქართველოს ნაკრებს დღეს ბელფასტში მორიგი გამოცდა ელის - ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები ხელწამოსაკრავი მეტოქე არ არის, რაც ამ გუნდმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში არაერთხელ დაამტკიცა. ჩვენი გუნდის თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი უკმაყოფილოა. უკმაყოფილების მიზეზი კი ისევ საკადრო პრობლემებია: ტოპის მიერ გამოძახებული შემადგენლობიდან 5 ფეხბურთელი (ასათიანი, გოგუა, სირაძე, კობიაშვილი, დემეტრაძე) ბელფასტში სხვადასხვა მიზეზის (ტრავმები, სავიზო პრობლემები) გამო საერთოდ არ ჩასულა. 3 ფეხბურთელის თამაში კი (მუჯირი, ხიზანიშვილი, ლობჟანიძე) დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა, უფრო სწორად, ფაქტობრივად, გამორიცხულია. ასე რომ, საქართველოს ნაკრები მორიგ ტესტ-მატჩსაც სერიოზული საკადრო პრობლემებით ხვდება. ტოპმიოლერს წუხელ ბელფასტში შევეხმიანეთ.



**- ჰერ ტოპმიოლერ, საკადრო პრობლემებს ამჯერადაც ვერ ავცდით. არაერთი ფეხბურთელი დაგაკლდათ და თქვენს განკარგულებაში მყოფთაგან რამდენიმეს თამაში საეჭვოა...**

- სამწუხაროდ, ასეა. ჩამოსულთაგან სამ ფეხბურთელს შეექმნა პრობლემები. დავით მუჯირს სიცხე აქვს და სასწაული უნდა მოხდეს, ხვალ თამაში რომ მოახერხოს. უფრო სწორად, მუმუს თამაში 99 პროცენტით გამორიცხულია. შედარებით უკეთესი შანსი აქვს ზურაბ ხიზანიშვილს, რომელსაც ასევე ტრავმა აწუხებს, მაგრამ ვშიშობ, რომ მოედანზე გასვლას ვერც ის შეძლებს. თითქმის გამორიცხულია ახალწვეულ უჩა ლობჟანიძის თამაშიც. ერთი სიტყვით, ამ თვალსაზრისით ისევ მძიმე სურათია. ტრავმა ფეხბურთის ნაწილია და ფეხბურთელის დაშავებას ვერასდროს გამორიცხავ, მაგრამ ის, რომ ფეხბურთელები სავიზო პრობლემების გამო ვერ გვეხმარებიან, თამამად შეიძლება ითქვას, რომ კატასტროფაა.

**- და კმაყოფილებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია...**

- ცხადია. ამდენი ფეხბურთელის გამოკლება უდიდესი პრობლემაა და თანაც, ასეთი რამ პირველად არ ხდება და უკვე მერამდენედ, ძალიან სულელურ მდგომარეობაში ვართ. თითქოს ტრავმიანობა საკმარისი არ იყოს, ახლა სხვა პრობლემამაც იჩინა თავი - სავიზო საკითხებს ვგულისხმობ. ეს უდიდესი დარტყმაა.

**- ხიზანიშვილს ესაუბრეთ? ადრეც ითქვა, რომ თქვენსა და ზურას შორის პირადი საუბარი შედგებოდა.**

- დიახ, ზურას გუშინ (ორშაბათს) პირისპირ ველაპარაკე და ჩვენი საუბარი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. მან თავისი სათქმელი თქვა, მე ჩემი ვუთხარი. გაუგებრობას ბოლო მოეღო, ყველაფერი მოგვარებულია. დარწმუნებული ვიყავი, რომ ასეც იქნებოდა.

**- საინტერესოა, რა გითხრათ ან თქვენ რა უთხარით?**

- საუბრის დეტალებზე, რა თქმა უნდა, არ ვილაპარაკებ. ხომ იცით, ასეთ საკითხებზე საჯაროდ საუბარი არ მჩვევია. რაც ითქვა, ეს მხოლოდ ჩვენი - ჩემი და ხიზანიშვილის საქმეა. მთავარი ის არის, რომ გაუგებრობა წარსულს ჩაბარდა.

**- როგორ აფასებთ თქვენი გუნდის შანსებს? შეგვიძლია ვიმედოვნოთ, რომ მიუხედავად საკადრო პრობლემებისა, საქართველოს ნაკრები ბელფასტში წარმატებას მიაღწევს?**

- ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩრდილოეთ ირლანდიამ საკუთარ მოედანზე დანია, შვედეთი და ესპანეთი დაამარცხა. ეს არის საკმაოდ ძლიერი გუნდი, რომელიც ჩვენთვის კარგი საზომი იქნება. ამ ტესტ მატჩს მომავალი შესარჩევი ციკლისთვის დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. მჯერა, რომ ჩემი გუნდი თავს კარგად წარმოაჩენს. ვგულისხმობ იმას, რომ მინიმუმ კარგი შედეგი ვაჩვენოთ, კარგად ვითამაშოთ.

**- ანუ, მინიმუმ არ წავაგოთ?**

- დიახ, პროგრამა მინიმუმი არწაგებაა.

**- საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ახალი კონტრაქტი ჯერ არ გაგიფორმებიათ. დიდი ხანია, ხელშეკრულების გარეშე მუშაობთ. არ ფიქრობთ, რომ ეს პრობლემაა?**

- ნოემბერში, როცა ძველ კონტრაქტს ვადა გასდიოდა, არცერთ მხარეს არ გამოუხატავს იმის სურვილი, რომ ხელშეკრულება განწყვეტილიყო - არც სფფ-ს და არც მე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კონტრაქტი ავტომატურად 2 წლით გაგრძელდა. ხელშეკრულების ვადა და პრინციპი თავიდანვე 4 წლიანი იყო და მე მაშინ ვთქვი, რომ ერთბაშად 4 წლიანი კონტრაქტის გაფორმება არ იყო მიზანშეწონილი. ეს იმიტომ გავაკეთე, რომ ორი წლის შემდეგ ორივე მხარეს ჰქონოდა გარიგებიდან გასვლის შანსი - მე მქონდა შესაძლებლობა, მეთქვა, რომ მუშაობის გაგრძელება აღარ მინდოდა, ხოლო ფედერაციას კი შეეძლო ეთქვა, რომ ჩემი დაქირავება აღარ სურდა. რაკი ეს არ მოხდა, მუშაობას ვაგრძელებ და არც ადვოკატი მჭირდება.

**- ცოტა ხნის წინათ სფფ-ის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა განაცხადა, რომ სამწვრთნელო შტაბში საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელის, თემურ ქეცბაიას მოწვევა იგეგმებოდა. ამაზე რა აზრის ხართ და რამდენად იცნობთ ქეცბაიას?**

- თემური დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო და ვიცი, რასაც ნიშნავს ის ქართული ფეხბურთისთვის. მაგრამ როცა მე სადმე სამუშაოდ მივდივარ, ყველგან ჩემი შტაბი მიმყავს, სადაც ის პიროვნებები შედიან, რომლებსაც კარგად ვიცნობ და რომლებთანაც დიდი ხნის განმავლობაში მიმუშავია. ესეც კონტრაქტის ერთ-ერთი პუნქტი გახლავთ.

გოტფრიდ ლენცი

# ბელფასტში ნაკრები ოცეულის იმედზეა

**დღეს საქართველოს ეროვნული გუნდი ბელფასტში ამხანაგურად გაეჯიბრება ჩრდილოეთშ ირლანდიის ნაკრებს. მატჩისწინა ვარჯიში გუშინ ჩვენებმა იქაური დროით რვა საათზე დაასრულეს და როცა ბელფასტში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთ ვიცე-პრეზიდენტ გოგი ქავთარაძეს დავურეკეთ, ჯერ ის ვკითხეთ, კლაუს ტოპმიოლერს სამწყსოში ყველაი ჯანმრთელად თუ ჰყავს.**

— შეიძლება ითქვას, ამ მხრივ დიდი პრობლემები არ არის. უჩა ლობჟანიძეს მიკროტრავმა აქვს. მცირე ტრავმა კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს აწუხებს.

**— ლობჟანიძის გარდა არავის თამაში არ არის სათუო?**

— დღეს ზურაბ ხიზანიშვილმა კი ივარჯიშა, მაგრამ საზარდული აწუხებს და ჯერ არ ვიცით, შეძლებს თუ არა თამაშს. ამაზე პასუხი მატჩის დღეს გვეცოდინება.

**— ხიზანიშვილის თამაში სათუო კიდევ იმიტომ იყო, რომ ინტერვიუში გვითხრა, ბელფასტში კი ჩავალ, მაგრამ სანამ არ ამიხსნიან, წინა შესარჩევის ბოლო მატჩში ლიტვასთან სასტარტოში რატომ არ დამაყენეს, ჩრდილოეთ ირლანდიასთან არ ვითამაშებო...**

— ხიზანიშვილმა და ტოპმიოლერმა გუშინ ერთმანეთის პირისპირ საკმაოდ დიდხანს ისაუბრეს.

**— შეიძლება ითქვას, რომ კონფლიქტი ამოწურულია?**

— ჩვენი, ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან კონფლიქტი ხიზანიშვილთან არც არასდროს ყოფილა.

**— ბელფასტში ფედერაციის ხელმძღვანელებს, ნაკრების მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს კრება ხომ არ ჩაგიტარებიათ?**

— არა, კრება არ ყოფიალა, უბრალოდ, ტოპმიოლერი ნაკრების წამყვან ფეხბურთელებს ესაუბრა სამომავლო გეგმებზე.

**— თქვენი ინფორმაციით ბელფასტურ მატჩს ბრიტანეთში მცხოვრები დაახლოებით რამდენი ქართველი დაესწრება?**

— დუბლინიდან ველოდებით ოც გულშემატკივარს, მათთვის უკვე გვაქვს ბილეთები.

დავით თავართქილაძე

ქართველები ჩრდილოირლანდიელთა თვალით

# GEORGIA ON OUR MINDS

**ჩრდილოეთი** ირლანდიისა და საქართველოს ნაკრებების ამხანაგურ მატჩს ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის საიტმა გუშინ სპეციალური სტატია მიუძღვნა:

- დღის ბოლო საერთაშორისო მატჩი "უინძორ პარკზე" გაიმართება, სადაც ჩრდილოეთი ირლანდიის ნაკრები საქართველოს ნაკრებს მასპინძლობს. ეს ამ გუნდების პირველი საერთაშორისო მატჩია. მიუხედავად წინა შეხვედრაში ბულგარელებთან დამარცხების, "შრაიწზე" ანშლაგია მოსალოდნელი.

*"ფეხბურთელებიც და მთელი სამწვრთნელო შტაბიც ამ მატჩზე ვართ კონცენტრირებულნი"*, - ამბობს ნაკრების მეორე მწვრთნელი **გლინ სნოდინი**, - *"დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ფეხბურთელები ძალიან მოწადინებულნი არიან, საქართველოსთან კარგი თამაშით ერთბაშად შეცვალონ გულშემატკივართა გუნება-განწყობა. რაც შეეხება მეტოქეს, ის ჩვენთვის დიდი გამოცანაა. ახლაც კი ქართველთა ნაკრებზე ძალიან მცირე ინფორმაცია გვაქვს. კარგად ვიცით, რომ ოქტომბერში მათ შოტლანდია დაამარცხეს, თუმცა უფრო ზუსტად მათზე ამალამ მეცოდინება, როცა მთელ გუნდთან ერთად DVD-ის საშუალებით კარგად შევისწავლით ამ ნაკრებს".*



ჩვენი მეტოქე გუშინდელ ვარჯიშზე

მართალია, **ნაიჯელ უორთინგტონმა** ამ მატჩისთვის 22 ფეხბურთელი იხმო, მაგრამ ამ ეტაპისთვის მის ხელთ მხოლოდ 18 ფეხბურთელია. ნაკრებს ბოლოს დააკლდნენ **მარტინ პატერსონი**, **კრის ბრანტი**, **სემი ქლინგენი** და გოლკიპერი **როი ქეროლი**.

*"რა კარგი იყო, როცა როი დაგვიბრუნდა, ის გამოცდილი მეკარეა და ბოლოს "დერბიში" შესანიშნავად ათამაშდა. სამწუხაროა, რომ როი საქართველოსთან მატჩში ვერ დაგვეხმარება*, - განაცხადა სნოდინმა. ბელფასტელები გახარებულნი არიან, რომ უორთინგტონმა გუნდში "ლინფილდის" სამ წევრს უხმო: **ალან მანუსს**, **პიტერ თომპსონსა** და **მაიკლ გოულტს**. *"ჩვენ რეგულარულად ვიღებთ ინფორმაციას ირლანდიული ლიგიდან, ასე რომ ამ ბიჭებმა დაიმსახურეს ადგილი ნაკრებში"*, - აცხადებს სნოდინი.

*მართალია, საქართველოს გუნდში ბევრი სახელიანი ფეხბურთელი არაა, თუმცა მათმა ნაკრებმა ბოლო საკვალიფიკაციო ეტაპზე ფარერელთა ორჯერ ძლევით, შოტლანდიის ნაკრების დამარცხებით და იტალიელებთან და ფრანგებთან მინიმალური სხვაობით მარცხით დაგვამახსოვრა თავი".*

*„საქართველოს ნაკრებთან მატჩი ამ სეზონში ჩემთვის ყველაზე დიდი შეხვედრაა"*, - აცხადებს „კარდიფ სიტის" ფორვარდი **უორენ ფინი**, რომელიც ამ მატჩის გამო „უემბლიზე" ინგლისის თასის ნახევარფინალს გამოტოვებს, - *„ჩემი „უემბლი" საქართველოსთან მატჩია".*

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ჩრდილოეთ ირლანდიასთან მატჩი საზოგადოებრივ მაუწყებელზე

დღეს ბელფასტში ჩრდილოეთი ირლანდია საქართველოს უმასპინძლებს. წინასწარ გაურკვევლად რჩებოდა საკითხი, რომელი ტელეკომპანია გადასცემდა ამხანაგური შეხვედრის პირდაპირ რეპორტაჟს.

როგორც ყოველთვის, რეპორტაჟით "რუსთავი 2" და საზოგადოებრივი მაუწყებელი იყო დაინტერესებული. საბოლოოდ, გუშინ შევიტყვეთ, რომ რეპორტაჟს "საზოგადოებრივი მაუწყებელი" შემოგვთავაზებს.

მატჩი თბილისის დროით 23:45 - საათზე დაიწყება.

ინტერვიუ ალექსანდრე კვახაძესთან

# ბელფასტში მოგება რეაბილიტაცია იქნება

**წინა მატჩების მსგავსად კლაუს ტოპმიოლერმა "ვიტ ჯორჯიის" მცველი ალექსანდრე კვახაძე ჩრდილოეთ ირლანდიასთან ამხანაგური მატჩისთვისაც გამოიძახა. გუშინ მას მომავალ მატჩსა და საკლუბო თემებზე გავესაუბრეთ.**

- გახარებული ვარ ნაკრებში გამოძახებით. კარგ ფორმაში ვარ, მაგრამ უფრო უკეთაც შემიძლია თამაში. საამისოდ საკუთარ თავზე ბევრს ვმუშაობ. თუ ბელფასტში თამაში მომიწევს თავს არ დავზოგავ.

**- მეტოქეზე რა წარმოდგენა გაქვთ?**

- ჩრდილოეთი ირლანდია მებრძოლი და ინგლისის სტილში მოასპარეზე გუნდია. აქედან გამომდინარე თავით თამაშზე გააკეთებს აქცენტს. მეტოქის ერთ-ერთი კოზირი სტანდარტულებიცაა. ფრთხილად და ყურადღებიანად უნდა ვითამაშოთ.

**- ბელფასტის მატჩისგან რას ელით?**

- სასურველი შედეგის მიღებას. ლატვიასთან საშინაო წაგების შემდეგ ქომაგების თვალში ეს იქნება რეაბილიტაცია.

**- სამწუხაროდ, ნაკრებს ამჯერადაც რამდენიმე ფეხბურთელი გამოაკლდა. დაცვაშიც დანაკლისია ჩრდილოეთ ირლანდიაში მალხაზ ასათიანიც ვერ ითამაშებს...**

- ასათიანი მხოლოდ დაცვის კი არა, მთლიანად გუნდისთვის დიდი დანაკლისია. თუმცა, ვისაც თამაში მოუწევს ყველა მაქსიმალურად შეეცდება ეს დანაკლისი შეავსოს.

**- თავით თამაშზე გაამახვილე ყურადღება. მზად ხარ საამისოდ?**

- თავით თამაში ჩემი კოზირია და მოედანზე გასვლა თუ მომიწევს, მჯერა, თავს არ შევირცხვენ. ბელფასტის მატჩი ჩვენი ნაკრებისთვის სასარგებლო იქნება. სექტემბერში ირლანდიასთან თბილისში საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი გვაქვს. ირლანდიელებიც სწორედ ასეთ სტილში თამაშობენ.

**- ფეხბურის ფედერაციის ხელმძღვანელობამ კლაუს ტოპმიოლერის ასისტენტობა თემურ ქეცბაიას შესთავაზა...**

- დღესაც მახსოვს ქეცბაიას თამაში ეროვნულ ნაკრეში. კარგი ფეხბურთელი იყო და როგორც ხედავთ, კარგი მწვრთნელიცაა. მას პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ყველა კარგად ახასიათებს. ასე რომ, ნაკრებში ქეცბაიას მუშაობა გუნდისთვის სასარგებლო იქნება.

**- ახლა საკლუბო თებემზე ვისაუბროთ. "ვიტ ჯორჯია" ჩემპიონობისთვის იბრძვის?**

- დიახ, ჩვენი მიზანი ოქროს მედლების მოპოვებაა. "დინამოს" ორი ქულით ჩამოვრჩებით და მას შინ ვეთამაშებით. თუ "დინამოს" დამარცხებას შევძლებთ, ჩემპიონები გავხდებით. იმედი მაქვს, ამას შევძლებთ კიდეც.

**- "ზესტაფონიც" კუდზე გაზით...**

- "ზესტაფონს" 4 ქულით ვუსწრებთ, თუმცა მოდუნების უფლება არ გვაქვს. ამას თემურ მახარაძის გუნდი არ გვაპატიებს.

**დავით ცაბაძე**

# აქეთ მზე, იქით მთვარე

## ქართველები რუსეთში გაიპარნენ



თიკო ჩხეიძე

საფეხბურთო ოჯახში სასიხარულო ამბავია - საქართველოს ნაკრებისა და ყაზანის "რუბინის" მეკარე **ნუკრი რევიშვილი** დაოჯახდა.

ნუკრი ორი კვირის წინათ დაშავდა და სამკურნალოდ თბილიში ჩამოვიდა. ჰოდა, დრო არ დაკარგა, სიყვარული ისედაც გულს ულრღნიდა და მშვენიერი მეუღლეც მოიყვანა.

ეს ამბავი გუშინწინ მოხდა და ნუკრი რევიშვილი, მეუღლესთან ერთად, რუსეთში გაფრინდა.

ახლა მეუღლეს არ იკიხავთ? სილამაზის კონკურსში გამარჯვებული, მოდელი **თიკო ჩხეიძე**.

მოგეხსენებათ, საქართველოში ორი ცნობილი მოდელია გვარად ჩხეიძე. **თაკო ჩხეიძე** დიდი ხნის გათხოვილია, თიკო კი გუშინწინ საფეხბურთო ოჯახის რძალი რომ გახდა.

ამ ორი პროფესიის ადამიანები პირველად არ უკავშირებენ ერთმანეთს ბედს - მურთაზ შელიას, რეზო ქემოკლიძეს და კიდევ ბევრს მოდელი მეუღლეები ჰყავთ.

აქეთ მზეა, იქით მთვარე, ჩვენც ნუკრის და თიკოს უამრავი ვარსკვლავი ვუსურვოთ.

**მერაბ მამულაშვილი**

# ჩვენ და ჩრდილოირლანდიელები



### ჯორჯ ბესტის ქართველი აჩრდილი

ქართული და ბრიტანული გუნდები ევროპის საკლუბო ტურნირებზე ერთმანეთს ხშირად შეხვედრიან და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენებს დადებითი ბალანსიც აქვთ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, "ლივერპულთან" და "ვესტ ჰემთან" ტრიუმფული გამარჯვებები რად ღირს! არცთუ ურიგო სიტუაციაა სანაკრებო დონეზეც - უელსი ორივეჯერ პირწმინდად დავჩაგრეთ, შოტლანდიელებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში ვძლიეთ და ინგლისმა რომ ორივეჯერ მოგვიგო, არავისთვის მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო. არავისთვის, გარდა... ქართველებისა - 1996 წელს ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ალექსანდრე ჩივაძე** თანამდებობიდან იმიტომ გადადგა, პრესამ და გულშემატკივარმა ინგლისის ნაკრებთან წაგება არ აპატია...

ალარ გვინდა იმდროინდელი ამბების გახსენება და ჩვენს დღევანდელ მეტოქეს დავუბრუნდეთ, რომელთანაც პირველად გვიწევს პაექრობა. ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები გრანდებს არასდროს მიეკუთვნებოდა. ეგ კი არა, ბოლოს 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზა და მას მერე სერიოზული წარმატებისათვის ალარ მიუღწევია. ყველაზე ახლოს წარმატებასთან 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში იყო - ჩრდილოეთ ირლანდიელებმა ჩინებული სტარტი აიღეს, როცა ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხეს შვედეთისა და ესპანეთის ნაკრებები. თუმცა მერე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ლორი სანჩესმა** პრემიერლიგაში მიწვევაზე უარი ვერ თქვა და ლონდონის "ფულემში" გადავიდა. საბოლოოდ კი ისე მოხდა, რომ ჩრდილოეთ იორლანდიის ნაკრებმა დარჩენილ შეხვედრებში წარუმატებლად იასპარეზა და ავსტრია-შვეიცარიაშიც ესპანეთი და შვედეთი მიემგზავრება. წარუმატებლადო, ვამბობთ, მაგრამ საქართველოს ნაკრებისგან განსხვავებით არცთუ იოლ ქვეჯგუფში ბოლოსწინა ადგილი ნამდვილად არ დაუკავებია.

ჩრდილოირლანდიური ფეხბურთი ყოველთვის ერთ პიროვნებასთან ასოცირდება. ხვდებით, ალბათ, რომ **ჯორჯ ბესტზეა** საუბარი - ამ ქვეყნის ყველა დროის ნომერ პირველ ფეხბურთელზე. საკლუბო დონეზე ბესტმა ყველაფრის მოგება შეძლო - ინგლისის ჩემპიონიც არაერთხელ გახდა და ჩემპიონთა თასიც ალმართა "მანჩესტერის" შემადგენლობაში. 1968 წელს კი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს და დამსახურებულად მიიღო "ოქროს ბურთი". საერთოდაც, ბესტს მსოფლიო ფეხბურთის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მარცხენა გარემარბად მიიჩნევენ და უიშვიათესი იყო მის კარიერაში შეხვედრები, მეურვეს რომ ღირსეული წინაალმდეგობა გაეწიოს. და მაინც, ასეთი რამ იყო, თანაც ორჯერ და ორივეჯერ... ქართველმა მოახერხა! ყოველთვის ასე იყო - თავის საყვარელ ფლანგზე ბესტი ნებისმიერ მეურვეს აბუჩად იგდებდა, მაგრამ **რევაზ ძოძუაშვილს** ვერაფერი მოუხერხა - თითქმის ყველა ორთაბრძოლაში გამარჯვებული საბჭოთა კავშირის ნაკრების მარჯვენა მცველი გამოდიოდა. ბესტისა და ძოძუაშვილის პირველი შერკინება 1969 წლის 16 სექტემბერს ბელფასტში შედგა, როდესაც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ერთმანეთს ჩრდილოეთ ირლანდიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებები დაუპირისპირდნენ. ბესტი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის რანგში ასპარეზობდა, მაგრამ სტუმართა მცველმა მთელი მატჩის განმავლობაში გასაქანი არ მისცა და თამაშიდან საერთოდ გამოთიშა. ორი კვირის მერე მოსკოვში ჩატარებულ განმეორებით მატჩში ბესტს მონაწილეობა ალარ მიუღია...

ორი წლის მერე ისევ შედგა ბესტისა და ძოძუაშვილის დუელი - 1971 წლის 22 სექტემბერს "ლუჟნიკებზე" საბჭოთა კავშირის ნაკრებმა **ვლადიმირ მუნტიანის** გოლით ჩრდილოეთ ირლანდია დაამარცხა. დაცვის ცენტრში უშეცდომოდ თამაშობდა **მურთაზ ხურცილავა**, ხოლო ძოძუაშვილმა კვლავაც პიწმინდად დაჯაბნა სტუმართა ვარსკვლავი. ეს 1972 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი იყო და მომდევნო შეხვედრა მეტოქეებს 13 ოქტომბერს, უკვე ბელფასტში, "უინძორ პარკზე" ელოდათ. მაგრამ ბესტს იმ თამაშში მონაწილეობა კვლავაც ალარ მიუღია...

### ქრთამი რა საჭირო იყო?

...გაივლის 21 წელიწადი და "უინძორ პარკზე" კვლავაც ითამაშებენ ქართველები. ოღონდ, დაპირისპირება უკვე საკლუბო დონეზე იქნება: "ლინფილდი" თბილისის "დინამოს" წინაალმდეგ. ამდენი წელი გავიდა იმ შეხვედრიდან და დღემდე ზუსტად არავინ იცის, თუ რა და როგორ მოხდა. 1993 წელს უეფამ ნება დაგვრთო, ევროპულ საკლუბო ტურნირებზე გვეასპარეზა. ანუ, სამწლიანი საერთაშორისო იზოლაციის მერე ქართული გუნდი პირველად გავიდა ევროპაში დამოუკიდებელი საქართველოს სახელით. საქართველოს ჩემპიონს თბილისის "დინამოს" საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩრდილოეთ ირლანდიის "ლინფილდი" შეხვდა. საერთაშორისო ფეხბურთს დანატრებულმა ქომაგმა ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი თითქმის ბოლომდე შეავსო (70 000-ზე ნაკლები კაცი ნამდვილად არ იყო) და "დინამოს" ახალგაზრდულ გუნდსაც პირველად მოუწია გადაჭედილი ტრიბუნების წინ თამაში. "დინამოს" მწვრთნელმა **გივი ნოდიამ** შეტევაზე ორიენტირებული შემადგენლობა შეარჩია: კარში - **ირაკლი ზოიძე**, დაცვაში - **ნუგზარ ლობჟანიძე, გიორგი ნემსაძე** და **მურთაზ შელია**, მარჯვენა ფლანგს **რევაზ არველაძე** აკონტროლებდა, მარცხენას - გუნდის კაპიტანი **მიხეილ ყაველაშვილი**, საყრდენად **გელა ინალიშვილი** თამაშობდა, ვის წინაც **გოჩა ჯამარაული** და **გიორგი ქინქლაძე** იყვნენ, თავდასხმაში კი - **შოთა** და **არჩილ არველაძე**. მატჩი თავიდანვე "დინამოს" უპირატესობით დაიწყო და სტუმართა კართან ზედიზედ იქმნებოდა სახიფათო მომენტები. სულ მალე კი შოთა არველაძემ უნატიფესი ტექნიკის დემონსტრირებით "ლინფილდის" კარში ულამაზესი გოლი გაიტანა. "დინამო" ამის მერეც ბევრს უტევდა და "ლინფილდის" კარში გოლი რომ არ გადიოდა, მეკარის - **ვესლი ლამონტის** უდიდესი დამსახურება იყო.

მეორე ტაიმიც იგივე სცენარით წარიმართა: ხან ლამონტი ყოჩაღობდა, ხან ძელი თუ ხარიხა "ეხმარებოდათ" სტუმრებს. ერთ ეპიზოდში კი "ლინფილდის" ერთადერთი(!) კონტრშეტევა **რიჩარდ ჯონსტონის** ზუსტი დარტყმით დასრულდა. "დინამო" მალე გამოვიდა ფსიქოლოგიური შოკიდან და კვლავაც შტურმი მოაწყო სტუმართა კართან, მაგრამ მხოლოდ ერთხელ შეძლო გოლის გატანა - გელა ინალიშვილის გარღვევის მერე. მატჩის მერე ყველა ოპტიმისტური განწყობით ვიყავით - გვჯეროდა, რომ 1 სექტემბერს ბელფასტში განმეორებითი მატჩიც ჩვენთვის სასურველი ანგარიშით დასრულდებოდა. არადა, თურმე უეფაში უკვე ერთი ამბავი იყო ამტყდარი - მავან ქართველ ბიზნესმენს (თავს შევიკავებთ მისი ვინაობის დასახელებისგან) მატჩის წინ თურქ მსაჯთა ბრიგადისთვის... ქრთამი მიუცია! იმ თურქებსაც უარი არ უთქვამთ, გამოართვეს და... ყველაფერი უეფას აცნობეს. უეფაშიც, ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, განმეორებით შეხვედრას დაელოდნენ და გადაწყვეტილებაც მერე მიიღეს. უცნაურზე მეტი კი ის იყო, რომ თბილისურ მატჩში თურქ მსაჯთა ბრიგადა ერმან თოროღლუს (მთავარი არბიტრის) მეთაურობით მასპინძელთა მიმართ არანაირი სიმპათია არ ჰქონდა.

...განმეორებითი მატჩი ფრედ (1:1) დასრულდა და მომავალ მეტოქეზე (დანიურ "კოპენჰაგენზე") რომ ვფიქრობდით, უეფადან შოკის მომგვრელი ინფორმაცია მივიღეთ: მსაჯების მოქრთამისთვის "დინამოს" წაგება ჩაეთვალა და ორწლიანი დისკვალიფიკაციაც "დააყოლეს"...

...ამ ამბების მერე ქართული გუნდები კიდევ სამჯერ შეხვდნენ ევროტურნირებზე ჩრდილოირლანდიურ გუნდებს და სამივეჯერ შემდეგ ეტაპზე ჩვენები გავიდნენ. თანაც, ამ სამიდან ორჯერ ისევ ის "ლინფილდი" იყო...

**გია ტუხაშვილი**

### ჩემპიონთა ლიგა

საკვალიფიკაციო ეტაპი

**კრუზეიდერსი-დინამო 1:3**

23.07.97. ბელფასტი. 1500 მაყურებელი

0:1 კიკნაძე (31),0:2 გოგიჩაიშვილი (50), 0:3 მუჯირი (65), 1:3 ბაქსტერი (71).

"დინამო": ზოიძე-კალაძე, დიდავა, მაჭავარიანი, ჩხაიძე-გოგიჩაიშვილი (90. ალექსიძე), კიკნაძე, ანჩაბაძე, ცქიტიშვილი-დ. მუჯირი (90. ხომერიკი), იაშვილი (79. ყიზილაშვილი).

**დინამო-კრუზეიდერსი 5:1**

30.07.97. თბილისი. ეროვნული. 12 000 მაყურებელი.

1:0, 2:0 იაშვილი (21, 34), 3:0 მუჯირი (45), 3:1 პანტერი (58), 4:1 მუჯირი (69), 5:1 ხომერიკი (80).

დინამო: ზოიძე-კალაძე, დიდავა, მაჭავარიანი (8. ალექსიძე), ჩხაიძე-გოგიჩაიშვილი (78. გ. კვარაცხელია), კიკნაძე, ანჩაბაძე, ცქიტიშვილი-დ. მუჯირი (78. ხომერიკი), იაშვილი.

გაძევება: ანჩაბაძე, ბაქსტერი.

მწვრთნელი: დ. ყიფიანი

### უეფას თასი

საკვალიფიკაციო ეტაპი

**ლოკომოტივი-ლინფილდი 1:0**

12.08.99. თბილისი. ეროვნული. 5000 მაყურებელი

1:0 ქებაძე (23)

ლოკომოტივი: ჯანელიძე-ბალაშვილი, ლ. მიქაძე, ქობულაძე, ჩიხრაძე-ბარნოვი, ბარამიძე (46. კაციაშვილი), შავგულიძე (77. კ. მელქაძე), ჩომახიძე (79. ასლანაძე)-გოგიჩაიშვილი, ქებაძე.

გაძევება: ჯანელიძე

**ლინფილდი-ლოკომოტივი 1:1**

26.08.99. ბელფასტი. "უინძორი" 3600 მაყურებელი

1:0 ლარმური (68), 1:1 ქებაძე (79)

"ლოკომოტივი": ასლანაძე-ბალაშვილი, ლ. მიქაძე, ქობულაძე, ჩიხრაძე-ვ. გველესიანი, ბარამიძე, კ. მელქაძე, ჩომახიძე (59. კაციაშვილი)-გოგიჩაიშვილი, ქებაძე.

მწვრთნელი: მ. ხურცილავა

### ჩემპიონთა ლიგა

საკვალიფიკაციო ეტაპი

**ლინფილდი-ტორპედო 0:0**

11.07.2001. ბელფასტი. "უინძორი" 2700 მაყურებელი

ტორპედო: გვარამაძე-აბრამიძე, ხვადაგიანი, ქემოკლიძე, თოდუა-აკოფიანი, მახვილაძე (32. ისიანი), დიდავა, ასათიანი-აშვეთია (83. გონჩაროვი), ქუთათელაძე (46. ახალკაცი).

**ტორპედო-ლინფილდი 1:0**

18.07.2001. ქუთაისი. "ტორპედო" 10 000 მაყურებელი

გოლი: აშვეთია (70)

ტორპედო: გვარამაძე-აბრამიძე, ხვადაგიანი, ქემოკლიძე, თოდუა-აკოფიანი, დიდავა, ასათიანი, ახალკაცი (46. პარამონოვი)-აშვეთია (85. გონჩაროვი), ქუთათელაძე (75. მახვილაძე).

გაძევება: ხვადაგიანი

მწვრთნელი: რ. ძოძუაშვილი

ქართული ფეხბურთი

# ათის რჩეული ასი



ლევან კობიაშვილი

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა უკვე შვიდი შესარჩევი ციკლი ჩაატარა. მერვე საკვალიფიკაციო ეტაპის დაწყებამდე ჯერ ადრეა, მაგრამ დღევანდელი მატჩის წინ, უპრიანი იქნება, განვლილი ოფიციალური შეხვედრების სტატისტიკას გადავავლოთ თვალი. დღემდე ჩვენი ქვეყნის მთავარი საფეხბურთო გუნდი ოფიციალურ მატჩებზე ათ მწვრთნელს გაუყვანია. აქედან ზოგი დროებითი ყოფილა, ერთზე მეტ შესარჩევ ტურნირში კი მხოლოდ **ალექსანდრე ჩივაძეს, დავით ყიფიანსა** და **კლაუს ტოპმიოლერს** უმუშავიათ. თავიდან ბოლომდე მთელი ციკლი ჩივაძესა და პერ კლაუსს გაუვლიათ. ნაკრები ყველაზე შედეგიანად ყიფიანის მთავარმწვრთნელობისას თამაშობდა, სამაგიეროდ, ვერ გაამართლა ყიფიანისა და **რევაზ ძოძუაშვილის** შეწყვილებამ...

აქვეა ფეხბურთელთა მონაგარი, სადაც ბომბარდირობას **შოთა არველაძე** არავის უთმობს, ოფიციალური მატჩების რაოდენობით კი **ლევან კობიაშვილის** დაწევის ყველაზე დიდი შანსი კაპიტან **კახა კალაძეს** აქვს.

მწვრთნელთა და ფეხბურთელთა რაოდენობა კი მრგვალია – ათმა დამრიგებელმა ოფიციალურ მატჩებში ზუსტად ას მოთამაშეს მისცა თავის გამოჩენის შანსი.

**საქართველოს ეროვნული ნაკრები**

შესარჩევი ტურნირების სტატისტიკა

**მწვრთნელები**

| ალექსანდრე ჩივაძე (*1-2-4-5) | | |
|---|---|---|
| შ | მოლდოვა | 0:1 |
| ს. | ბულგარეთი | 0:2 |
| შ | უელსი | 5:0 |
| ს | ალბანეთი | 1:0 |
| შ | გერმანია | 0:2 |
| შ | ალბანეთი | 2:0 |
| ს | უელსი | 1:0 |
| ს | გერმანია | 1:4 |
| შ | ბულგარეთი | 2:1 |
| ს | მოლდოვა | 2:3 |
| ს | იტალია | 0:1 |
| შ | ინგლისი | 0:2 |
| შ | უნგრეთი | 3:1 |
| შ | ლიტვა | 2:0 |
| ს | რუმინეთი | 1:1 |
| ს | შვეიცარია | 1:4 |
| შ | ირლანდია | 1:2 |
| შ | შვეიცარია | 0:0 |

**18 თამაში, 7 მოგება, 2 ფრე, 9 ნაგება**
**ბურთები 18-24**
*საშუალოდ 1.27 ქულა თამაშში*

| დავით ყიფიანი (2) | | |
|---|---|---|
| ს | ინგლისი | 0:2 |
| შ | მოლდოვა | 2:0 |
| ს | პოლონეთი | 1:4 |
| შ | იტალია | 0:0 |
| ს | მოლდოვა | 1:0 |
| შ | პოლონეთი | 3:0 |

**6 თამაში, 3 მოგება, 1 ფრე, 2 ნაგება**
**ბურთები 7-6**
*საშუალოდ 1.66 ქულა თამაშში*

| ვლადიმერ გუცაევი (3) | | |
|---|---|---|
| შ | ალბანეთი | 1:0 |
| ს | ლატვია | 0:1 |
| ს | საბერძნეთი | 0:3 |
| შ | სლოვენია | 1:1 |
| შ | ნორვეგია | 1:4 |

**5 თამაში, 1 მოგება, 1 ფრე, 3 ნაგება**
**ბურთები 3-9**
*საშუალოდ 0.80 ქულა თამაშში*

| იოჰან ბოსკამპი (3) | | |
|---|---|---|
| ს | ნორვეგია | 0:1 |
| შ | საბერძნეთი | 1:2 |
| ს | სლოვენია | 1:2 |
| შ | ლატვია | 2:2 |
| ს | ალბანეთი | 1:2 |

**5 თამაში, 0 მოგება, 1 ფრე, 4 ნაგება**
**ბურთები 5-9**
*საშუალოდ 0.20 ქულა თამაშში*

| დავით ყიფიანი - რევაზ ძოძუაშვილი (4) | | |
|---|---|---|
| ს | ლიტვა | 4:0 |
| ს | იტალია | 0:2 |
| შ | რუმინეთი | 0:2 |
| შ | იტალია | 1:2 |
| ს | უნგრეთი | 1:4 |

**5 თამაში, 1 მოგება, 0 ფრე, 4 ნაგება**
**ბურთები 6-10**
*საშუალოდ 0.60 ქულა თამაშში*

| ივო შუშაკი (5) | | |
|---|---|---|
| შ | რუსეთი | 1:0 |
| ს | ირლანდია | 0:2 |

**2 თამაში, 1 მოგება, 0 ფრე, 1 ნაგება**
**ბურთები 1-2**
*საშუალოდ 1.50 ქულა თამაშში*

| მერაბ ჟორდანია (5) | | |
|---|---|---|
| შ | ალბანეთი | 3:0 |
| ს | ალბანეთი | 1:3 |
| ს | რუსეთი | 1:3 |

**3 თამაში, 1 მოგება, 0 ფრე, 2 ნაგება**
**ბურთები 5-6**
*საშუალოდ 1 ქულა თამაშში*

| ალენ ჟირესი (6) | | |
|---|---|---|
| ს | თურქეთი | 1:1 |
| შ | ალბანეთი | 2:0 |
| ს | უკრაინა | 0:2 |
| შ | დანია | 2:2 |
| შ | საბერძნეთი | 1:3 |
| შ | თურქეთი | 2:5 |
| ს | ალბანეთი | 2:3 |

**7 თამაში, 1 მოგება, 2 ფრე, 4 ნაგება**
**ბურთები 10-16**
*საშუალოდ 0.71 ქულა თამაშში*

| გაიოზ დარსაძე (6) | | |
|---|---|---|
| ს | ყაზახეთი | 2:1 |
| შ | უკრაინა | 1:1 |
| ს | დანია | 1:6 |
| შ | ყაზახეთი | 0:0 |
| ს | საბერძნეთი | 0:1 |

**5 თამაში,1 მოგება, 2 ფრე, 2 ნაგება**
**ბურთები 5-9**
*საშუალოდ 1 ქულა თამაშში*

| კლაუს ტოპმიოლერი (7) | | |
|---|---|---|
| ს | ფარერები | 6:0 |
| შ | საფრანგეთი | 0:3 |
| ს | უკრაინა | 2:3 |
| შ | იტალია | 1:3 |
| ს | შოტლანდია | 1:2 |
| შ | ფარერები | 3:1 |
| ს | ლიტვა | 0:1 |
| ს | საფრანგეთი | 0:1 |
| შ | უკრაინა | 1:1 |
| ს | იტალია | 0:2 |
| შ | შოტლანდია | 2:0 |
| შ | ლიტვა | 0:2 |

**12 თამაში, 3 მოგება, 1 ფრე, 8 ნაგება**
**ბურთები 16-19**
*საშუალოდ 0.83 ქულა თამაშში*

**მწვრთნელთა რეიტინგი ქულათა საშუალო მაჩვენებლის მიხედვით**

| | |
|---|---|
| 1. დავით ყიფიანი | 1.66 |
| 2. ივო შუშაკი | 1.50 |
| 3. ალექსანდრე ჩივაძე | 1.27 |
| 4. გაიოზ დარსაძე | 1 |
| 5. მერაბ ჟორდანია | 1 |
| 6. კლაუს ტოპმიოლერი | 0.83 |
| 7. ვლადიმერ გუცაევი | 0.80 |
| 8. ალენ ჟირესი | 0.71 |
| 9. ყიფიანი/ძოძუაშვილი | 0.60 |
| 10. იოჰან ბოსკამპი | 0.20 |

**ფეხბურთელთა მონაგარი შესარჩევ მატჩებში (მატჩი, გოლი)**

| | | |
|---|---|---|
| ლევან კობიაშვილი (2-3-4-5-6-7) | 45 | 4 |
| შოთა არველაძე (1-2-3-4-5-6-7) | 40 | 18 |
| კახა კალაძე.... (2-3-4-5-6-7) | 39 | - |
| გიორგი დემეტრაძე (3-4-5-6-7) | 36 | 5 |
| გიორგი ნემსაძე* (1-2-3-4-5) | 35 | - |
| გოჩა ჯამარაული* (1-2-3-4-5-6) | 33 | 1 |
| ზურაბ ხიზანიშვილი (3-4-5-6-7) | 32 | - |
| გიორგი ქინქლაძე* (1-2-3-4-5) | 31 | 5 |
| ლევან ცქიტიშვილი (1-3-4-5-6-7) | 31 | - |
| თემურ ქეცბაია* (1-2-3-4-5) | 28 | 9 |
| მიხეილ ყაველაშვილი* (1-2-3-4-5) | 25 | 1 |
| ალექსანდრე იაშვილი (3-4-5-6-7) | 23 | 10 |
| მალხაზ ასათიანი (5-6-7) | 21 | 4 |
| დავით კვირკველია (5-6-7) | 20 | - |
| გიორგი ლომაია (მეკ.) (5-6-7) | 19 | -35 |
| არჩილ არველაძე* (1-2-3-4) | 18 | 3 |
| ლაშა სალუქვაძე (6-7) | 17 | - |
| მურთაზ შელია* (1-2-3) | 16 | - |
| ზურაბ მენთეშაშვილი (4-6-7) | 16 | - |
| კახა გოგიჩაიშვილი*.. (1-2) | 15 | - |
| ალექსანდრე რეხვიაშვ (3-4-5-6) | 15 | - |
| ოთარ ხიზანეიშვილი (3-5-6-7) | 14 | - |
| ჯაბა კანკავა (6-7) | 14 | - |
| გიორგი ჩიხრაძე* (1-2) | 13 | - |
| დავით გვარამაძე* (მეკ.)...(3-4-5) | 13 | -18 |
| კახა ცხადაძე* (1-2) | 12 | 1 |
| აკაკი დევაძე* (მეკ.) (1-6) | 12 | -15 |
| მიხეილ აშვეთია (3-5-6-7) | 12 | 1 |
| ლადო ბურდული (4-5-6-7) | 12 | 1 |
| დავით მუჯირი (6-7) | 12 | 1 |
| გიორგი გახოკიძე* (2-3-4-6-7) | 11 | 2 |
| გივი დიდავა (3-5) | 11 | - |
| ირაკლი ზოიძე* (მეკ.) (1-2-4) | 10 | -20 |
| გელა შეყილაძე* (2-3-5) | 10 | - |
| გიორგი შაშიაშვილი (5-7) | 9 | 1 |
| გოგიტა გოგუა (6-7) | 9 | - |
| დიმიტრი კუდინოვი* (1-2) | 8 | - |
| კახა მჭავანაძე (6) | 8 | - |
| გელა ინალიშვილი* (1-2) | 7 | - |
| ნუგზარ ლობჟანიძე* (1-2) | 7 | - |
| გოჩა გოგრიჭიანი* (1-2) | 6 | 1 |
| მამუკა წერეთელი* (3) | 6 | - |
| რატი ალექსიძე (3-4-5) | 6 | - |
| რევაზ ქემოკლიძე (4-5) | 6 | - |
| დავით სირაძე (7) | 6 | 3 |
| ზაზა რევიშვილი* (1) | 5 | - |
| ნიკა ტოგონიძე* (მეკ.) (2-3) | 5 | -7 |
| გიორგი კიკნაძე* (2-3) | 5 | - |
| ზაზა ჯანაშია* (2-3-4) | 5 | 2 |
| ლევან სილაგაძე (3-4) | 5 | - |
| ლაშა ჯაკობია (6-7) | 5 | - |
| ოთარ მარწვალაძე (7) | 5 | - |
| ილია კანდელაკი (7) | 5 | - |
| გიორგი ლუდუშაური* (1-2) | 4 | - |
| გრიგოლ ჭანტურია (მეკ.) (3-7) | 4 | -8 |
| ელიკ საჯაია (4-5) | 4 | - |
| გიორგი განუგრავა (6) | 4 | - |
| ლევან ყენია (7) | 4 | - |
| რევაზ არველაძე* (1-2) | 3 | - |
| ბესიკ ბერაძე* (1) | 3 | - |
| გიორგი კილასონია* (1) | 3 | - |
| დავით ჭიჭველიშვილი (3) | 3 | - |
| ალექსანდრე ამისულაშვი (5-6) | 3 | 1 |
| ვიტალი დარასელია (5-6) | 3 | 1 |
| კახა ალადაშვილი (6-7) | 3 | - |
| დავით ოდიკაძე (6) | 3 | - |
| ზაალ ელიავა (7) | 3 | - |
| ლევან მჭედლიძე (7) | 3 | 1 |
| გია გურული* (1) | 2 | - |
| დავით ჯანაშია* (1-3) | 2 | - |
| მამუკა მაჭავარიანი* (1-2) | 2 | - |
| გიორგი დარასელია* (2-3) | 2 | - |
| ვალტერ გუჩუა* (2-3)..2 | - | |
| ზურაბ ფოფხაძე* (3) | 2 | - |
| თენგიზ სიჭინავა (3) | 2 | - |
| ბადრი ახვლედიანი* (3) | 2 | - |
| ვალერი აბრამიძე (4) | 2 | - |
| ნუკრი რევიშვილი (მეკ.) (6) | 2 | -1 |
| რატი წინამძღვრიშვილი (6) | 2 | - |
| მათე ლვინიანიძე (7) | 2 | - |
| გიორგი მაკარიძე (მეკ.) (7) | 2 | -2 |
| მიხეილ ჯიშკარიანი* (1) | 1 | - |
| დავით ყიზილაშვილი* (1) | 1 | - |
| გოჩა გუჯაბიძე* (1) | 1 | - |
| გიორგი ჩხაიძე* (3) | 1 | - |
| გიორგი ბალაშვილი (3) | 1 | - |
| სოსო გრიშიკაშვილი (მეკ.) (3) | 1 | -1 |
| მიხეილ ფოცხვერია* (3) | 1 | - |
| სევასტი თოდუა (4) | 1 | - |
| ზვიად სტურუა (მეკ.) (6) | 1 | -3 |
| ლევან მაღრაძე (6) | 1 | - |
| მამია ჯიქია (6) | 1 | - |
| გივი კვარაცხელია (6) | 1 | - |
| მიხეილ ბოგოხიძე (6) | 1 | - |
| ბექა გოცირიძე (6) | 1 | - |
| ვასილ გიგიაძე (7) | 1 | - |
| დავით იმედაშვილი (7) | 1 | - |
| დიმიტრი ტატანაშვილი (7) | 1 | - |
| ალექსანდრე კვახაძე (7) | 1 | - |
| ნიკოლოზ გელაშვილი (7) | 1 | - |

**შენიშვნები**

*ფრჩხილებში მოცემული ციფრი აღნიშნავს იმ ციკლის რიგით ნომერს, რომელშიც მწვრთნელმა და ფეხბურთელმა მიიღო მონაწილეობა.*

1 – ევრო-96-ის შესარჩევი
2 – 1998 წლის მუნდიალის შესარჩევი
3 – ევრო 2000-ის შესარჩევი
4 – 2002 წლის მუნდიალის შესარჩევი
5 – ევრო-2004-ის შესარჩევი
6 – 2006 წლის მუნდიალის შესარჩევი
7 – ევრო-2008-ის შესარჩევი

** ნიშნით აღნიშნულია ფეხბურთელი, რომელმაც კარიერა დაასრულა*

მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

*შოთა არველაძე:*

# ქვირას თავი ფეხბურთელად ვიგრძენი

## ქართველი მუშაობას ალკმაარში იწყებს?

საქართველოს ნაკრების საუკეთესო ბომბარდირმა შოთა არველაძემ ესპანურ პრიმერაში პირველად კვირას, „ვილიარეალის" წინააღმდეგ ითამაშა. შოთა ბოლო წუთებზე გამოჩნდა ვალენსიური კლუბის რიგებში. გუშინ მისი ინტერვიუ „ლევანტეს" ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა.



შოთა არველაძე

ჩვენთვის საინტერესოა ესპანური „მარკასთვის" გაკეთებული კომენტარიც, სადაც შოთა არველაძე უარყოფს, თითქოს მან უკვე გააფორმა კონტრაქტი ჰოლანდიურ „აზ ალკმაართან", რომლის თანახმადაც ის მომავალი სეზონიდან კლუბის ტექნიკურ გამგეობაში იმუშავებს. „უახლოესი თვეები გადაწყვეტს დავრჩები ფეხბურთელად თუ დავანებებ აქტიურ სპორტს თავს, თუმცა ჯერ არაფერი გადამიწყვეტია. არანაირი ხელშეკრულება არ გამიფორმებია, ასე რომ „ალკმაარის" თაობაზე, რაც თქვით ჭორია".

**- როგორი იყო ცხოვრება უფეხბურთოდ?**

- უფეხბურთოდ გაძლება ძალიან მიჭირდა. ირგვლივ ყველა ჩემი ტრავმის სიმძიმეზე საუბრობდა, მაგრამ მადლობა ღმერთს, ჩემმა ოჯახმა და მეგობრებმა ამ მძიმე დროს გამაძლებინეს. სწორედ მათი დახმარების წყალობით შევძელი ამხელა პრობლემას გავმკლავებოდი.

**- რა გრძნობა დაგეუფლათ „ლევანტეს" რიგებში დებიუტისას?**

- როდესაც მწვრთნელმა მირჩია გავხურებულიყავი და მოედანზე შესასვლელად მოვმზადებულიყავი, ვიგრძენი, როგორ იფეთქა ადრენალინმა. ავნერვიულდი კიდეც, მაგრამ ასევე ძალიან ბედნიერ კაცად ვგრძნობდი თავს. როგორც იქნა, გვირაბის ბოლოს სინათლე გამოჩნდა.

**- თქვენ გასული წლის ბოლოს საკმაოდ კარგი სამედიცინო დასკვნა გქონდათ ჰოლანდიურ კლუბში. რის გამო გაგიჯანჯლდათ ტრავმა ამდენ ხანს?**

- ჩემი ტრავმა ჩვეულებრივი მენისკის ტრავმა არ იყო, დაზიანებული იყო ძვალსა და კანს შორის მყოფი ყველა მნიშვნელოვანი ნაწილაკი, ქსოვილი, რაც ავტომატურად ნიშნავს მეტ დროს რეაბილიტაციისთვის. ლამის ყოველდღიურად ვესაუბრებდი მედიკოსებს, ფიზიოთერაპევტებს. მარცხენა ფეხზე ნორმალურად აღმიდგა კუნთის მასა. თავი ფეხბურთელად პირველად კვირას ვიგრძენი.

**- და მაინც გუნდის ქომაგებს თქვენი თამაშის სანახავად 10 თვეზე მეტის მოცდა მოუწიათ...**

- აღდგენის პროცესში, რამდენჯერმე ვიგრძენი თავი უკეთ, თუმცა შემდეგ ვარჯიშზე მუხლი თავს მახსენებდა. ერთხელ ზუსტად მაშინ გამიუარესდა მდგომარეობა, როდესაც, თითქოს, უკვე განაცხადში უნდა მოვხვედრილიყავი. ტრავმა ძალიან ხშირად მოულოდნელად მახსენებდა თავს.

**- მომავალში რას აპირებთ, რამდენ ხანს ითამაშებთ კიდევ ფეხბურთს?**

- დღეს ასე ვფიქრობ, რომ კიდევ ერთი ან ორი სეზონი შევძლებ თამაშს, მაგრამ ყველაფერი მუხლზეა დამოკიდებული. თავად ძალიან მინდა თამაში, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას იმის მიხედვით გამოვიტან, როგორ ვიქნები ამ ორი თვის განმავლობაში.

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

იუბილარი

# ანატოლი მილჩენკო 70



*"საქართველოში დავიბადე და გავიზარდე. მეორე მსოფლიო ომის დროს ქართველები უკრაინელებს ლუკმა-პურს გვინაწილებდნენ. არავის არასდროს უგრძნობინებია ჩემთვის, რომ უკრაინელი ვარ. მეამაყება, რომ ვარ ქართველი უკრაინელი, შევქმენი ქართული ოჯახი. სიძე და შვილიშვილი ქართველი მყავს",* - წერს თავის ბიოგრაფიაში, საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო მსაჯი, ფიფას არბიტრი **ანატოლი მილჩენკო.**

დღეს ამ ღვაწლმოსილ პიროვნებას დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. თბილისის ოდო-ში და სოხუმის "დინამოში" ფეხბურთელის კარიერის დამთავრების შემდეგ დაიწყო მისი წარმატებული სამსაჯო მოღვაწეობა. საკავშიროს მოჰყვა საერთაშორისო მატჩები. როგორც მთავარ მსაჯს, ჩატარებული აქვს 202 მატჩი სსრკ პირველობაზე, რაც სარეკორდოა. მასვე ეკუთვნის მეორე რეკორდიც - სულ 376 მატჩი იმსაჯა სსრ კავშირის, ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიური ნაკრებების დონეზე. 14-ჯერ დასახელდა სსრ კავშირის საუკეთესო მსაჯთა ათეულში. ეამაყება, რომ უმსაჯია მატჩები მსოფლიოს საფეხბურთო ვარსკვლავების მონაწილეობით. ერთადერთი მსაჯია საქართველოდან, რომელიც უემბლიზე გაუძლვა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს, რომლის ინსპექტორიც სერ **სტენლი როუზი** იყო. 1999 წლიდან სათავეში ჩაუდგა სფფ-ის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტს, რომელსაც ხელმძღვანელობდა 2005 წლამდე. მისი თაოსნობით პირველად დსთ-ს სივრცეში, საქართველოში შეიქმნა მსაჯთა აკადემია, რომლის რექტორიც თავად იყო 2006 წლამდე. დღეს "ვიტ ჯორჯიის" სპორტული დირექტორია. მშობლიური აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციაში კი სააპელაციო კომიტეტს უძღვება. ეს მისი საზოგადოებრივი დატვირთვაა. როგორც ხედავთ, 70 წელიც კი საქმიანი კაცისთვის შემოქმედებითი ასაკია.

დაბადებიდან საიუბილეო თარიღს გილოცავთ, ბატონო ანატოლი!

**"ლელოს" რედაქცია**

პორტუ. ტრანსფერები

# კვარეშმა რეალში გაიყიდა?

## პრეზიდენტს მსაჯის მოქრთამვაში ადანაშაულებენ, მწვრთნელმა ახალი კონტრაქტი გააფორმა...

პორტუგალიური გაზეთი "დიარიო დე ნოტისიაში" იუწყება, რომ "რეალი" "პორტუს" გარემარბ **რიკარდო კვარეშმას** ყიდულობს. ფეხბურთელს "ატლეტიკო" და "ინტერიც" ეპატიჟებოდნენ, მაგრამ სამეფო კლუბმა მას ყველაზე სარფიანი პირობები შესთავაზა. 24 წლის კვარეშმამ პრიმერა დივიზიონში ერთი სეზონი გაატარა. 2003-04 წლებში ის "ბარსელონაში" ასპარეზობდა. რიკარდომ პორტუგალიის ნაკრებში 19 მატჩი ჩაატარა და 2 გოლი შეაგდო. რამდენიმე დღის წინათ "პორტუმ" საჯაროდ განაცხადა, რომ სარფიანი შეთავაზების შემთხვევაში, მზად იყო, ფეხბურთელი გაეყიდა. "რეალთან" დაკავშირებით კლუბის ხელმძღვანელობას კომენტარი არ გაუკეთებია. ან როგორ გააკეთებდა, როდესაც "პორტუს" პრეზიდენტ **ჟორჟე ნუნუ პინტუსა და კოშტას** დაკითხვაზე უხმეს.

სეუ პინტუ და კშოტას "პორტუსა" და "ბეირა მარის" მატჩის არბიტრის



რიკარდო კვარეშმა

მოქრთამვაში დასდეს ბრალი. შეხვედრა უგოლოდ დასრულდა. პორტუგალიელი სამართალდამცველები ეჭვობენ, რომ სასურველი შედეგის სანაცვლოდ, მსაჯმა **აუგუსტო დუარტემ** გასამრჯელოს სახით, 2 500 ევრო მიიღო. სასამართლოს წინაშე წარდგომა მოუწევს არბიტრსაც, რომელიც ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს. პორტუგალიის ხელისუფლება ფეხბურთში გამოვლენილ კორუფციის ფაქტებს დაუნდობლად ებრძვის. ოპერაცია, რომელსაც პირობითად "ოქროს სასტვენი" ჰქვია, 2003 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება.

სასამართლოში წასვლამდე პრეზიდენტმა და კოშტამ ახალი კონტრაქტი გაუფორმეს მთავარ მწვრთნელ **ჟეზუალდო ფერეირას**. ამით წერტილი დაესვა სპეკულაციებს, 61 წლის სპეციალისტის მოსალოდნელი აზარგების შესახებ. ფერეირას კონტრაქტის დეტალები არ გაუხმაურებია, თუმცა არ დაუმალავს, რომ პირობებით კმაყოფილია. აქვე გეტყვით, რომ "პორტუ" არ ადასტურებს ინფორმაციას "მანჩესტერ იუნაიტედთან" მოლაპარაკებების შესახებ. "ეშმაკებს" პორტუგალიის ნაკრების მცველი **ჟოზე ბოსინგვა** სურთ, მაგრამ ამის თაობაზე ოფიციალური განცხადება ჯერ არ გაუკეთებიათ. გასულ ზაფხულს ამ ფეხბურთელს "ასტონ ვილა" ეპატიჟებოდა.

ბაიერნი

# ტონის გააქვს, ტონის აკრიტიკებენ

## ჰიტცფელდი: ლუკა, ნუ ხარ ეგოისტი!




ლუკა ტონის 16-დან 5 გოლი მიროსლავ კლოზემ გაატანინა

"ბაიერნი" დაიშალა. დავაზუსტოთ: დროებით დაიშალა. **ლუკა ტონიმ** ესპანეთისკენ აიღო გეზი, **ფრანკ რიბერიმ** შინისაკენ, ანუ, საფრანგეთისკენ, **ლუსიო** ინგლისში გაემგზავრა, **მარტინ დემიკელისი** ეგვიპტეში, **ჰამით ალთინთოფი** ბელორუსშია, **დანიელ ვან ბუიტენი** ბელგიაში, **ფილიპ ლამი, მარსელ იანსენი, ბასტიან შვაინშტაიგერი, მიროსლავ კლოზე** და **ლუკას პოდოლსკი** კი შვეიცარიაში არიან. მოკლედ, სანაკრებო პაუზაა.

"ბაიერნის" ხელმძღვანელებს არასდროს უხარიათ ის, რომ რეკორდმაისტერის მოთამაშეები კლუბს ტოვებენ და ნაკრებს მიაშურებენ ხოლმე. თუმცა გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესი** ამჯერად სხვანაირად ჭიკჭიკებს, ცუდი სულაც არაა ის, რომ ბიჭები ნაკრებ გუნდებს შეუერთდნენ. მეგობრებს ნახავენ და ცოტას ამოისუნთქავენო. მაგრამ ერთიც ვნახოთ, რომელიმე მათგანმა ტრავმა მიიღოს, ჰიონესი სულ სხვა ტონით ალაპარაკდება. უფრო სწორად, აყვირდება. ახლა კი ამბობს, მთავარია, რომ ფორმიდან არ ამოვარდნენ და ჯანმრთელად იყვნენო.

ერთი სიტყვით, "ლევერკუზენთან" გამარჯვების შემდეგ, მიუნხენში სრული იდილიაა. ჰიონესი აცხადებს, გუნდმა ჩემპიონური თამაში აჩვენაო, **მარკ ვან ბომელი** კი დასძენს, ჩემპიონობისკენ უდიდესი ნაბიჯი გადავდგითო. შვიდქულიანი უპირატესობა მთავარ მწვრთნელ **ოტმარ ჰიტცფელდსაც** აბედინებს იმის თქმას, რომ ბავარიული გიგანტი *"ამ შანსს ხელიდან ნამდვილად არ გაუშვებს და "ვერცხლის სინს" დაიბრუნებს."*

მოკლედ, მიუნხენში მშვიდობა, სიხარული და ბედნიერი დღეებია. ჰიტცფელდი გუნდს ხუთშაბათს შეკრებს და დიდი შანსია, რომ ტონის პირადად გაესაუბროს. მართალია, იტალიელმა "ლევერკუზენთან" დუბლი შეასრულა და 16 გოლით გერმანიის პირველობის ბომბარდირთა დავის ერთპიროვნული ლიდერია, მაგრამ უშუალოდ შეხვედრაში იყო ერთი მომენტი, რომლის გამოც იტალიელი გოლეადორი ყველამ გააკრიტიკა. ტონის საქციელი დაუწუნეს!

66-ე წუთზე ლუკა ოდნავ ეგოისტურად მოიქცა და იმის ნაცვლად, რომ ბურთის მიღების შემდეგ შესანიშნავ პოზიციაში მდგარი **კლოზე** მოეძებნა, თავად დაარტყა და ვერ გაიტანა. და ეს ტონიმ გააკეთა, ფეხბურთელმა, რომელიც ასეთ მომენტებში თანაგუნდელებზე ძალიან ჯავრობს ხოლმე და იტალიელთათვის დამახასიათებელ ჟესტს აკეთებს, რითაც უკმაყოფილებას გამოხატავს იმის გამო, რომ პასი არ მისცეს. ახლა კი თვითონ იეგოისტა, რაც არც მის თანაგუნდელებს მოეწონათ, არც მწვრთნელს და არც ხელმძღვანელებს.

*"ეს გოლი აუცილებლად უნდა გასულიყო და რომ არ გავიდა, მხოლოდ და მხოლოდ ტონის ბრალია. უმჯობესია, თუ ფეხბურთელები ასეთ დროს უკეთეს პოზიციაში მყოფ თანაგუნდელებს პასს მისცემენ. ლუკას მირო რომ მოეძებნა, ანგარიში 3:0 გახდებოდა და ესეც არ იყოს, ამ თამაშში კლოზემაც დაიმსახურა გოლის გატანა,"* - ეს თვითონ ჰიტცფელდის სიტყვებია.

ცნობისთვის, მიმდინარე სეზონში კლოზემ ტონის 5 საგოლე პასი მისცა, ტონიმ კლოზეს კი მხოლოდ 1. ასე რომ, როლები განაწილებულია: ერთი მუშაა, მეორე კი შემსრულებელი. მაგრამ კლოზეს მადლობა ეკუთვნის და მადლობის გადახდა ტონის "ლევერკუზენთან" შეეძლო...

**გოტფრიდ ლენცი**

გერმანიის ნაკრები

# ბუნდესკაპიტანმა ხმა აიმაღლა

## მიხაელ ბალაკი: დღესაც 2006 წლის მუნდიალით ვცხოვრობთ

გერმანიის ნაკრების კაპიტანმა **მიხაელ ბალაკმა** თანაგუნდელებს მოუწოდა, აზრზე მოდით და ევროპის ჩემპიონატისთვის გაათმაგებული მონდომებით მოემზადეთო. ეს არის პირველი შემთხვევა დიდი ხნის შემდეგ, როცა კაპიტანი ხმას იმაღლებს და სხვადასხვა პრობლემატურ საკითხებს ეხება.

ვერ ვიტყვით, რომ ბუნდესგუნდი ევრო 2008-ისთვის ცუდად ემზადება ან ცუდ ფორმაშია და ბალაკიც 100 პროცენტით იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ **იოახიმ ლიოვი** და მისი შეგირდები სწორ გზას ადგანან, მაგრამ იქვე დასძენს, უკვე დროა, რომ თუნდაც შარშანდელი შედეგები გავიმეოროთ და გაცილებით ძლევამოსილნი გავხდეთ, რათა ევროპის ჩემპიონატის სტარტს მაქსიმალურად მობილიზებულები შევხვდეთო. ამ და სხვა საკითხებზე ბალაკმა ბაზელში გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა. დღეს ბუნდესგუნდი ხომ ევრო 2008-ის მასპინძელ შვეიცარიას ეთამაშება.

*"დღეიდან ახალი ტურნირისთვის ვემზადებით და ჩემი აზრით, ევროპის ჩემპიონატზე წარმატების მიღწევა გაცილებით რთულია, ვიდრე მუნდიალზე გაბრწყინება. მხოლოდ იმის გამო, რომ ორი წლის წინათ მსოფლიოს პირველობაზე კარგად ვითამაშეთ, ევროპის ჩემპიონატის ფინალში არავინ დაგვსვამს. ჩვენი მიზანი კი სწორედ ეს არის: ფინალში გასვლა და მისი მოგება,"* - განაცხადა ბალაკმა.

მიხაელი ფიქრობს, რომ გერმანიის ნაკრები ვალდებულია, შვეიცარიასთან ისეთი თამაში აჩვენოს, როგორიც ბუნდესგუნდს შეეფერება, რადგან ეს არის კიდევ ერთი გენერალური რეპეტიცია და ამგვარი რეპეტიციები ბუნდესნაკრებს ბევრი აღარ ექნება.

ბალაკი: *"შვეიცარია ძალიან ძლიერი გუნდია და თანაც, ევრო 2008-ზე, როგორც მასპინძელს, უდიდესი უპირატესობა ექნება. ამას წინათ ჩვენ ავსტრიას მოვუგეთ, რომელიც ასევე კონტინენტის პირველობის მასპინძელია, მაგრამ შვეიცარიას ავსტრიაზე გაცილებით ძლიერი გუნდი ჰყავს."*

გერმანიის ნაკრების ნახევარმცველმა ისიც აღნიშნა, რომ უკვე დროა, გერმანელებმა 2006 წლის მუნდიალზე მიღწეული წარმატება საბოლოოდ დაივიწყონ, რადგან ეს უკვე ისტორიის კუთვნილებაა. *"ორი წლის წინათ ჩვენ ყველა გვაქებდა. მხრებზე ხელს გვირტყამდნენ და მადლობებს გვიხდიდნენ, მაგრამ ეს ყველაფერი უკვე წარსულია. მიუხედავად იმისა, რომ მას მერე ფაქტობრივად, 2 წელი გავიდა, დღესაც ხშირად მეუბნებიან, რომ მუნდიალის ერთ-ერთი გმირი ვარ და სიმართლე გითხრათ, ამის გაგონებაც კი აღარ მინდა. ლოგიკურია, რომ ასეთ დროს მიჩნდება კითხვა: ვინ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი? ფაქტია, რომ მუნდიალი გერმანელებს არ მოგვიგია,"* - კრიტიკულია 31 წლის ბალაკი.

"ჩელსის" ნახევარმცველი, რომელსაც ტრავმის გამო ხანგრძლივი იძულებითი პაუზა ჰქონდა და სეზონის პირველი ნახევარი ლაზარეთში გაატარა, პირდაპირ ამბობს, ევროპის ჩემპიონატის მოგება მინდა და იმისთვის, რომ ამ მიზნის მიღევა ჩემთვის უფრო რეალური გახდეს, თანაგუნდელების თვალებში ცეცხლი უნდა დავინახოო. *"ჩემთვის ნამდვილად არ არის საკმარისი იმის თქმა, რომ 2006 წელს, როცა ჩვენ მესამე ადგილი დავიკავეთ, მეც ამ გუნდში ვთამაშობდი და ვისთვისაც ეს საკმარისია, ავსტრია/შვეიცარიაში წამოსვლას არ ვურჩევ,"* - ამბობს ბალაკი.

ბუნდესგუნდის კაპიტანი მიიჩნევს, რომ 23-კაციან სიაში დღეს უფრო მეტი ადგილია ვაკანტური, ვიდრე ორი წლის წინათ, როცა გერმანელები მუნდიალისთვის ემზადებოდნენ. კაპიტნის აზრით, დღესდღეობით, ყველაზე მთავარი კრიტერიუმები ფიზიკური მომზადება და სათამაშო პრაქტიკაა. *"არც ის მავიწყდება, რომ ზოგიერთისთვის გერმანიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა უფრო ადვილია, ვიდრე იმ კლუბს სასტარტოში, სადაც ირიცხება. არც ისე დიდი ხნის წინათ, ბუნდესგუნდში მოხვედრა იმას ნიშნავდა, რომ ქვეყნის მასშტაბით საუკეთესო ფეხბურთელი იყავი. დღეს კი ეს ასე აღარაა და ზოგიერთებს ევროპის ჩემპიონატზე თამაში თითქოს განაღდებული აქვთ. ეს ამბავი კი არ მომწონს,"* - ბრაზობს ბალაკი.

ერთ-ერთი ასეთი ფეხბურთელი **იენს ლემანია**, რომელსაც "არსენალში" არ ათამაშებენ, გერმანიის ნაკრებში კი პირველ მეკარედ რჩება. მაგრამ ბალაკი ამბობს, რომ ლემანს არ გულისხმობს. მიხაელს იენსის შესაძლებლობებში ეჭვი არ ეპარება, თუმცა იქვე დასძენს, უმჯობესი იქნებოდა, რომ სათამაშო პრაქტიკა ჰქონოდაო. მიხაელი: *"არა უშავს, იენსი უაღრესად გამოცდილი, მაღალი კლასის მეკარეა და ვფიქრობ, რომ ევროპის ჩემპიონატისთვის მასზე უკეთესი გოლკიპერი არ გვყავს."*




მიხაელ ბალაკი თანაგუნდელებს გამოფხიზლებისკენ მოუწოდებს

**გოტფრიდ ლენცი**

დიდი სკანდალის მოლოდინში

# რეალის ოფისში პროკურატურა შედის

## რამონ კალდერონს კვლავ არჩევნების გაყალბებას ედავებიან

მადრიდის "რეალს" ისევ ძველი პრობლემა შეექმნა. საქმე კვლავ იმ ყბადაღებულ საპრეზიდენტო არჩევნებს შეეხება, რომელში გამარჯვებამაც **რამონ კალდერონი** მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი უპირველესი გრანდის პრეზიდენტად აქცია. ესპანური ფეხბურთის მოყვარულებს შესანიშნავად მოეხსენებათ, რომ 2006 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს სერიოზული სკანდალი მოჰყვა. გავრცელდა ხმები, რომ კალდერონის მომხრეებმა ინტერნეტით მოსული ხმები ტოტალურად გააყალბეს და ხელისუფლების უზურპაცია მოახდინეს. ბუნებრივია, დემოკრატიულ ქვეყანაში ეს ამბავი შესაბამისი გამოხმაურების გარეშე არ დასრულდებოდა. კალდერონი, რა თქმა უნდა, საპრეზიდენტო სავარძელში მოკალათდა და მუშაობას შეუდგა, მაგრამ მის მოწინააღმდეგეებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ. პირიქით, სხვა კანდიდატები გაერთიანდნენ და სენიორ რამონის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყეს. ლიბერალური დემოკრატიის მქონე ქვეყანაში სადავო საკითხების გარჩევისთვის საუკეთესო ადგილი, ცხადია, სასამართლოა. რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ არჩევნებში დამარცხებულმა **მიგელ ვილიარ მირმა** ყველა საჭირო დოკუმენტი შეაგროვა და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიმართა. საჩივრის შეტანიდან სამი კვირის შემდეგ მოსამართლემ მოსმენა დანიშნა. "რეალის" ადვოკატებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რათა ბრალდებები გაექარწყლებინათ და საზოგადოება კალდერონის გამარჯვების სამართლიანობაში დაერწმუნებინათ. მათი სერიოზული მცდელობის მიუხედავად, მთავარ კითხვას პასუხი მაინც არ გაეცა. საქმე ის არის, რომ ინტერნეტით მიღებულ ხმებს რატომღაც მხოლოდ კალდერონის გუნდის წევრები ითვლიდნენ. სხვათა შორის, კონკურენტებთან უშელავათო ბრძოლაში სენიორ რამონმა გამარჯვება სწორედ ინტერნეტის ხმებით მოიპოვა. პირველი ინსტანციის მოსამართლე სამეფო კლუბის იურისტებმა ვერ დაარწმუნეს რომ იმ ყბადაღებული ხმების



რამონ კალდერონი

დათვლისას ტრანსპარენტულობის პრინციპი ბოლომდე იყო დაცული. სწორედ ამის გამო, მოსამართლე **მილაგროს აპარისიომ** ინტერნეტხმები ბათილად სცნო და კალდერონის ლეგიტიმაციას ამით სერიოზული დარტყმა მიაყენა. ვიმეორებთ, "რეალის" ამჟამინდელ პრეზიდენტს გამარჯვება სწორედ ინტერნეტით მიღებულმა ხმებმა მოუტანა. სენიორა მილაგროს აპარისიომ დამარცხებულ მხარეს აპელაციის მოსამზადებლად და მისი გადაწყვეტილების მეორე ინსტანციის სასამართლოში გასასაჩივრებლად სამთვიანი ვადა განუსაზღვრა. ამ ხნის განმავლობაში, კალდერონი პრეზიდენტის ფუნქციებს ისე ასრულებდა, თითქოს არც არაფერი მომხდარიყო. სამი თვის თავზე "რეალის" იურისტებმა აპელაცია შეიტანეს და ბრძოლა თავიდან დაიწყეს. ამჯერად ისინი უფრო მომზადებულები აღმოჩნდნენ და პროცესი მოიგეს. მოსამართლემ მისი კოლეგის სენიორა აპარისიოს გადაწყვეტილება გააუქმა და რამონ კალდერონი სამეფო კლუბის კანონიერ პრეზიდენტად გამოაცხადა.

ამით გაშმაგებული მიგელ ვილიარ მირი იმავე დღეს დაიმუქრა, ბრძოლას არ შევწყვეტო, მაგრამ ეს კაცი იმ სალამოს შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში აღარ გამოჩენილა. მადრიდული გრანდის ამჟამინდელი ხელისუფლება, ალბათ, ველარ წარმოიდგენდა, რომ სენიორ მირი ასპარეზზე ისევ გამოჩნდებოდა. თუმცა სიხარული ნაადრევი გამოდგა. კალდერონის დაუძინებელმა მტერმა ახალი სამხილები შეაგროვა და სარჩელი უკვე ესპანეთის უზენაეს სასამართლოში შეიტანა. სასამართლო კოლეგიამ მოსმენა გუშინ დანიშნა. ის დაპირისპირებული მხარეების ყველა არგუმენტს დიდი გულისყურით გაეცნო და გადაწყვიტა, საქმე დამატებითი გამოძიებისთვის პროკურატურისთვის გადაეცა. მოსამართლეების აზრით, მომჩივანის საჩივარში სერიოზული ბრალდებებია ჩამოყალიბებული და სიმართლის დასადგენად კვალიფიციური გამოძიების ჩატარებაა საჭირო.

პროკურატურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის გადაწყვეტილებას იმავე დღეს გამოეხმაურა. გამომძიებლები უახლოეს დღეებში "რეალის" ოფისში შესვლასა და საჭირო დოკუმენტების ამოღებას აპირებენ. ბუნებრივია, ერთი ფურცლის გადამალვის ფაქტიც კი საკმარისი გახდება იმისთვის, რომ კანონდამრღვევის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრას. სამართალდამცველები ამთავითვე აცხადებენ, რომ ძიების პროცესი ხანგრძლივი იქნება. აუცილებელია, დაიკითხოს უამრავი მოწმე, გაანალიზდეს თავად ინტერნეტით ხმის მიცემის სისტემა. შემოწმდეს კომპიუტერული პროგრამა. თუ საჭირო გახდება, პროკურატურის თანამშრომლები ამომრჩევლებსაც შეხვდებიან და შეეცდებიან, მათგან საჭირო ინფორმაცია მიიღონ. მოკლედ, კალდერონს სერიოზული თავსატეხი გაუჩნდა. მიგელ ვილიარ მირი კი განვითარებული მოვლენებით აღფრთოვანებულია. მან საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და ასეთი რამ განაცხადა: *"მე სამეფო კლუბის ყველა გულშემატკივარს შევპირდი, რომ ბრძოლას ბოლომდე გავაგრძელებდი. მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ვეთანხმები, თუმცა გამოტანილ განჩინებას, რა თქმა უნდა, პატივისცემით ვეკიდები. იმავე დღეს ვთქვი, რომ დავას უზენაეს სასამართლოში გავაგრძელებდი. პროცესი ძალიან გაიწელა. ჩემი ადვოკატები საჭირო დოკუმენტაციას აგროვებდნენ. უნდა გაგიმხილოთ, რომ "რეალის" დირექტორატი საჯარო ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების მოწოდებისას ხელოვნურ დაბრკოლებას გვიქმნიდა. მოკლედ, ამ ყველაფრის გამო თითქმის რვა თვე გავიდა. ბოლოს მაინც ჩვენი გავიტანეთ და უზენაესი სასამართლოს კარს მივადექით. მიხარია, რომ ხვალიდან სერიოზული გამოძიება დაიწყება. პროკურატურა არჩევნებთან დაკავშირებულ უკლებლივ ყველა დეტალს საგულდაგულოდ შეისწავლის და საქმის მასალებს სასამართლოში გადააგზავნის. გამარჯვებაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ. დღესავით ნათელია, რამონ კალდერონმა და მისმა გუნდელებმა არჩევნები გააყალბეს. ისინი სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ."*

დაგვეთანხმებით, სენიორ მირის სიტყვები ძალიან ხმაურიანად ჟღერს. ბუნებრივია, ჟურნალისტები ამ თემაზე მუშაობას ისე არ დაასრულებდნენ, რომ თავად კალდერონს არ გასაუბრებოდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, პრეზიდენტი უკლებლივ ყველა ბრალდებას უარყოფს: *"მირი კომიკური პერსონაა. როგორც ჩანს, აღარ იცის უსაქმურობისგან რა გააკეთოს. ჩვენ არჩევნები გამჭირვალედ ჩავატარეთ. მოსამართლე საჩივრის მიღების შემდეგ ვალდებული იყო, საქმისთვის მსვლელობა მიეცა. პროკურატურასთან, რა თქმა უნდა, უპრობლემოდ ვითანამშრომლებთ. სამართალდამცველებს ყველა იმ დოკუმენტს მივაწვდით, რომლებსაც ჩვენი ოფისიდან მოითხოვენ. ცხადია, უსიამოვნოა, როცა სამეფო კლუბი ასეთ ისტორიაში ეხვევა, მაგრამ საგანგაშო არაფერია. ჩვენ მართალი ხალხი ვართ. ვაღიარებ, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმე იმის გამო წავაგეთ, რომ პროცესისთვის მომზადება ვერ მოვასწარით. სამაგიეროდ, სააპელაციოში შესანიშნავად მომზადებულები წარვდექით და გავიმარჯვეთ კიდეც. დარწმუნებული ვართ, ჩვენს უდანაშაულობაში უზენაეს სასამართლოსაც დავარწმუნებთ და ამ ცილისწამებათა სერიას წერტილი დაესმება."*

ილია ნიკოლაიშვილი

---

სევილია. ძალადობა ანდალუსიურად

# ესპანეთის პრემიერ მინისტრი სევილიის წინააღმდეგ

## საპატეროს შინაგან საქმეთა მინისტრს გამოძიების პირად კონტროლზე აყვანა დაავალა

გუშინ ესპანეთის პროფესიული საფეხბურთო ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა "სევილიისა" და "ატლეტიკოს" მატჩში მომხდარ უსიამოვნო ინციდენტზე იმსჯელა. საქმე იმ ეპიზოდს შეეხებოდა, როცა **ენცო მარესკამ სერხიო აგუეროს** შელაპარაკების ნიადაგზე სახეში თავი ჩაარტყა. იტალიელმა კოლეგას ისეთი ძლიერი დარტყმა მიაყენა, რომ აგუეროს ორივე ნესტოდან სისხლი წასკდა. სხვათა შორის, ექიმებს სისხლდენის შეჩერება საკმაოდ გაუჭირდათ. ესპანეთის ფეხბურთის პროფესიული ლიგის მესვეურები აგრესიული გამოხდომების მიმართ ყოველთვის შეუწყნარებლები იყვნენ. ამჯერადაც ასე მოხდა. სადისციპლინო კომიტეტმა მომხდარი ფაქტის შესახებ დიდხანს იმსჯელა და, ფაქტობრივად, ერთსულოვანი გადაწყვეტილება მიიღო. მარესკას პრიმერა დივიზიონის ოთხ შეხვედრაში მონაწილეობა აეკრძალა. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით სადისციპლინო კომიტეტის ერთ-ერთი წევრის, **ხაიმე არაგონის** განცხადებას გაგაცნობთ: *"მარესკას ქმედება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. სპორტი ცხოვრების ჯანმრთელი წესის პოპულარიზაციას უნდა ემსახურებოდეს. ამიტომ, ხულიგნობის ყოველი ბინძური ფაქტი სათანადოდ შეფასდება. გვესმის, რომ მარესკას ემოციების მოთოკვა გაუჭირდა, თუმცა ნებისმიერი ადამიანი ვალდებულია, რთული სიტუაციიდან გამოსავალი მარტივად მონახოს. ყოველ შემთხვევაში, ძალადობა სრულიად დაუშვებელია. მოკლედ, მარესკას საქციელი პროფესიული ლიგის დებულების 122-ე მუხლს ეწინააღმდეგება. ამის გათვალისწინებით, სადისციპლინო კომიტეტმა აბსოლუტურად სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო."*

მარესკას არაკაცური საქციელი თითქმის მთელმა საფეხბურთო სამყარომ იხილა. ყველაფერი ნათელი და ცხადია, იტალიელმა სამართლიანი თამაშის პრინციპები ფეხქვეშ გათელა. ერთი შეხედვით, საკამათო მართლაც არაფერია და ანდალუსიელებს ხმა არ ამოეღებათ, მაგრამ ისინი მაინც აპელაციის შეტანას აპირებენ. აი, რას ვკითხულობთ "სევილიის" ოფიციალურ ვებგვერდზე: *"გვესმის, რომ ენცო მარესკამ ემოციების მოთოკვა ვერ შეძლო და აგუეროს მტკივნეული დარტყმა მიაყენა. თუმცა ჩვენი ფეხბურთელი პროვოკაციის მსხვერპლი გახდა. "ატლეტიკოს" არგენტინელმა ფორვარდმა მას სერიოზული სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. სადისციპლინო კომიტეტს რატომღაც ეს ეპიზოდი საერთოდ არ განუხილავს. აგუერო თავხედურად რომ არ მოქცეულიყო, არაფერი მოხდებოდა. რა თქმა უნდა, ჩვენი ფეხბურთელის საქციელს არ ვამართლებთ, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციით მისი დასჯა უსამართლო გადაწყვეტილებაა. ამიტომ, უახლოეს დღეებში ესპანეთის ფეხბურთის პროფესიული ლიგის სადისციპლინო კომიტეტში აპელაციას შევიტანთ. ბოლომდე ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ მარესკას დისკვალიფიკაციის ვადა შეუმცირდეს."*

ამასობაში, "სევილია" კიდევ უფრო დიდი უსიამოვნების წინაშე აღმოჩნდა.



ენცო მარესკა

როგორც იცით, გასულ შაბათს იმავე "ატლეტიკოსთან" მატჩის შემდეგ "სანჩეს პისხუანის" შემოგარენში ანდალუსიური კლუბის გულშემატკივრები "ატლეტიკოს" ინჩასებს დაერივნენ და დაუნდობელი ჩხუბი გამართეს. ამ ვანდალურმა ინციდენტმა ესპანურ მედიაში უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა. პირენეელები ყოველთვის იმით ამაყობდნენ, რომ პრიმერა დივიზიონი იტალიის ჩემპიონატივით ბინძური და სისხლიანი არ არის. ამიტომ, სევილიაში მომხდარი ფაქტი უკლებლივ ყველამ მტკივნეულად აღიქვა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად შეხლა-შემოხლისას "ატლეტიკოს" ერთი ფანი დაიჭრა. რამდენიმე კი ისე სცემეს, რომ საავადმყოფოში წაყვანა დასჭირდათ. აღსანიშნავია, რომ საფეხბურთო ძალადობას ესპანეთის მთავრობის უმაღლესი პირი **ხოსე ლუის როდრიგეს საპატეროც** გამოეხმაურა: *"ვსარგებლობ პრემიერ-მინისტრის სტატუსით და შინაგან საქმეთა სამინისტროს მომხდარი ფაქტის დეტალურად გამოძიებას ვავალებ. როგორც ვხვდები, თავად "სევილიის" ხელმძღვანელობა უსიამოვნო აჟიოტაჟის ჩაცხრომის მიზნით სიჩუმეს ამჯობინებს. ჩემთვის საქმისადმი ასეთი მიდგომა უზნეობაა და სხვა არაფერი. შინაგან საქმეთა მინისტრს ვავალებ, რომ გამოძიება პირად კონტროლზე აიყვანოს. ფეხბურთი ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ნათელი წერტილია და არ უნდა დავუშვათ, რომ ის ძალადობამ წალეკოს. სტადიონზე უამრავი ბავშვი დადის. უფროსმა თაობამ მათ კარგი მაგალითი უნდა მისცეს. მოკლედ, მჯერა, პოლიცია ნაყოფიერად იმუშავებს, როგორც ყოველთვის დამნაშავეებს გამოავლენს და, რა თქმა უნდა, დროულად დააპატიმრებს"*

ესპანეთი ის ქვეყანა არ არის, პოლიციას საკუთარი მოვალეობების პირნათლად შესასრულებლად პრემიერ-მინისტრის დავალების მიღება დასჭირდეს, თუმცა მისი აღმატებულების საქმეში ჩარევა ინციდენტს ძალაუნებურად დამატებით აჟიოტაჟს სძენს.

გუშინ ანდალუსიის მუნიციპალური პოლიციის შტაბბინაში საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა **სოლომონ ინჩურიასმა** საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და საზოგადოებას მომხდარი შეხლა-შემოხლის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა: *"ვრცელდება ინფორმაცია, რომ მასობრივი ჩხუბის დროს "ატლეტიკოს" ერთი ფანი სერიოზულად დაიჭრა. რა თქმა უნდა, ჩვენ საგულდაგულო მოკვლევა დავიწყეთ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ დაზარალებულს ვერსად მივაგენით. "ატლეტიკოს" დაჭრილი გულშემატკივარი არც ერთ კლინიკაში ან კერძო ექიმთან არ მიუყვანიათ. შესაძლოა, ეს ჭორი იყოს, ან ის სახლის პირობებში მკურნალობს. უახლოეს ორ დღეში ჩვენს ქალაქში ჩამოსული მადრიდელი გულშემატკივრების სიის სრულ ანალიზს დავასრულებთ და დედაქალაქელი კოლეგების დახმარებით დამატებით დეტალებს გამოვავლენთ. მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის ადამიანის დაჭრასთან დაკავშირებით არანაირ მტკიცებულებას არ ვფლობთ, ძიებას არ შევწყვეტთ. "სევილიის" პოლიცია სხვა მხრივაც ინტენსიურად მუშაობს. მადრიდელი გულშემატკივრების ცემაში ეჭვმიტანილი რამდენიმე ახალგაზრდა დავაკავეთ. დაკითხვის დეტალებს ვერ გავახმაურებ, თუმცა შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ძალიან საინტერესო დეტალები გამოიკვეთა. კერძოდ, ცნობილი ხდება, რომ სევილიაში აქამდე უცნობი გულშემატკივართა იატაკქვეშა ექსტრემისტული დაჯგუფება მოქმედებს. მათი მოქმედების მთავარი მიმართულება ქსენოფობია, დისკრიმინაცია და რასიზმია."*

ილია ნიკოლაიშვილი

უცხოური ფეხბურთი
ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის ნაკრები

# ჰიდინკმა კონტრაქტი გააფორმა

## მოლაპარაკებებს ხუთი თვე დასჭირდა



გუუს ჰიდინკი

**გუუს ჰიდინკმა** რუსეთის საფეხბურთო კავშირთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. ახლა უკვე დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ ჰოლანდიელი მწვრთნელი მოსკოვში 2010 წლამდე დარჩება და გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში უხელმძღვანელებს. ჰიდინკმა შეთანხმების გამო კმაყოფილება გამოთქვა: *"მოლაპარაკებებს დიდი ხანი დასჭირდა, მაგრამ შედეგით კმაყოფილი ვარ. ახლა შემიძლია, მხოლოდ ჩემს საქმეზე ვიფიქრო და გუნდი ევროპის ჩემპიონატისათვის მოვამზადო."*

ჰიდინკის თავდაპირველი კონტრაქტი ივლისში იწურებოდა. ახალი შეთანხმების დეტალები არ გახმაურებულა. ევროპის პირველობის შესარჩევ ციკლში, 61 წლის ჰიდინკს წელიწადში 2 მილიონ ევროს უხდიდნენ (რუსული სააგენტოები უფრო დიდ თანხას ასახელებდნენ). მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ მისი ხელფასი საგრძნობლად გაიზრდება. მისტერ გუუსს ფინანსურად **რომან აბრამოვიჩი** უზრუნველყოფს. "ჩელსის" ბოსი რუსეთის საფეხბურთო კავშირის ერთ-ერთი სპონსორია. ჰიდინკის ხელფასი მის მიერ დაარსებული სპორტის ეროვნული აკადემიის ფონდიდან იფარება.

ჰოლანდიელი რუსებს თანამშრომლობის გაგრძელებაზე გასული წლის ოქტომბერში მოურიგდა - ინგლისთან მოსკოვური მატჩის წინ. ეგონა, შეთანხმებას მაშინვე მოაწერდნენ ხელს, მაგრამ ურთიერთობის ოფიციალურად გაფორმებას კიდევ ხუთი თვე დასჭირდა. განსაკუთრებული ყურადღება გადასახადებზე იყო გაკეთებული. ჰიდინკი თაღლითობაშია შემჩნეული. ის ჰოლანდიის მთავრობას გადასახადებს უმალავდა. ამის გამო გასულ ზაფხულს სასამართლოშიც კი დაიბარეს. მწვრთნელი პატიმრობას, რა თქმა უნდა, გადაურჩა, მაგრამ 45 ათასი ევროთი დააჯარიმეს.

გუუსს სურდა, გადასახადები რუსეთის ბიუჯეტში გადაეხადა. მას ხომ მილიონობით ხელფასს რუსეთში უხდიან, მაგრამ ჰოლანდიელებმა თავიანთი წილი მოითხოვეს. საბოლოოდ, ყველა პრობლემა მოგვარდა და ახალ კონტრაქტს მოეწერა ხელი. ახლა ნამდვილად დაესმება წერტილი სპეკულაციებს ჰიდინკის მოსალოდნელი აბარგების თაობაზე. **ბერტ ვან მარვიიკის** დანიშვნამდე მას ჰოლანდიის ნაკრებში დაბრუნებასაც კი უწინასწარმეტყველებდნენ.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ვენგერმა ბენ არფა დაადასტურა

**არსენ ვენგერმა** დაადასტურა, რომ "ლიონის" გარემარბ **ჰატემ ბენ არფას** შეძენა სურს. საფრანგეთის ნაკრების ახალგაზრდა ვარსკვლავს წინა ხაზზე თამაშიც შეუძლია. "მეთოფეები" მისი თანაგუნდელის, თავდამსხმელ **ქარიმ ბენზემას** ტრანსფერზეც ფიქრობენ, მაგრამ უმთავრესი სამიზნე ბენ არფაა. ამ ფეხბურთელს სხვა ევროპული გრანდებიც აკვირდებიან - "რეალი", "ბარსელონა" და "იუვენტუსი". ჰატემი 21 წლისაა. ინგლისური სააგენტოების ცნობით, ის 24 მილიონი ევრო ღირს. ბენ არფას "ლიონთან" კონტრაქტი 2010 წელს უმთავრდება. საფრანგეთის ჩემპიონებს მასთან თანამშრომლობის გაგრძელება სურთ. ფეხბურთელი არ ჩქარობს. მას ხომ უცხოურ კლუბებთან გაცილებით სარფიანი ხელშეკრულების გაფორმება შეუძლია.

აქვე გეტყვით, რომ "არსენალის" კიდევ ერთი სამიზნეა "უდინეზეს" ცენტრალური მცველი **კრისტიან საპატა**. მსურველები არც ამ ბიჭს აკლია. 21 წლის საპატას "მილანმა" და "იუვენტუსმა" დაადგეს თვალი. ის 17 მილიონი ევრო ღირს. "უდინეზე" ფეხბურთელის შენარჩუნებას ცდილობს.

ბენფიკა

# რუი კოშტა დირექტორად, კეირუში მწვრთნელად?

პორტუგალიური სააგენტოების ცნობით, "მანჩესტერ იუნაიტედის" მეორე მწვრთნელ **კარლუშ კეირუშს** სამშობლოში ეპატიჟებიან. "ბენფიკას" მასთან კონტრაქტის გაფორმება უნდა. ლისაბონელთა პრეზიდენტ **ლუიშ ფელიპე ვიეირას** მომავალი სეზონისათვის ამბიციური გეგმები აქვს. მან სპორტული დირექტორის პოსტი **მანუელ რუი კოშტას** შესთავაზა. 35 წლის ვეტერანი დათანხმდა. მართალია, კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, მაგრამ შეთანხმებას ხელს წინ არაფერი უდგას. დანიშვნის შემთხვევაში, რუი კოშტას პირველი ტრანსფერი კეირუში უნდა იყოს. პრეზიდენტმა მას ამ საქმის მოგვარება დაავალა.

კეირუშის გადაბირება ადვილი არ იქნება. ის მანჩესტერში ჩინებულადაა მოწყობილი. **სერ ალექს ფერგიუსონის** პენსიაში გასვლის შემდეგ "მენიუს" მთავარ მწვრთნელად სწორედ მას მოიაზრებენ. სეუ კარლუშმა "მანჩესტერს" 2002 წლის ზაფხულში მიაშურა. ერთი წლის შემდეგ ის მადრიდის "რეალის" მთავარ მწვრთნელად დანიშნეს. პორტუგალიელმა სპეციალისტმა ესპანეთში ერთი სეზონი გაატარა და ისევ "მანჩესტერში" დაბრუნდა. 2004 წლიდან დღემდე ის სერ ალექს ფერგიუსონის ერთგული მოკავშირე და მარჯვენა ხელია.

ინტერი

# მანჩინი ბეწვზეგადარჩა

**იუვენტუსთან წაგებით გაბრაზებულმა მორატიმ მწვრთნელი კინაღამ გააგდო. ინტერში რონალდინიო და მოურინიო მოდიანო**



"ინტერში" ვნებები არ ცხრება. რობერტო მანჩინის სკამი, ვგონებთ, საბედისწეროდ მოირყა. "იუვენტუსთან" წაგებამ მწვრთნელის აქციები კიდევ უფრო დასცა. მართალია, მანჩინი იმედიანადაა - სკუდეტოში დარწმუნებული ვარ, დარჩენილ 8 თამაშს მოვიგებთო - მაგრამ რეალურად, სიტუაცია ერთობ დაძაბული და ფეთქებადსაშიშია. ყველა მატჩის მოგება, იმ ფსიქოლოგიური წნეხიდან გამომდინარე, რაც სეზონის დასკვნით ნაწილს ახლავს, ურთულესი ამოცანაა და რამდენად შესწევს "ინტერს" ამის ძალა, მაისში გამოჩნდება.

თუმცა, როგორც "ტუტოსპორტი" ამტკიცებს, მანჩინის ბედი ასეც და ისეც გადაწყვეტილია და ჩემპიონატის დასრულებისთანავე პოსტს აუცილებლად დატოვებს. მას ის ცნობილი განცხადება ტყუილად არ გაუკეთებია, უბრალოდ, სთხოვეს, სიტუაციის ზედმეტად დაძაბვისგან თავი შეეკავებინა და საჯაროდ ეთქვა, რომ "ინტერში" რჩება. მანჩინიმ კი, ამის საპასუხოდ, **მასიმო მორატის** გარკვეული მოთხოვნები წაუყენა და ვითომდაც მათი დაკმაყოფილების ფასად გადაწყვიტა მუშაობის გაგრძელება. მაგრამ მან სვლა კარგად ვერ გათვალა. ცხადია, ასეთ სიტუაციაში მორატის უფრო ქმედითი ბერკეტი უჩნდება საიმისოდ, რათა თითოეულ ქულაზე მწვრთნელს პასუხი გაცილებით მკაცრად მოსთხოვოს.

სწორედ ამ ბერკეტის ამოქმედება სცადა გაბრაზებულმა პრეზიდენტმა "იუვესთან" წაგების შემდეგ და, როგორც ამბობენ, მწვრთნელს, ფაქტობრივად, კარისკენ მიუთითა. მაგრამ მორატი ორმა გარემოებამ შეაყოვნა და დროებით უკან დაიხია: პირველი ისაა, რომ სეზონის ბოლომდე დარჩენილ მცირე პერიოდში მანჩინის სრულფასოვან შემცვლელს ვერ იპოვნიდა. ელემენტარულად, ამგვარ ვითარებაში მუშაობაზე არავინ დათანხმდებოდა. მორატი იმედს იტოვებს, რომ გუნდი წარმატებით მივა ფინიშამდე, მერე კი ყველაფერი შეიცვლება.



მეორე გარემოება ფეხბურთელების ფაქტორი გახლავთ. ცალკეული გამოცემების მტკიცებით, "იუვენტუსთან" მატჩის შემდეგ მორატი თურმე ცოფებს ყრიდა, რასაც მწვრთნელთან სიტყვიერი შეხლა-შემოხლაც მოჰყვა. მაგრამ მანჩინი ფეხბურთელებმა იხსნეს. პრეზიდენტმა დაინახა, რომ ამ ბრძოლაში "მანჩო" მარტო არ იყო. თუმცა ესეც საეჭვოა, რადგან ზოგიერთ მოთამაშესთან მანჩინის, რბილად რომ ვთქვათ, ცუდი ურთიერთობა აქვს. არა გვგონია, მის დამცველთა რიგებში **ზლატან იბრაჰიმოვიჩი, პატრიკ ვიეირა** და **ერნან კრესპო** ჩამდგარიყვნენ. თან ისიც ხომ ცნობილია, რომ ზოგ ფეხბურთელს თანაგუნდელებზე უფრო მეტი გავლენა აქვს, ვიდრე მწვრთნელს...

"ინტერში" მიმდინარე პროცესებმა დღის წესრიგში კიდევ ერთხელ დააყენა მანჩინის პოტენციური შემცვლელის საკითხი. როგორც ბრიტანული გამოცემა "ობსერვერი" იუწყება, მორატი უკვე დაუკავშირდა **ჟოზე მოურინიოს** აგენტ **ჟორჟე მენდეშს**, რათა უახლოეს მომავალში უშუალოდ პორტუგალიელ სპეციალისტთან უშუალო მოლაპარაკებები გამართოს. იმავე "ობსერვერის" მტკიცებით, მოურინიოს მორატისთვის აგენტის პირით შეუთვლია - თუ "ინტერის" მწვრთნელად დავინიშნები, არა მარტო სპორტული, ტექნიკური საკითხებიც (მაგალითად, ტრანსფერო პოლიტიკა) ჩემს კონტროლქვეშ უნდა იყოსო. მორატის თანხმობა უთქვამს...

■ ■ ■

როგორც ჩანს, მომავალი სეზონისთვის "ინტერში" მარტო მწვრთნელი არ შეიცვლება. საუბარია რამდენიმე საკადრო გადაადგილებაზეც და ამათგან, ყველაზე საყურადღებო და ხმაურიანი, **რონალდინიოს** ეხება. გაუჩოს "ბარსელონაში" საქმეები აწეწილი აქვს. ის პერმანენტულ კონფლიქტშია **ფრანკ რაიკაარდთან** და ხშირად ძირითად შემადგენლობაშიც ვერ ხვდება. 28 წლის პლეიმეიქერი მზადაა, კატალონიიდან აიბარგოს. იტალიაში მას ბევრი მთხოვნელი ჰყავს. პირველი იყო "მილანი", რომელმაც ბოლო პერიოდში ამ საქმისგან შორს დაიჭირა. "ბარსას" პრეზიდენტი **ხოან ლაპორტა** მეტისმეტად ძვირს, 60 მილიონ ევროს ითხოვს. მილანელი ბოსი **სილვიო ბერლუსკონი** ერთ ფეხბურთელში, თუნდაც ის რონალდინიო იყოს, ამხელა საფასურის გადახდას არ აპირებს. სამაგიეროდ, დედაქალაქელი კონკურენტის ჯიბრზე, **მასიმო მორატი** ყოფილა მზად, ბრაზილიელ სუპერვარსკვლავში ნებისმიერი თანხა გაიღოს.

მაგრამ მორატის გაცილებით გაუადვილდება ეს ტრანსფერი, თუკი საქმეში სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელი გიგანტი "ნაიკი" ჩაერევა. ეტყობა, ყველაფერი მართლაც აქეთკენ მიდის. სახელგანთქმული კომპანია რონალდინიოს პირადი და "ინტერის" ტექნიკური სპონსორი გახლავთ. იტალიური პრესის მტკიცებით, სწორედ "ნაიკი" დააფინანსებს "კიჟას" ტრანსფერის დიდ ნაწილს, დანარჩენზე კი მორატიმ უნდა იზრუნოს. როგორც ამბობენ, "ინტერის" მენეჯმენტს, "ნაიკის" წარმომადგენლებსა და რონალდინიოს აგენტს შორის მოლაპარაკებები მომავალ კვირაში დაიწყება.

მაგრამ "ინტერსა" და "ბარსელონას" შორის მოსალოდნელი გარიგება ამით არ ამოიწურება. ესპანური მხარე ითხოვს, რომ სატრანსფერო ოპერაციის ნაწილად იქცეს მილანელთა ბრაზილიელი მეკარე **ჟულიო სეზარი**. თუმცა მორატის ამაზე კატეგორიული უარი უთქვამს. მეორე ვარიანტად, თურმე, **მარკო მატერაცის** ბარსელონური მომავალიც განიხილება.

**გიორგი გელაშვილი**

# ინგლისს ფერდინანდი უკაპიტნებს

ინგლისის ნაკრების კაპიტნად **რიო ფერდინანდი** დაინიშნა. "მანჩესტერ იუნაიტედის" ცენტრალური მცველი დროებითი კაპიტანია. **ფაბიო კაპელო** კანდიდატების მოსინჯვას აგრძელებს. შვეიცარიასთან სადებიუტო მატჩისას სამკლაური ლივერპულელ **სტივ ჯერარდს** ეკეთა. კაპელოს დანიშვნამდე კი მთელი წელიწადნახევრის განმავლობაში ინგლისელთა ლიდერი **ჯონ ტერი** იყო. დღეს ინგლისი საფრანგეთს ეთამაშება. გუნდს, როგორც ვთქვით, ფერდინანდი გაუძღვება. იმის გამო, რომ ეს **დევიდ ბექჰემის** მე-100 სანაკრებო მატჩია, ვარაუდობდნენ, რომ სამკლაურს ის ჩაიბარებდა, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა. დონ ფაბიო ნაკრების მუდმივ კაპიტანს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წინ, აგვისტოში დაასახელებს.

# ფრაიმ რეკორდს დაუმიზნა

შვეიცარიის ნაკრების თავდამსხმელი **ალექსანდერ ფრაი** რეკორდის დამყარებას აპირებს. 28 წლის ფეხბურთელმა ეროვნულ გუნდში 32 გოლი გაიტანა. ის მხოლოდ ორი ბურთით ჩამორჩება მოქმედ რეკორდსმენ **ქუბილაი თურქილმაზს**, რომლის აქტივში 34 ბურთია. ფრაი დორტმუნდის "ბორუსიაში" თამაშობს. ბარძაყის მძიმე ტრავმის გამო მას ნაკრებში მთელი ერთი წელი გაუცდა. დღეს შვეიცარია გერმანიასთან ამხანაგურ მატჩს მართავს. ალექსანდერი ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს და რეკორდთან მიახლოებას შეეცდება. მას სურს, 34 გოლი ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე დააგროვოს. გერმანელებთან შეხვედრის შემდეგ მას კიდევ ორი შანსი ექნება: შვეიცარია სლოვაკეთსა და ლიხტენშტაინთან თამაშსაც გეგმავს. იმასაც შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გუნდს "ბაიერნის" თავკაცი **ოტმარ ჰიტცფელდი** ჩაიბარებს.

# პეიტინგა ატლეტიკოში გაიყიდა

"აიაქსის" მცველი **ჯონი ჰეიტინგა** მადრიდის "ატლეტიკოში" გადადის. ეს ინფორმაცია ჰოლანდიურმა გამოცემამ "დე ტელეგრააფმა" გაავრცელა. ფეხბურთელმა ესპანელებთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამსტერდამელები მის სანაცვლოდ სოლიდურ თანხას მიიღებენ. თანხის ოდენობა არ ხმაურდება. მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ "ატლეტიკოს" ჰეიტინგა 10 მილიონი ევრო დაუჯდება. ეს რიცხვი პირდაპირაა ჩაწერილი ფეხბურთელის კონტრაქტში. თავის დროზე ჯონი "აიაქსში" იმ პირობით დარჩა, თუ გარანტიას მისცემდნენ, რომ სხვა კლუბის დაინტერესების შემთხვევაში, 10 მილიონზე ძვირად არ დააფასებდნენ. "აიაქსმა" მოთამაშეს ეს გარანტია მისცა. ჰეიტინგა 24 წლისაა. მას ჰოლანდიის ნაკრებში 32 მატჩი აქვს ჩატარებული. "აიაქსში" მისი დებიუტი 2001 წელს, 17 წლის ასაკში შედგა. შეგახსენებთ, ამსტერდამელებმა მადრიდში ერთი წლის წინაც გაყიდეს ფეხბურთელი: 27 მილიონ ევროდ **ვესლი სნეიდერმა** "რეალს" მიაშურა.

# სოლიდმა პერენვენს მიაშურა

ჰოლანდიურ "ჰერენვენში" ახალი მწვრთნელი დაინიშნა. გუნდის გაძღოლა ნორვეგიელმა **ტრონდ სოლიდმა** ითავა. 48 წლის სპეციალისტმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ის მუშაობას 1 ივლისიდან შეუდგება. სოლიდს სხვადასხვა დროს "რუსენბორგში", "ბრიუგესა" და "ოლიმპიაკოსში" უმუშავია. ამჟამად ის ბელგიურ "გენტში" მოღვაწეობს. ნორვეგიელი მწვრთნელი "ჰერენვენში" **გერტ იან ფერბეეკის** ადგილს დაიჭერს. ამ უკანასკნელს კონტრაქტი ივნისში ეწურება და "ფეიენოორდში" მიდის. "ფეიენოორდის" თავკაცი **ბერტ ვან მარვაიკი** ჰოლანდიის ნაკრებში ინიშნება. ჰოლანდიელთა მთავარმა მწვრთნელმა **მარკო ვან ბასტენმა** კი "აიაქსთან" უკვე გააფორმა კონტრაქტი.

# ბელგიელი საყრდენი ბაიერნში?

"ბაიერნმა" ლიეჟის "სტანდარდის" საყრდენ ნახევარმცველ **მარუან ფელაინის** დაადგა თვალი. "ბილდის" ცნობით, მიუნხენური გიგანტი ერთადერთი არ არის, რომელსაც ამ ბიჭის შეძენა უნდა. დაინტერესებულთა სიაში არიან "მანჩესტერ იუნაიტედი", "ჩელსი", "ტოტენჰემი", "ფიორენტინა", "ლიონი", "მარსელი" და "პარი სენ ჟერმენი". ბავარიელები ბელგიის ნაკრების ფეხბურთელს **ზე რობერტოსა** და **მარკ ვან ბომელის** შემცვლელად განიხილავენ. 20 წლის ფელაინის "სტანდარდთან" კონტრაქტი 2012 წელს უმთავრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მსურველ კლუბი სოლიდური თანხის გადახდა მოუწევს. ამასობაში, "ბაიერნი" კიდევ ერთი ნახევარმცველით დაინტერესდა. საუბარია "სელტიკისა" და შოტლანდიის ახალგაზრდული ნაკრების 21 წლის ფეხბურთელ **ოლდენ მაკგიდის** ტრანსფერზე. კომენტარები უცნობია.

# ლუჩესკუ შეიძლება შინ დაბრუნდეს

"შახტიორის" მთავარი მწვრთნელი **მირჩა ლუჩესკუ** ბუქარესტში ჩავიდა. ადგილობრივმა "დინამომ" მას სარფიანი კონტრაქტი და შინ დაბრუნება შესთავაზა. ლუჩესკუს უკრაინულ გრანდთან ხელშეკრულება 2009 წლის ივნისში უმთავრდება. დინამოელებს მისი გადაბირება უკვე ამ ზაფხულს სურთ. პირობები მაცდუნებელია: სოლიდური ხელფასის გარდა, 62 წლის სპეციალისტს გუნდის გასაძლიერებლად 20 ილიონი ევრო ალუთქვეს. ლუჩესკუს საშუალება მიეცემა, "დინამოს" საქმეები მთლიანად საკუთარი შეხედულებებისამებრ წარმართოს. მწვრთნელი დონეცკში ისე გაემგზავრა, რომ შესაძლო ტრანსფერთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

# ბილიჩმა ჰამბურგი იუარა

ხორვატიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **სლავენ ბილიჩმა** "ჰამბურგს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნაზე უარი შეუთვალა. როგორც იცით, ჰამბურგელებს ეს უკანასკნელი **ჰუუბ სტევენსის** შემცვლელად სურდათ, რომელიც ზაფხულში ჩრდილოგერმანულ კლუბს დატოვებს და "ეინდჰოვენის" დამრიგებელი გახდება. ბილიჩი ჰამბურგელთა ტოპკანდიდატი იყო, მაგრამ უარი განაცხადა და როგორც ირკვევა, ის ხორვატიის ნაკრებში მუშაობას ევროპის ჩემპიონატის შემდეგაც გააგრძელებს.



სლავენ ბილიჩი

დორტმუნდი

# დოლმა ფრაი დაადუმა

## დაბრუნების შემდეგ შვეიცარიელმა მოედანზე 572 წუთი გაატარა და გოლი ჯერ არ გაუტანია...

შვეიცარია. ფოიზისბერგი. აქ შვეიცარიის ეროვნული ნაკრებია დაბანაკებული. **იაკობ კუნის** შეგირდები დღეს გერმანიის ნაკრებს ამხანაგურად გაეჯიბრებიან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ევროპის ჩემპიონატის მასპინძელთა გუნდში იდეალური განწყობაა და ფაქტია ისიც, რომ ეს მეტწილად შვეიცარიელთა ფორვარდისა და კაპიტნის, **ალექსანდერ ფრაის** დამსახურებაა. მიუხედავად იმისა, რომ 28 წლის თავდამსხმელს კლუბში საქმეები კარგად ვერ მისდის, ნაკრებში სულ სხვა, ჩინებული განწყობითაა და როგორც კაპიტანი, თანაგუნდელებსაც ასევე განაწყობს.

აგერ უკვე რამდენიმე თამაშია, რაც დორტმუნდის "ბორუსიის" მთავარი მწვრთნელი **თომას დოლი** ფრაის აღარ ენდობა. ამაში გაუგებარი არაფერია, რადგან გამოჯანმრთელების შემდეგ შვეიცარიელს გოლი არ გაუტანია და აშკარად ეტყობა, რომ ცუდ ფორმაშია. არადა, როგორ ელოდნენ დორტმუნდელი ქომაგები მის დაბრუნებას - გაგიჟებას იყვნენ, როცა წარმოიდგენდნენ, რომ BVB-ს თავდასხმაში ფრაისა და



ალექს ფრაი და თომას დოლი ბოლო დროს ერთმანეთს ველარ უგებენ

**მლადენ პეტრიჩის** დუეტს იხილავდნენ. ალექსი დაბრუნდა, მაგრამ ფორმის აღდგენა გაუჭირდა. შესაბამისად, ახლა იძულებულია შეეგუოს იმას, რომ "ვესტფალენშტადიონის" პუბლიკის უსაყვარლესი ფეხბურთელი ჰქვია და სათადარიგოთა სკამს ხეხავს. შეგუება ძალიან უჭირს, მაგრამ სხვა გზა არა აქვს. სხვა საქმეა ის, რომ ბოლო დროს ყველანაირ კომენტარზე უარს აცხადებს და ინტერვიუებსაც აღარ იძლევა.

პრინციპში, დოლის არგუმენტები მისაღებია. თომასი ამბობს, ალექსი ჯერ კიდევ არ არის იმ დონეზე, რომ სასტარტო შემადგენლობაში ითამაშოს და მხოლოდ იმიტომ, რომ ალექსანდერ ფრაი ჰქვია, 90 წუთს მოედანზე ვერ გავატარებინებო. შვეიცარიელს რვათვიანი იძულებითი პაუზა ჰქონდა და სიმართლე ითქვას, არცაა გასაკვირი, ფორმის აღდგენისა და ძველებური თავდაჯერების დაბრუნებისთვის გაცილებით მეტი დრო რომ სჭირდება, ვიდრე ეს "ბორუსიის" ფანებს წარმოედგინათ და სურდათ. დოლმა ალექსი დაბრუნების შემდეგ (2 თებერვალს "დუისბურგთან" მატჩში, 3:3) 7 შეხვედრაში ათამაშა და შვეიცარიელის მონაგარი ოდენ 3 საგოლე პასია. და არცერთი გოლი! 527-წუთიანი უგოლო სერია კი თავდამსხმელისთვის, რბილად რომ ვთქვათ, ცუდი შედეგია. არადა, წინა სეზონში ის ბუნდესლიგის ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი გახლდათ 16 გოლითა და 5 პასით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დორტმუნდელებს ციდან ვარსკვლავები არც შარშან დაუწყვეტიათ.

დოლი ამბობს, რომ მისი გადაწყვეტილება ფრაისთვის მისაღებია. გადაწყვეტილების არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ სახამ ალექსი ფორმაში არ შევა, ძირითად შემადგენლობაში პარაგვაელმა **ნელსონ ვალდესმა** უნდა ითამაშოს. თუმცა, დოლი აქაც რისკავს და დილემის წინაშეა, რადგან არც ვალდესია დიდად შედეგიანი და გოლები ფაქტობრივად ვერც მას გააქვს. თუმცალა, მოედანზე უფრო მხნედ გამოიყურება, ვიდრე შვეიცარიელი. ესეც არ იყოს, დიდი ხანია, გამძაფრდა დისკუსია იმის შესახებ, რომ ფრაი და პეტრიჩი თავდასხმაში ერთმანეთს ვერ ავსებენ და უკვე გაისმის კითხვები, უპრიანი ხომ არ იქნება, რომ ორივემ ერთად აღარასოდეს ითამაშოსო. პეტრიჩი ამ საკითხს ასე უყურებს: *"ორი კარგი ფეხბურთელი ერთმანეთს მუდამ შეავსებს. ფრაი შესანიშნავი მოთამაშეა და ვფიქრობ, არც მე ვარ ცუდი ფეხბურთელი."*

გამორიცხული არ არის, რომ ეს მოსაზრება ამავე შაბათს გამოიცადოს, რადგან ვალდესმა სანაკრებო შეკრებაზე მცირე ტრავმა მიიღო. თუმცალა, BVB-ს თავდასხმისთვის კიდევ ერთი კანდიდატია: არგენტინელი **დიეგო კლიმოვიჩი**, რომელსაც სასტარტოში მოხვედრის ფრაიზე მეტი შანსი აქვს.

**გოტფრიდ ლენცი**

---

ინტერვიუ რობერტო კარლოსთან

# ოფიციალურ ურთიერთობებს ვერ ვიტან

## ხუმარა ბრაზილიელმა პეპეს ისეთი რამ უთხრა, რეალის მცველი შოკში ჩააგდო

ესპანელი ჟურნალისტები სხვა ქვეყნებში გადახვეწილ პრიმერა დივიზიონის ყოფილ ვარსკვლავებს არასოდეს ივიწყებენ და დროთა განმავლობაში მათ ინტერვიუებს გვთავაზობენ. ამ გადმოსახედიდან, "დიარიო მარკას" კორესპონდენტის, ხოსე ფელიქს დიასისა და რობერტო კარლოსის შეხვედრა გასაკვირი სულაც არ არის. ბრაზილიელი მცველი მადრიდში ჩავიდა და ჩვენმა კოლეგამ შანსი არ გაუშვა. სამეფო კლუბის ყოფილ სუპერვარსკვლავს ის მრავალ საინტერესო საკითხზე ესაუბრა. ინტერვიუ საკმაოდ ვრცელი გამოვიდა, მაგრამ თქვენს სამსჯავროზე მხოლოდ ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებს გამოვიტანთ.



რობერტო კარლოსი

**- მადრიდში თქვენი ჩამოსვლა ყოველთვის დიდი მოვლენაა...**

- მადრიდი ჩემი მეორე სახლია. აქ მრავალი წელი გავატარე და რა თქმა უნდა, ესპანეთის დედაქალაქთან განსაკუთრებული გრძნობები მაკავშირებს. სიმართლე გითხრათ, ახლა ძალიან უცნაური განწყობა მაქვს. მადრიდში ვიმყოფები, მაგრამ ვალდებებასზე არ ვვარჯიშობ. მართალია, ბაზაზე მივედი, მაგრამ ბურთი არ გამიგორებია. ბიჭები ვნახე. ძალიან ბევრი ვილაპარაკეთ და ვიცინეთ. წარსული გავიხსენეთ. მოკლედ, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მადრიდში ვიმყოფები და ჩემს მეგობრებთან ვერთობი.

**- თუ არ ვცდები, აქ მხოლოდ გასართობად არ ჩამოსულხართ...**

- მართალი ბრძანდებით. მადრიდში ჩამოსვლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი დოქტორ ერნანდესთან შეხვედრა გახლდათ. "რეალის" ექიმი ჩემი ძველი მეგობარია. მას თვალდახუჭული ვენდობი. ნამდვილი პროფესიონალია და მინდოდა, გავესინჯე. მოგეხსენებათ, ახლა ტრავმას ვმკურნალობ და მისი რჩევები მჭირდება. დოქტორ ერნანდესმა გულდასმით გამსინჯა და ერთი ცენტიც არ გადამახდევინა (იცინის). მითხრა, შენ ჩვენებური ხარ და უარს როგორ გეტყვიო. ფასდაუდებელი რჩევები მომცა. მის ყველა რეკომენდაციას გავითვალისწინებ და მალე ფეხზე დავდგები.

**- არ გვეტყვით, "რეალის" ფეხბურთელებმა და ხელმძღვანელებმა რა გითხრეს?**

- აბსოლუტურად ყველამ გულთბილად მიმიღო. მეხუმრებიან, რაც შენ წახვედი, გუნდმა ძველი სულისკვეთება დაკარგაო. მითხრეს, თურქეთში რა დაგრჩენია, დაგვიბრუნდი და ამით ყველა მოგებული დავრჩებითო (იცინის). რა თქმა უნდა, მეც გულიად შევხვდი მეგობრებს. იმედია, ცუდად არ გამიგებთ, მაგრამ განსაკუთრებით, რა თქმა უნდა, ბაპტიშტას, რობინიოს, მარსელოს, ტორესის, სერხიო რამოსისა და მიჩელ სალგადოს ნახვა გამიხარდა. ჩვენ ძალიან ბევრი რამ გვაკავშირებს ერთმანეთთან. დიდი მეგობრები ვართ. ბუნებრივია, გუტის, რაულსა და იკერსაც გადავეხვიე. ახლწვეულებს კი წარმატებები ვუსურვე. ვფიქრობ, ხელმძღვანელობამ შესანიშნავი ფეხბურთელები გადაიბირა. დარწმუნებული ვარ, ისინი გუნდს სერიოზულ წარმატებებს მოუტანენ. ვინც მიცნობს, ყველა იტყვის, რომ ოფიციალურ ურთიერთობებს ვერ ვიტან. პირველად ნანახ ადამიანთანაც კი ვცდილობ, მეგობრული ურთიერთობა დავამყარო. საამისო საუკეთესო საშუალება იუმორია. თანამოსაუბრეს უნდა აგრძნობინო, რომ მასაც შეუძლია გაგეხუმროს. "რეალის" ახალწვეულებმა ჩემი ფილოსოფია უკვე გამოსცადეს (იცინის).

**- ჩვენც გაგვაცინეთ თუ შეიძლება...**

- მხოლოდ ერთ ისტორიას მოგიყვებით. ბაზაზე პეპეს შევხვდი. მოვიდა და ყურებამდე გაღიმებულმა ხელი ჩამომართვა. ვუთხარი, უი, ეს როგორი გარეგნობა გქონია, ტელეეკრანზე უფრო ლამაზი ხარ-მეთქი. შევატყვე, შოკში ჩავარდა და სიტუაციის განსამუხტავად ვუთხარი, რა იყო, ხომ არ გეწყინა, ცხოვრებაშიცა და ტელეეკრანზეც მახინჯი ვარ-მეთქი. ორივემ გულიანად ვიცინეთ. განცვიფრებული პეპეს სახე მთელი ცხოვრება მემახსოვრება. მართლაც ძალიან მიხარია, რომ სახლში შემოვიარე.

**- დღევანდელ "რეალზე" რას გვეტყვით? როგორ მოგწონთ თქვენ სახლში არსებული სიტუაცია?**

- ბიჭებს ყველა პირობა ჰქონდათ იმისთვის, რომ "ბარსელონასთვის" სულ მცირე 17 ქულით გაესწროთ, თუმცა ახლა მხოლოდ შვიდქულიან უპირატესობას ფლობენ. ალბათ, ჯობს გულწრფელი ვიყო და ის ვთქვა, რასაც ვფიქრობ. გუნდი არასტაბილურად ასპარეზობს. მიმდინარე სეზონში სამეფო კლუბმა მაღალ დონეზე მხოლოდ რამდენიმე მატჩი ჩაატარა. დანარჩენ ტურებში კი ნაკლები სანახაობა იყო. მიუხედავად ამისა, "რეალს" ფანტასტიკური შანსი აქვს იმისთვის, რომ ჩემპიონის ტიტული ვადამდე მოიპოვოს.

**- თავად აღნიშნეთ, რომ თამაშის ხარისხი არ ვარგა. როგორ ფიქრობთ, ამ ფაქტს რა განაპირობებს?**

- ობიექტურად რომ ვისაუბრო, გუნდი გადაიღალა. ჩემზე კარგად ვის ეცოდინება, ერთდროულად რამდენიმე ფრონტზე ბრძოლა რამხელა დატვირთვებთანაა დაკავშირებული. პრიმერა დივიზიონს საკადრისი ყურადღება უნდა მიაქციო, პარალელურად სამეფო თასსა და ჩემპიონთა ლიგაზეც უნდა იფიქრო. ვერ წარმოიდგენთ, ეს ყველაფერი რამხელა ენერგიას მოითხოვს. ამიტომ, სულაც არ მიკვირს, როცა ვხედავ, რომ ბიჭები დაიღალნენ. მოდით, ძალიან ნუ გავაკრიტიკებთ მათ. კი ავღნიშნე, რომ თამაშის ხარისხი არ მომწონს, თუმცა ეს კრიტიკა არ იყო. უბრალოდ, ფაქტს გავუსვი ხაზი. "რეალს" ახლა ყველაზე მეტად სიმშვიდე სჭირდება. ხალხმა უნდა მოითმინოს და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება აუცილებლად მოვა. გაიხსენეთ, როგორი მემკვიდრეობა დახვდა ფაბიო კაპელოს. სამეფო კლუბს წლების განმავლობაში არაფერი მოეგო. ერთ და ორ სეზონში ამხელა ნაპრალის ამოვსება შეუძლებელია. ყველა დიდი წარმატება ნაბიჯ-ნაბიჯ მიიღწევა. ალპინისტი მწვერვალზე მთის ძირიდან ადის. ასეა ფეხბურთშიც. ჩემპიონთა ლიგაში უდიდესი კონკურენციაა. ერთი შეხედვით, "რომას" შანსი არ ჰქონდა. იტალიური გუნდი ტიტულებითა და ისტორიით "რეალთან" ახლოსაც ვერ მივა, მაგრამ მერვედფინალში ამას აბსოლუტურად არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. სამეფო კლუბმა ფსკერიდან ამოსვლა ორი წლის წინათ დაიწყო, "რომა" კი ბოლო რამდენიმე სეზონია ყოველდღიურად იზრდება. ჰოდა, კონკრეტულ ორ მატჩს უფრო კარგად მომზადებული შეხვდა და გაიმარჯვა. დარწმუნებული ვარ, რომაული კლუბი ხანგრძლივ ტურნირში "რეალს" ვერ აჯობებს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგას აბსოლუტურად განსხვავებული სპეციფიკა აქვს.

**- "ბარსელონაც" ფატალურად გამოიყურება. წელს ერთი ხუმრობაა მოდაში, პრიმერა დივიზიონს ყველაზე უსახური გუნდი მოიგებსო...**

- (იცინის) დარწმუნებული ვარ, ეს ხუმრობა გასულმა სეზონმა შვა. ყველას გვახსოვს, შარშან საშინლად ვთამაშობდით, მაგრამ ბოლოს ძალა მოვიკრიბეთ და ჩემპიონები გავხდით. უელვაში გატანილი გოლი არასოდეს დამავიწყდება. თითოეული ფეხბურთელი, რომელიც მოედანზე გავიდა, მზად იყო სიცოცხლე გაეწირა. თავს არავინ უფრთხილდებოდა. ისეთ ორთაბრძოლებში შევდიოდით, შეიძლებოდა სამუდამოდ ხეიბარი დარჩენილიყავი.

**- დღევანდელი გუნდიდან, ყველაზე მეტად რომელი ფეხბურთელი მოგწონთ?**

- რობინიო და სერხიო რამოსი. ისინი შეუდარებლები არიან.

**- ახალწვეულები ჯერჯერობით ვერ ბრწყინავენ...**

- ესპანეთში თამაში ძალიან ძნელია. რაოდენ დიდი გამოცდილებაც არ უნდა გქონდეს, პრიმერა დივიზიონს მოკლე დროში ვერ აუწყობ ფეხს. ამიტომ, საზოგადოებამ ისევ და ისევ მოთმინება უნდა მოიკრიბოს და ფეხბურთელებს მშვიდად მუშაობის საშუალება მისცეს.

**- ფეხბურთმა რონალდინიო დაკარგა. პრიმერა დივიზიონში თამაშის უდიდესი გამოცდილებისა და ფენომენალური წარმატებების მიუხედავად, გაუჩოსგან მისი აჩრდილიც არ დარჩა...**

- რონალდინიო უმადურობის მსხვერპლია. ხალხი კიდევ ვერ ხვდება, რა გააკეთა და რას აკეთებს გაუჩო "ბარსელონასთვის". გაუჩო რომ არ ყოფილიყო, "ბარსა" ჩემპიონთა ლიგაში ვერ გაიმარჯვებდა. ეს გამორიცხულია. ის ახლაც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. მერწმუნეთ, კატალონიურ გრანდს დღესაც გრანდი რომ ეწოდება და მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ ფლაგმანად ითვლება, სწორედ რონალდინიოს დამსახურებაა. მე რომ მწვრთნელი ვიყო, მას ყოველთვის ძირითად შემადგენლობაში ვათამაშებდი. რატომღაც ყველა რონალდინიოს ადანაშაულებს. არადა, იმის აღნიშვნა ავიწყდებათ, რომ მთელი გუნდი ცუდად თამაშობს. როცა სისტემა დარღვეულია, ერთი კაცი ვერაფერს გააკეთებს. თუნდაც ის დრო გაიხსენეთ, როცა "რეალი" ძალიან ცუდად გამოიყურებოდა. განა, ზინედინ ზიდანი მაშინ შესაძლებლობების მაქსიმუმს ამჟღავნებდა? წარმოუდგენელია, გუნდი დემორალიზებული იყოს და ცალკეულმა ვარსკვლავმა სასწაული მოახდინოს. საკმარისია, დაცვა და ნახევრადაცვა დალაგდეს, რონალდიონიო გაცილებით ეფექტურად ითამაშებს.

**- როგორ ფიქრობთ, "ბარსას" შესწევს ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვების უნარი?**

- იმისთვის, რომ კატალონიელებმა ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვონ, ჩვენ უნდა დაგვამარცხონ. მჯერა, "ჩელსის" ბარიერს გადავლახავთ, ნახევარფინალშიც გავიმარჯვებთ და ფინალში გავალთ. თუ ჩვენი მოწინააღმდეგე "ბარსელონა" იქნება, რა თქმა უნდა, მას არაფერს დავუთმობთ. ჩემი აზრით, "ფენერბაჰჩე" ჩემპიონთა ლიგის ფავორიტია.

**- "რეალის" პრიმერადივიზიონურ შანსებზე რას გვეტყვით?**

- უკვე მოგახსენეთ, რომ რამდენიმე შეხვედრის მოგების შემთხვევაში სამეფო კლუბი ჩემპიონი გახდება. ვფიქრობ, 5-6 ტურის შემდეგ "რეალი" ვადამდელ ჩემპიონობას მოიპოვებს.

**- ესე იგი, "ბარსელონას" "სანტიაგო ბერნაბეუზე" "რეალისთვის" საჩემპიონო დერეფნის გაკეთება მოუწევს?**

- დარწმუნებული ვარ, სუპერკლასიკოს სამეფო კლუბი ჩემპიონის რანგში შეხვდება. იმას კი ვერ გეტყვით, კატალონიელები დერეფანს გააკეთებენ თუ არა, მაგრამ დამეთანხმებით, ეს ძალიან ლამაზი სანახაობა იქნება.

**- შუსტერის მუშაობას როგორ შეაფასებთ?**

- ძალიან მშვიდი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. ყველას საკუთარი ხასიათი გამოარჩევს. მგონი, განათლებული და ზრდილობიანი ადამიანია. "რეალიდან" რომ არ წავსულიყავი, შუსტერთან უპრობლემოდ ვიმუშავებდი. უფრო მეტიც, ამ კაცთან თანამშრომლობა დიდი პატივი იქნებოდა.

**- "რეალისა" და "ვალენსიას" მატჩის შესახებ რას მეტყვით?**

- "რეალი" 2:0-ს მოიგებს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ჭადრაკი. საქართველოს ჩემპიონატი. ვაჟები

# ნახევარფინალში მოგება ნახევარი საქმეა

| ნახევარფინალი. პირველი პარტია | |
|---|---|
| ლევან ფანცულაია (2629) - კონსტანტინე შანავა (2521) | 1:0 |
| გიორგი მარგველაშვილი (2455) - მიხეილ მჭედლიშვილი (2635) | 1:0 |



ლევან ფანცულაია

თბილისის ჭადრაკის სასახლეში ნახევარფინალური ეტაპის პირველი პარტიები ნაცვლად ორშაბათისა, გუშინ გაიმართა. მართალია, დებულებით შესვენების დღე არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ ორგანიზატორებსა და ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელობას ნახევარფინალისტებმა თხოვნით მიმართეს, ძალიან დავიღალეთ და ეგებ ანგარიში გაგვიწიოთო. ნოკაუტ სისტემა ხანგრძლივ დროს მოითხოვს, - ჩემპიონობისა და მესამე ადგილისთვის ბრძოლისას კი ოთხი პარტია უნდა გათამაშდეს, რაც კიდევ მეტ ენერგიას საჭიროებს და ასეთი წინადადების გათვალისწინება არ იქნებოდა დანაშაული. ფედერაციამაც დააკმაყოფილა ოთხეულის თხოვნა.

ნახევარფინალში **ლევან ფანცულაია კონსტანტინე შანავას** დაუწყვილდა, **გიორგი მარგველაშვილი** კი **მიხეილ მჭედლიშვილს**. ფანცულაია და მჭედლიშვილი გამოკვეთილი ფავორიტები იყვნენ, რადგანაც რეიტინგით ბევრად აღემატებიან მოწინააღმდეგეს და საქართველოს ნაკრების უმთავრესი კანდიდატებიც არიან.

ფანცულაია პირველ პარტიაში თეთრებით იყო, მჭედლიშვილი კი - შავებით. ლევანს თამაშის აქტიური სტილი გამოარჩევს, რაც შეტევას გულისხმობს, მჭედლიშვილი კი უფრო პოზიციური სტილის მიმდევარია, კარგად ეხერხება თავდაცვა და თუკი შანსი მიეცა, კონტრშეტევაზეც უმალ გადადის, სადაც თავდაჭერილად, კარგად გამოზომილი სვლებით ცდილობს წარმატების მიღწევას. ლევანმა ჩვეულად წარმართა პარტია, თუმცა, შუა თამაშში ისეთი რთული პოზიცია შეიქმნა, რომ პროგნოზის გაკეთებას ვერავინ იკისრებდა. ლევანმა პაიკი შეწირა ინიციატივისთვის, მაგრამ ისე ჩანდა, რომ შესაბამისი სარგებელი ვერ უნდა ენახა - შავების C პაიკი ლაზიერად გასვლას ლამობდა და ეტლებითა და ლაზიერით ზურგგამაგრებული იყო. ფანცულაიამ შესანიშნავად წარმართა დასკვნითი ნაწილი, ეტლიც კი გაწირა კუს სანაცვლოდ და მეტოქის მეფე გამოუვალი შამათის წინაშე დააყენა. შანავამ შამათამდე ორი სვლით ადრე აღიარა მარცხი.

როგორც აღვნიშნეთ, ფანცულაია წყვილის ფავორიტი იყო და მისი გამარჯვება არავის გაკვირვებია, მაგრამ მიხეილ მჭედლიშვილის მარცხი კი შეიძლება დიდი მოულოდნელობად ჩაითვალოს. გიორგი მარგველაშვილის სათამაშო კლასი მაღალია, მაგრამ გამოცდილებითაც ჩამორჩება მჭედლიშვილს, წოდებითაც და რეიტინგითაც. ყველაფერი ეს, კლასში უპირატესობას ნიშნავს, მაგრამ გუშინდელი პარტია ისე წარიმართა, მარგველაშვილს ახლავე მიანიჭებდა კაცი დიდოსტატის წოდებას. დებიუტის კარგად წარმართვის შემდეგ გიორგიმ შუა თამაშში პოზიციური უპირატესობა გამოიყენა და პაიკით დაწინაურდა. მსუბუქი ფიგურების გაცვლის შემდეგ ლაზიერის და თითო ეტლის ენდშპილი გამოვიდა, სადაც თეთრები აშკარად მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდნენ. თუმც ყურადღების მოდუნება არ შეიძლებოდა, რადგანაც მცირე, მაგრამ კონტრშანსი შავებსაც შერჩენოდათ. ახალგაზრდა მოჭადრაკემ ბრწყინვალედ წარმართა დასკვნითი ნაწილიც და ფანცულაიას დარად მანაც დააშამათა მეტოქე.

დღეს მეორე პარტიაა და გამარჯვებულებს ფინალში გასასვლელად ყაიმიც ყოფნით. ფანცულაიას შესაძლებლობებზე აღარ შევჩერდებით, თუმც მეტოქის დაუფასებლობა არაფრით იქნება - კონსტანტინეს ნებისმიერი მოწინააღმდეგის დამარცხება შეუძლია; მარგველაშვილს კი დიდი გამოცდა ელის - გააფთრებული შეტევების მოგერიება მოუწევს. სხვათა შორის, გიორგი დებიუტების კარგი მცოდნეა და სათამაშო სტილიც მჭედლიშვილს მიუგავს, ანუ თავდაცვა კარგად შეუძლია. შეძლებს თუ არა თავის დაცვას დღეს, მთელი ინტრიგაც ამაშია...

**ზვიად შათირიშვილი**

რაგბი. ინტერვიუ მალხაზ ურჯუკაშვილთან

# უიღბლო წელიწადი

## მეოთხე ტრავმა და გაცდენილი თამაში რუსეთთან



მალხაზ ურჯუკაშვილი

**წლევანდელი სეზონი საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ნევრის, მალხაზ ურჯუკაშვილისთვის უაღრესად უიღბლო გამოდგა. საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის მე-2 დივიზიონში მოთამაშე "ორიიაკში" მახო ჯერ კიდევ მსოფლიო თასის დაწყებამდე ჩაირიცხა, თუმცა თამაში არაფრით დასცალდა.**

- წლეულს ძალიან დავითარსე, - გვიამბობს მალხაზ ურჯუკაშვილი. - ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირით ადრე "ორიიაკის" შამადგენლობაში საკონტროლო შეხვედრაში ვითამაშე და ისეთი ტრავმა მივიღე, სამი თვე ვმკურნალობდი. ვარჯიში რომ დავიწყე და ის იყო უკვე ძირითადში უნდა მეთამაშა, კოჭი გამისივდა. ესეც რომ მოვირჩინე, ვარჯიშზე მუხლი შემომიბრუნდა. ამასაც გავუძელი. მწყობრში ჩავდექი და გასულ უქმეებზე ლიონში, როგორც იქნა, თამაშს ველირსე, მაგრამ რა, პირველი ტაიმის მიწურულს საზარდულთან საშინელი ტკივილი ვიგრძენი. უმალვე შემცვალეს.

**- ამჯერად ტრავმა რამდენად სერიოზულია?**

- ჯერჯერობით, არ ვიცი. ამ დღეებში სურათს გადამიღებენ და დავადგენთ, განყვეტილი ხომ არაა კუნთი. არადა, ტკივილები ახლაც მაწუხებს. ვფიქრობ, კიდევ მომიწევს ექიმებთან ხშირი სიარული.

**- გამოდის, რუსეთის ნაკრებთან მატჩში 12 აპრილს ვერ ითამაშებთ?**

- ახლა ამაზე ვერაფერს გეტყვით. მინიმუმ ორი კვირა მაინც მომიწევს ალბათ უქმად ყოფნა. მაგ დროისთვის ჯანმრთელიც რომ ვიყო, სათანადო ფორმაში მაინც ვერ ვიქნები. ამიტომ ალბათ უმჯობესია, ვინც უკეთეს სპორტულ ფორმაშია, იმან ითამაშოს. კიდევ კარგი, ნაკრებში თამაშის ღირსი მოთამაშეები საკმარისად გვყავს.

**- ამდენი უთამაშებლობის გამო კლუბში პრობლემები ხომ არ გექმნებათ, სხვა გუნდში ხომ არ აპირებთ გადასვლას?**

- ეგ საკითხი გასარკვევია. "ორიიაკის" მწვრთნელმა დარჩენა კი შემომთავაზა ამასწინათ, მაგრამ ახლა ისევ ტრავმა რომ მივიღე, შესაძლოა, აზრი შეიცვალოს. ის, იმედი არ მაქვს, რომ აქვე დამტოვებენ. მთელი სეზონი არ მითამაშია. ტრავმიანი მორაგბე კი არავის სჭირდება. შესაძლოა, სხვა ნორმალური გუნდის მოძებნაც გამიჭირდეს.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, კლუბები უკვე აწარმოებენ თავიანთთვის სასურველ მორაგბეებთან მოლაპარაკებებს. ქართველი მორაგბეების კარიერაში რაიმე ცვლილებები ხომ არ მომხდარა უკვე?**

- დიახ, მოხდა. მეორე დივიზიონის "მონ დე მარსანში" მოთამაშე ირაკლი მაჩხანელმა კონტრაქტს ხელი "აჟენთან" მოაწერა. ამ გუნდს ჩვენი ყოფილი კონსულტანტი ანრი ბრონკანი წვრთნის. კლერმონელი გოდერძი შველიძე კი მომავალი სეზონიდან ისევ პირველ დივიზიონში ითამაშებს, ოლონდ "მონტობანის" შემადგენლობაში. ჩემ ამჟამინდელ გუნდში "ორიიაკში" შესაძლოა გადმოვიდეს ფედერალ 2-ის "მონლუსონიდან" საქართველოს ნაკრების მეორეხაზელი ლევან დათუნაშვილი. ახლახან ჩვენთან გასინჯვაზე იმყოფებოდა ელიზბარ ყუფარაძე, რომელიც ამჟამად ფედერალ 1-ის "ვილერბანში" ირჯება. მისთვის პასუხი ჯერ არ მიუციათ. თუმცა ეს არაფერს ნიშნავს. ჩემ შემთხვევაშიც ასე იყო. რომ გამსინჯეს, მაშინვე არაფერი უთქვამთ, მერე მოგვიანებით დამიკავშირდნენ. ვფიქრობ, ყუფარაძის შემთხვევაშიც ასე იქნება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

# კოეფიციენტი დააკლდა



სოფიკო ხუხაშვილი

სტოკჰოლმში დასრულდა ქალთა ღია ტურნირი, სადაც 16 ქართველი მოჭადრაკე მონაწილეობდა. მათგან ყველაზე კარგი შანსი **სოფიკო ხუხაშვილს** ჰქონდა, რომელიც ორი ტურით ადრე ერთპიროვნულად ლიდერობდა.

მერვე ტურში სოფიკო შავებით ტურნირის რეიტინგფავორიტს, სომეხ **ელინა დანიელიანს** ხვდებოდა. ქართველს ყაიმი აწყობდა და შესაძლო იყო, ბოლო ტურში ნახევარი ქულაც ჰყოფნოდა პირველობისთვის, თუმცა ამისთვის სხვათა შეხვედრებიც სათავისოდ უნდა დასრულებულიყო. სამწუხაროდ, ბოლომდე "ქართული" ვარიანტი არ გათამაშდა და სოფომ პირველობა ვრე მოიპოვა, თუმც არც დიდად ჩამორჩენილა: სლოვენიელ **ანა მუზიჩუკთან** და სომეხ **ელინა დანიელიანთან** ერთად პირველ-მესამე ადგილზე გავიდა 7 ქულით. საქმეში კოეფიციენტი ჩაერთო და გაირკვა, რომ საუკეთესო მაჩვენებელი მუზიჩუკს აღმოაჩნდა, ხუხაშვილი მეორე გამოვიდა, დანიელიანი - მესამე.

ბოლო ტურში სოფიკო თეთრებით ინგლისელ **ჰარიეტ ჰანტს** ხვდებოდა და დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოიგო. მიუხედავად ამისა, სოფოს შედეგი ძალიან კარგია და დაამტკიცა, რომ საქართველოს ჩემპიონატში ზედიზედ ორწლიანი წარმატება შემთხვევითი არ იყო. ამ გამარჯვებით ხუხაშვილმა ნაკრებში მოხვედრაზეც გააკეთა განაცხადი. სოფომ შარშან ითამაშა ნაკრებში მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე, მაგრამ შემდეგ ასეთი შანსი არ მისცემია. თუკი აპრილში გასამართ ევროპის პირად ჩემპიონატზე მაღალ ადგილს დაიკავებს, მაშინ უფრო მეტად გაიმყარებს პოზიციებს.

ნაკრებში ადგილისთვის **სალომე მელიაც** იბრძვის, რომელმაც საქართველოს ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა. მელიამ სტოკჰოლმშიც ითამაშა, თუმცა შედარებით ნაკლები შედეგიანობით - 5,5 ქულით მეოცე ადგილზე გავიდა.

სტოკჰოლმშივე ასპარეზობდა საქართველოს ჩემპიონი **ნანა ძაგნიძე**. ნანას სტარტი კარგი არ ჰქონდა, მაგრამ ბოლო სამ ტურში იმარჯვა და 6 ქულას მოუყარა თავი, რაც მეთხუთმეტე ადგილის სარგო გახდა.

ძალიან კარგად ითამაშა **ნინო ბაციაშვილმა** - 6,5 ქულა დააგროვა და მეათე ადგილზე გავიდა. ნინომ საქართველოს ჩემპიონატი პირწმინდად ჩააგდო - ბოლო ადგილზე გავიდა, მაგრამ როგორც ჩანს, სკანდინავიურმა ჰავამ არგო და ქართველთა შორის მეორე შედეგი აჩვენა.

ექვსი ქულა დააგროვა და კოეფიციენტით მეთვრამეტეა **მაკა ფურცელაძე**, - ეს შედეგი მასაც აქტივში უნდა ჩაეთვალოს. დანარჩენებმა ასეთი მარაგით დაასრულეს ტურნირი:

**20. სალომე მელია - 5,5; 24. სოფიკო ტყეშელაშვილი - 5,5; 25. ანა გავაშელი - 5,5; 27. თამარ წერეთელი - 5,5; 34. ბელა ხოტენაშვილი - 5,5; 64. სოფიკო ტერელაძე - 4,5; 71. ნონა დათუაშვილი - 4,5; 76. სოფიკო ნიკოლაძე - 4,5; 78. ინგა ჭარხალაშვილი - 4; 79. ინგა ხურცილავა - 4; 83. თამარ ხმიადაშვილი - 4; 95. ნინო მაისურაძე - 3,5.**

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტატიშვილმა ბარათი ვერ შეირგო

18 წლის **ანა ტატიშვილი** (296) მაიამიში „სონი ერიქსონ ოუფენის" მეტად პრესტიჟულ ტურნირში „უაილდ ქარდით" მიიწვიეს, თუმცა ჩვენებური საკვალიფიკაციო ბადეში განათავსეს. ტურნირის საპრიზო ფონდი 3 მილიონ 770 ათასი დოლარია, ბუნებრივია, ასეთი დონის ტურნირში ძირითად ბადეში გასვლაც წარმატება იქნებოდა მსოფლიო კლასიფიკაციის მესამე ასეულში მყოფი ჩოგბურთელისთვის, მაგრამ ანამ ორგანიზატორთა იმედები ვერ გაამართლა - ის პირველივე საკვალიფიკაციო წრეში დამარცხდა ჩეხ **პეტრა ჩეტკოვსკასთან** (96), რომელთანაც ერთი კვირის წინათ **მაკა ჩახნაშვილმა** წააგო. მსოფლიოს საუკეთესო ასეულში მყოფმა ჩეტკოვსკამ ტატიშვილთან, რომელსაც რეიტინგში ზუსტად 200 ადგილით უსწრებს, პირველი სეტი ტაი-ბრეიკში წააგო (7:5), თუმცა შემდეგ უპირატესობა ხელთ იგდო და მესამე სეტში საბოლოოდ გატეხა მეტოქე, ანა მაიამის ტურნირს მალევე დაემშვიდობა – 7:6, 4:6, 0:6. ეს შეხვედრა ორ საათს გაგრძელდა.


ანა ტატიშვილი

ამერიკულ ჰემონდში 25-ათასიან ტურნირში მე-5 ნომრად განთესეს მაკა ჩახნაშვილი. პირველ წრეში მაკას მეტოქე რუსი **ეკატერინა აფინოგენოვაა** (255). ამავე ტურნირის საკვალიფკაციო ბადეში დამარცხდა **სალომე დევიძე**. დევიძემ იაპონელ **ტომოკო იონემურასთან** 1:6, 1:6 წააგო. მოსკოვის 25-ათასიან ტურნირში **სოფიო შაფათავა** ასპარეზობს. პირველ წრეში ქართველი მასპინძელ **ირინა კოტკინას** შეხვდება.

ათენში (საბერძნეთი) 10-ათასიანი ტურნირის პირველ წრეში **სოფიო ქვაცაბაიამ** მოულოდნელად მე-7 ნომრად განთესილი ბულგარელი **ბილჟანა პავლოვა** დაამარცხა – 6:4, 1:6, 6:3. მერვედფინალში ქვაცაბაია სლოვაკ **კლაუდია ბოჩოვას** ეთამაშება. ქაიროში (ეგვიპტე) 10-ათასიანი ტურნირი იწყება. პირველ წრეში მე-5 ნომრად განთესილი **მანანა შაფაქიძე** ავსტრიელ **ლიზა ცუმერერს** ხვდება, ხოლო **ოქსანა კალაშნიკოვა** – მე-7 ნომრად განთესილ ბელარუს **ალექსანდრა მალიარჩიკოვას**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ბომონდი

# კლინტონი, ფაჩულია, პიტი

ნიუ იორკში, მანჰეტენზე გაიმართა ვერსაჩეს მამაკაცის სამოსის ახალი კოლექციის ჩვენება. მას არაერთი ცნობილი ადამიანი დაესწრო...

კი მაგრამ, რატომ გაჩნდა სპორტულ გაზეთში ბომონდის ამბები? საქმე ისაა, რომ ლონისძიებას NBA-ს ქართველი ცენტრი **ზაზა ფაჩულიაც** ესწრებოდა. მას გვერდს უმშვენებდნენ ახალგაზრდა ატლანტელი **ელ ჰორფორდი** და რეპერი **ბასტია რეიმსი**.

ვერსაჩეს კოლექციის ჩვენებას ზემოთხსენებული სამი პიროვნების გარდა ესწრებოდნენ ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი **ბილ კლინტონი**, ჰოლივუდის მსახიობები **ჯულია რობერტსი** და **ბრედ პიტი**, ასევე კინორეჟისორი **ვუდი ალენი** მეუღლითურთ.

## ლიხს იქეთ და ლიხს აქეთ...

ზუგდიდი

### ცეკვები თასისათვის

12 ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა სპორტულ ცეკვებში საქართველოს თასის გათამაშება და პირველობა თანამედროვე ცეკვებში. ზუგდიდში საასპარეზოდ შეიკრიბნენ თბილისის, ბათუმის, ოზურგეთის, ჭიათურისა და მცხეთის კლუბების წარმომადგენლები. გამარჯვებულები და პრიზიორები გამოვლინდნენ თორმეტივე ასაკობრივ ჯგუფში. ტურნირი ჩატარდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მხარდაჭერით.

თბილისი

### ველომრბოლებმა სეზონი გახსნეს

საქართველოს ველოსიპედისტებმა სეზონი, თბილისში, საგზატკეცილო ველორბოლაში ქვეყნის პირველობით გახსნეს. მონაწილეობდა 60 მრბოლი თბილისიდან, ქუთაისიდან, აჭარიდან, ზესტაფონიდან. ყველა დისტანციაზე დიდებში თბილისელმა **გიორგი ნადირაძემ** იპირველა. სამი ეტაპის ჯამშიც ის დარჩა გამარჯვებული. ჭაბუკებში სამივე ეტაპი **დავით ასკურავამ** მოიგო. დაკომპლექტდა ნაკრები. დიდები იტალიაში გაემგზავრნენ ევროპისა და მსოფლიო პირველობაზე. ჭაბუკები კი ტრეკზე გამოვლენ აფრიკაში (ქ. კეიპტაუნი) ასაკობრივ მსოფლიო პირველობაზე.

კვარცხლბეკი

| ჭაბუკები. 3 კმ. პროლოგი |
| --- |
| 1. დავით ასკურავა - 6.09,00 |
| 2. ამირან სვანიძე - 6.10,02 |
| 3. სანდრო ხუციშვილი - 6.10,04 |
| **ინდივიდუალური რბოლა 20 კმ** |
| 1. დავით ასკურავა - 28.51,00 |
| 2. სანდრო ხუციშვილი - 29.05,00 |
| 3. ამირან სვანიძე - 29.17,00 |
| **ჯგუფური რბოლა 80 კმ** |
| 1. დავით ასკურავა |
| 2. ამირან სვანიძე |
| 3. სანდრო ხუციშვილი |
| **სამი ეტაპის ჯამი** |
| 1. დავით ასკურავა - 72 ქ. |
| 2. ამირან სვანიძე - 60 ქ. |
| 3. სანდრო ხუციშვილი - 55 ქ. |

დიდები

| 3 კმ. პროლოგი |
| --- |
| 1. გიორგი ნადირაძე - 5.29,00 |
| 2. კახა ლოსაურაშვილი - 5.48,00 |
| 3. არჩილ მახარაშვილი - 5.55,07 |
| **ინდივიდუალური რბოლა 20 კმ** |
| 1. გიორგი ნადირაძე - 27.19,00 |
| 2. კახა ლოსაურაშვილი - 28.51,00 |
| 3. არჩილ მახარაშვილი - 29.20,00 |
| **ჯგუფური რბოლა** |
| 1. გიორგი ნადირაძე |
| 2. ნოდარ ყვავაძე |
| 3. კახა ლოსაურაშვილი |
| **სამი ეტაპის ჯამი** |
| 1. გიორგი ნადირაძე - 72 ქ. |
| 2. კახა ლოსაურაშვილი - 65 ქ. |
| 3. ნოდარ ყვავაძე - 62 ქ. |


გიორგი ნადირაძე


დავით ასკურავა

ინტერვიუ ზურაბ ტომარაძესთან

# არავინ იცის, პლეი ოფში ვინ გავა

**საქართველოს ჩემპიონატის 22-ე ტურში "ვითამ" "მაკაბის" 94:80 სძლია და პლეი ოფისკენ მორიგი ნაბიჯი გადადგა. ვითელებს კუდში მისდევთ (ორი მოგებით ჩამორჩებათ) თბილისის "დინამო" და დარჩენილ 8 ტურში მოვლენების საინტერესოდ განვითარებას უნდა ველოდოთ. რეგულერული ჩემპიონატის მსგავსი დასასრული ბოლო წლებში არ ყოფილა: მაგალითად, შარშანწინ პლეი ოფში ჩემპიონატის მონაწილე რვავე გუნდი გავიდა...**

**მეტს აღარ გავაგრძელებთ და შემოგთავაზებთ "ვითას" თავკაცის ზურაბ ტომარაძის მოსაზრებას როგორც საპლეიოფო შანსებზე, ასევე ზოგადად "ვითას" გამოსვლაზე.**

- არაერთი წამყვანი კალათბურთელი გვაკლია, ბუბა ბერიშვილმა და ბექა ნივნივაძემ ახლახან ოპერაციები გადაიტანეს. ტრავმირებულია დავით ბერძენიშვილიც. ამის ფონზე ბოლო ორ ტურში გუნდის მეტად დამაჯერებელი თამაში ცოტა მოულოდნელი იყო. ყოველი მატჩისას ერთი საკითხი მაღელვებს - რამდენად გავძლებთ ბოლო წუთებამდე. რადგან ტრავმების გამო 7-8 კაცით გვიწევს თამაში. საბედნიეროდ ბიჭები დაკისრებულ მოვალეობებს კარგად ართმევენ თავს. ახალგაზრდები გამოცდილებს სათანადოდ ეხმარებიან.

**- პლეი ოფში მოხვედრის რა შანსი გაქვთ?**

- მართალია, ახლა ოთხეულში ვართ, მაგრამ არავინ იცის, საბოლოოდ ნახევარფინალში ვინ გავა. არც იმის თქმა შეიძლება წინასწარ თუნდაც ოთხეულის გუნდებიდან ვინ რომელ ადგილს დაიკავებს. წლევანდელ ჩემპიონატში თანაბარი ძალის გუნდებია თავმოყრილი, შეიძლება რომელიმე მათგანი ბოლო ადგილზე იყოს, მაგრამ მისი დამარცხება გიჭირდეს.

**- მთავარი ბრძოლა "ვითასა" და "დინამოს" შორის გაჩაღდება...**

- მეორეადგილოსან თსუ-ს მხოლოდ ერთი მოგებით ჩამოვრჩებით. რეგულარულის ბოლომდე კი 8 ტურია დარჩენილი. ასე რომ, მხოლოდ ორი გუნდი კი არა, პლეი ოფის ოთხი საგზურისთვის ერთბაშად ხუთი კლუბი იბრძოლებს.

**- ყველაზე მეტი საფრთხე მაინც "დინამოსგან" გელით...**

- "დინამო" სერიოზული გუნდია. საქართველოს ჩემპიონატის კლუბისთვის "სან ანტონიოს" მოთამაშის დამატება დიდი ფუფუნებაა. ზოგს შეიძლება თავი დაეფასებინა, მაგრამ ვიქტორ სანიკიძის დადებით თვისებებს ხაზს უსვამს ის ფაქტი, რომ მან საქართველოში თამაში არ იუკადრისა. მას დავუმატოთ გამოცდილი არჩილ ჟღენტი, ახალგაზრდული ნაკრების რამდენიმე წევრი და მივიღებთ საქართველოს პირველობის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბს. ასევე შეიძლება საუბარი ყველა დანარჩენ გუნდზე.


ზურაბ ტომარაძე

**- "ვითაზეც"...**

- ჩვენი გუნდი ამ სეზონში შეიქმნა და ჯერ საბოლოო სახე და სათამაშო სტილი ჩამოყალიბებული არ აქვს. ბოლომდე დაბალანსებაც გვაკლია. ამ ყველაფერში დამნაშავე ტრავმებია, მთელი სეზონის განმავლობაში მინიმუმ ორი წამყვანი მოთამაშე ყოველთვის გვაკლდა. თუმცა იმის თქმა შეიძლება, რომ კონტურები უკვე გამოიკვეთა და "ვითას" თავისებური სტილიც ყალიბდება.

**- კერძოდ?**

- ვცდილობთ კოლექტიური დაცვა ვითამაშოთ, ხოლო შეტევაში ყველა კალათბურთელს თავისუფლად შეეძლოს შესაძლებლობების წარმოჩენა. მკაცრ ჩარჩოებში არავის ვსვამთ.

**- სეზონის დასაწყისში ლეგიონერების ჩამოყვანას აპირებდით. შემდეგ თქვით, რომ პირველ ეტაპზე უცხოელების გარეშე გახვიდოდით ფონს, მეორე ეტაპი პლეი ოფებია...**

- ლეგიონერების დამატებაზე სეზონის დასაწყისში მართლაც იყო საუბარი, მაგრამ შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ ამ სეზონში ქართველებით გვეთამაშა. ასე რომ, მიმდინარე ჩემპიონატს იმ კალათბურთელებით ჩავამთავრებთ, რომლებითაც დავიწყეთ. ვნახოთ, რა გამოგვივა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამბო

# არცერთი მუტრუკი ჩვენს გვერდით!



**ამ უქმეებზე** თბილისმა უმასპინძლა ჭაბუკ სამბისტთა საქართველოს ჩემპიონატს, რომელსაც 16-20 მაისს ბრესტში, ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელი ნაკრები უნდა გამოევლინა - ჩემპიონები იქ ჭიდაობის უფლებას ავტომატურად იღებდნენ. ვერ დავიჩემებთ, მაინც და მაინც ამის გამო თუ სხვა მიზეზით იყო, მაგრამ ტურნირი ბოლო წლებისთვის სარეკორდო გამოდგა - მასში 24 რაიონის 412 სპორტსმენი ჭიდაობდა.

ტურნირის სპორტულ მხარეს რაც შეეხება, თვალშისაცემია ერთი უცნაურობა - 10 წონით კატეგორიაში პრიზიორთა შორის საერთოდ ვერ მოხვდნენ კასპელები! თუ გავითვალისწინებთ, რომ კასპი ქართული სამბოს ერთ-ერთი ძირითადი კერაა და იქაური ნაკრები მეოცე საუკუნის საუკეთესო გუნდად დაასახელეს, როგორც ყველაზე წარმატებული, იოლად დავასკვნით, მათთვის ეს რამხელა ფიასკოა. კაცმა რომ თქვას, მედალოსნებში არც კახელთა სიჭარბეა, თუმცა ევროპაზე ორი იქაური ფალავანი მაინც იჭიდავებს. ცალკეული გუნდებიდან გორელთა წარმატებებია აღსანიშნავი - მათ 11 მედალი მოიპოვეს, ხოლო ევროგუნდში 4 ჩემპიონი ეყოლებათ. ისიც სათქმელია, რომ მედალოსნებში დასავლეთის წარმომადგენლებიც ბლომად მოხვდნენ - ქუთაისის, ვანის, ზესტაფონის, მესტიის, წყალტუბოს, საჩხერისა და ბათუმის გუნდებიდან, რომლებიც ტრადიციებს კვლავაც ინარჩუნებენ. გაიზარდა პრიზიორთა გეოგრაფია - თუ ადრე მედლები რამდენიმე გუნდს შორის ნაწილდებოდა, ახლა ერთბაშად 20-მა მოიპოვა, ხოლო პრიზიორებში ბოლნისელთა და მარნეულელთა გამოჩენა ნამდვილი სიურპრიზია.

აქვე ერთ უცნაურობაზეც ვთქვათ - 60-ში გორელმა **პაატა მერებაშვილმა** გაიმარჯვა, მაგრამ ორიოდ კვირის წინ მანვე საქართველოს ჩემპიონატი ახალგაზრდებშიც მოიგო - იქ 62-ში და წესით, ევროპაზე ორივე ნაკრებში შეუძლია ჭიდაობა. თუმცა ასეთი რამ უტოპია ჩანს და მწვრთნელებმა გადაწყვიტეს, მერებაშვილმა ჭაბუკებში იასპაროზოს, ახალგაზრდებში კი მას მისივე თანაქალაქელი **გიორგი ტაბატაძე** შეცვლის. ტაბატაძე ქვეყნის პირველობაზე მერებაშვილთან დამარცხდა და მერე მესამეზე გავიდა, თუმცა მწვრთნელთა გადაწყვეტილება მაინც უცნაური ჩანს - რატომ ტაბატაძე და არა ქუთაისელი ვერცხლის პრიზიორი **იოსებ ჭოლაძე?** მაგრამ ეს ის საკითხია, რაშიც მწვრთნელთა კომპეტენციაში ჩარევას ვერ გავრისკავთ. ხშირად ხდება ხოლმე, როცა მიზეზთა გამო, შედარებით სუსტი უფრო უკეთეს ადგილს იკავებს. კონკრეტულად ჭიდაობებში ეს სულაც წილისყრამ შეიძლება განსაზღვროს - ძლიერები ერთად მოხვდნენ, შედარებით სუსტი კი მეორე მხრიდან გაძვრეს.

**დასასრულ, ვიდრე მედალოსანთა სიას შემოგთავაზებთ, ერთ საკითხზეც გავამახვილებთ თქვენს ყურადღებას - ვეჭვობთ, პრიზიორთა შორის გადაზრდილებიც იყვნენ. სიმართლე გითხრათ, ეს ეჭვი არა ბევრზე, არამედ ერთ-ერთ ჩემპიონზე, თავის ასაკში უკვე საკმაოდ ცნობილ და ტიტულოვან სპორტსმენზე გაგვიჩნდა. ღმერთმა ქნას, ვცდებოდეთ, მაგრამ ჩვენი ეჭვი სამბოს ფედერაციას გავუზიარეთ და შეგვპირდნენ, რომ საკითხს შეისწავლიან და ვითარებაში გაერკვევიან.**

უფლებას ვიტოვებთ, ამჯერად გვარ-სახელი არ გავამჟღავნოთ, თუმცა ამ ეჭვის გამომზეურებით ვინმეს მტრობა სულაც არ გვინდა. პირიქით - იმ სპორტსმენის ქომაგთა და მისი ნიჭის დამფასებელთა შორის მეც ვარ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ასეთი მიდგომით დათვურ სამსახურს უფრო უწევენ. სხვადასხვა სახეობებში დღევანდელ ნაკრებებშიც ბლომადაა იმის მაგალითები, როცა ახალგაზრდებში ძალზე წარმატებული სპორტსმენები უფროსებში გადასვლის მერე ან საერთოდ დაიკარგნენ, ან - წარმატებული კარიერა მხოლოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ გააგრძელეს. ეს მარტივი მიზეზით აიხსნება - ის წლები, რაც ოსტატობის სრულყოფაში უნდა გაეტარებინათ და დიდ ასპარეზზე გასასვლელად უნდა მომზადებულიყვნენ, პატარებთან ღლაბუცში გალიეს, ეს კი მათთვის განვლილი ეტაპი იყო და არაფერს სძენდა. სამაგიეროდ, დიდ ასპარეზზე გასულები, დიდ მოთხოვნებს შეჭიდებულები მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ. იქაური მოთხოვნების დაძლევა უმრავლესობამ საერთოდ ვერ მოახერხა, მცირე ნაწილს კი, განსაკუთრებით ნიჭიერებს სამისოდ წლები დასჭირდათ. მარტივად რომ ვთქვათ, მათ წლები დაკარგეს და პოტენციურად - მედლებიც, რადგან კრიზისის დაძლევის კვალდაკვალ წლებიც ემატებოდათ და მათი კარიერაც დასასრულს უახლოვდებოდა. სამბოსა და ძიუდოს წინაშე დამსახურებული მწვრთნელების - **ბიძინა მაზიაშვილისა** და **გურამ პაპიტაშვილისგან** არაერთხელ მომისმენია, ერთი სპორტსმენი მაინც მანახეთ, ვისაც ასაკის გადაკეთებამ არგო და გავჩუმდებითო (ისინი უფროსებში მოპოვებულ წარმატებებს გულისხმობდნენ, თორემ უმცროსებში შედეგები აქვთ, მაგრამ მთავარი ხომ ეროვნული ნაკრებია).

გადაზრდილების პრობლემას ძიუდოს და ჭიდაობის ფედერაციები შეებრძოლნენ, მაგრამ ამან მათ შედეგებს არათუ ავნო, პირიქით! კიდევ ერთხელ ვიმეორებთ - ღმერთმა ქნას, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვცდებოდეთ, მაგრამ სამბისტთა თუ სუმოისტთა ტურნირებში გადაზრდილი სპორტსმენების მონაწილეობა ადრეც შეგვიმჩნევია და ამაზე ხმამაღლაც გვითქვამს. ვფიქრობ, ამ მანკიერებას აღნიშნული ფედერაციებიც სერიოზულად უნდა ებრძოლონ, სპორტის სამინისტრო და დეპარტამენტიც და. ძიუდოს ფედერაციაც, რადგან ის გადაზრდილები მუდამ ძიუდოისტები იყვნენ. ცოდვას ვერ ვიტყვით - ამ პრობლემას ძიუდოისტები საკუთარ ტურნირებში ხმალამოღებულები ებრძვიან, მაგრამ აჯობებს, თავისი სპორტსმენები სხვათა შეჯიბრებებშიც გააკონტროლონ. საქმისადმი მსგავსი კომპლექსური მიდგომის გარეშე, დროთა განმავლობაში მათი მცდელობაც ამაო გამოდგება. თან, საქმე მარტო შიდა ტურნირებს რომ ეხებოდეს, კიდევ ჯანდაბას, მაგრამ ის გადაზრდილები ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზეც მიჰყავთ, იქ კი რომ ჩავარდნენ (უცხოეთში სათანადო ტესტების ჩატარება უკვე დაიწყეს), დისკვალიფიკაცია ძიუდოზეც გავრცელდება.

ვიმედოვნებთ, სამბოს ფედერაცია და სამინისტრო-დეპარტამენტი ამ კონკრეტულ ფაქტსაც ყურადღებით შეისწავლიან და ჩვენს ინიციატივასაც პრობლემასთან ბრძოლის შესახებ გაგებით მოეკიდებიან. მათი მხრიდან საქმიან ნაბიჯებს ველოდებით.

**ირაკლი თავაძე**

**სამბო. ჭაბუკები. საქართველოს ჩემპიონატი. თბილისი. 22-23 მარტი.**

| |
|---|
| **48 კგ.** |
| 1. გენადი ჩირგაძე (ქუთაისი) |
| 2. რამაზ იაკობიძე (ბათუმი) |
| 3. ასლან გურჩიანი (წყალტუბო) |
| 3. ბექა ბექაური (მცხეთა) |
| **52 კგ.** |
| 1. ივანე ჩოლრაშვილი (თელავი) |
| 2. ბექა მხეიძე (ვანი) |
| 3. დავით ნადარეიშვილი (ფოთი) |
| 3. გიორგი მოლდებაძე (რუსთავი) |
| **56 კგ.** |
| 1. თორნიკე მამულაშვილი (დუშეთი) |
| 2. შმაგი ყაჭიური (დუშეთი) |
| 3. ლევან შეყილაძე (ზესტაფონი) |
| 3. ოთარ კაიდარაშვილი (გორი) |
| **60 კგ.** |
| 1. პაატა მერებაშვილი (გორი) |
| 2. მერაბ დვალიშვილი (ვანი) |
| 3. იაგო დადვანი (ბოლნისი) |
| 3. მიხეილ მექოკიშვილი (საგარეჯო) |
| **65 კგ.** |
| 1. ზვიად კავანაძე (გორი) |
| 2. ლევან დადვანი (ბოლნისი) |
| 3. მიხეილ გიორგაძე (გორი) |
| 3. ვასილ რევიშვილი (ქუთაისი) |
| **70 კგ.** |
| 1. მიხეილ სიმონიშვილი (საგარეჯო) |
| 2. რატი პირმისაშვილი (დუშეთი) |
| 3. თემურ ნიქარაძე (ქუთაისი) |
| 3. გიორგი ჩხიკვაძე (გორი) |
| **75 კგ.** |
| 1. ნოდარ კუდახაშვილი (გორი) |
| 2. იოსებ არშაკუნი (გორი) |
| 3. ალექსანდრე ლომაზოშვილი (თბილისი) |
| 3. ლაშა ნიგურიანი (მესტია) |
| **81 კგ.** |
| 1. ზაზა დავაძე (მარნეული) |
| 2. იაგო მესტვირიშვილი (თბილისი) |
| 3. ზურაბ ბუტიკაშვილი (თბილისი) |
| 3. გიორგი გინტური (გორი) |
| **87 კგ.** |
| 1. გურამ მჭედლიძე (გორი) |
| 2. ალექსანდრე თევდორაშვილი (გურჯაანი) |
| 3. იასონ კარიმოვი (გორი) |
| 3. გოდერძი მოსიაშვილი (გორი) |
| **+87 კგ.** |
| 1. იასონ ნემსაძე (წყალტუბო) |
| 2. მიხეილ ნარიმანიძე (დედოფლის წყარო) |
| 3. გიორგი კილაძე (საჩხერე) |
| 3. ონისე ბულაძე (საჩხერე) |

კრივი. ეროვნული ნაკრები

# ათენი ბოლო შანსია

## კუპატაძეს კვაჭატაძე შეცვლის

იტალიური იმედგაცრუების შემდეგ, საქართველოს ნაკრები ემზადება პეკინის ოლიმპიური თამაშების ბოლო სალიცენზიო ტურნირისთვის, რომელიც 7-15 აპრილს, საბერძნეთის დედაქალაქში დაიწყება. შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატსა და წლევანდელ პესკარის სალიცენზიო ტურნირზე ხელმოცარვის შემდეგ, ათენში ქართველ მოკრივეებს უკანასკნელი შანსი აქვთ, რომ პეკინს მიღმა არ დარჩნენ. ბოლო სამ ოლიმპიადას ქართველების გარეშე არ ჩაუვლია და ვიმედოვნებთ, ტრადიცია პეკინში არ დაირღვევა.

გუნდი საათენოდ დღეს შეუდგება სამზადისს გლდანის დკდ-ს დარბაზში.

შეკრებაზე ოცამდე მოკრივე მოიყრის თავს, მაგრამ საბერძნეთში, სავარაუდოდ, 7 კაცი წავა. დანარჩენები მათ უბრალოდ, სპარინგ-პარტნიორობას გაუწევენ. მწვრთნელთა გადაწყვეტილებით, ათენამდე ნაკრები არცერთ ტურნირზე არ გამოვა და მხოლოდ შეკრებას დასჯერდება.

როგორც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თენგიზ მესხაძემ გვითხრა, ბოლო სალიცენზიო ტურნირზე შემადგენლობაში მოსალოდნელია რამდენიმე ცვლილება.

**ნიკოლოზ იზორია** (54), **კობა ფხაკაძე** (57), **ლევან ღვამიჩავა** (64), **კახა ჟვანია** (69) და **გიორგი ნაკანი** (75) მყარად არიან დამკვიდრებულნი საკუთარ წონით კატეგორიებში, ჯანმრთელობის პრობლემაც არა აქვთ და შესაბამისად, პეკინში მოხვედრისთვის აუცილებლად იბრძოლებენ.

როგორც იცით, სათანადო კადრების არყოლის გამო, თავიდანვე არცერთ სალიცენზიო შეჯიბრებაზე არ გამოგვიყვანია მოკრივეები 48, 51 და 91 კილოგრამებში. რაც შეეხება დანარჩენ 3 წონას, იქ იძულებითი ცვლილებებია მოსალოდნელი.

60 კილოგრამში, ათენში აღარ წავა ევროპის ჩემპიონატის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი **კონსტანტინე კუპატაძე**. შარშანდელი სეზონის ჩავარდნის შემდეგ, ნაკრების ყველაზე ტიტულოვანი წევრი წლეულს დაუბრუნდა გუნდს, პესკარაშიც იჩხუბა, მაგრამ არასპორტული საქციელის გამო, საქართველოს კრივის ფედერაციამ დასაჯა და ნაკრებს მიღმა დატოვა. კუპატაძის ნაცვლად ათენში, სავარაუდოდ, იჩხუბებს კადეტებში შარშანწინდელი მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი **ზაალ კვაჭატაძე**. ზაალმა ერთი თვის წინ, საქართველოს ახალგაზდული ჩემპიონატი მოიგო, პერსპექტიულ მოკრივედ ითვლება და თუკი გლდანურ შეკრებაზე თავს გამოიჩენს, საბერძნეთში მისი დებიუტი შედგება უფროსებში...

ჯერჯერობით, გაურკვეველი მდგომარეობაა 81 კილოგრამში. ამ წონაში ნაკრების გამოკვეთილი პირველი ნომერი ბოლო წლებში **დავით წიკლაურია**. თუმცა, მას ბეჭი აწუხებს და შესაძლოა, ათენში წასვლა ვერ მოახერხოს. თუკი ასე მოხდება, წიკლაურის ადგილს დაიკავებს **რეზო ქარელიშვილი**. თავის მხრივ, ქარელიშვილი 2 წლის წინ გუნდის პირველი ნომერი იყო 75 კილოგრამში, მაგრამ შარშან ბაქოს ტურნირზე ნაკანმა აჯობა და მისი ადგილი ჩაიბარა. ამიტომაც, რეზო ახლა 81 კილოგრამში აპირებს თავის დამკვიდრებას.



კოტე კუპატაძე ათენში არ იჩხუბებს

რაც შეეხება მძიმე წონას, აქ ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ პირველმა ნომერმა **ბექა ლობჟანიძემ**, მოულოდნელად, სამოყვარულო კრივიდან წასვლა გადაწყვიტა. რაკილა მას საქართველოში ამჟამად არ ჰყავს ღირსეული შემცვლელები, ათენში მძიმე წონაში ალბათ, არავინ წავა.

მესხაძე იმედოვნებს, რომ ბექა ლობჟანიძე გადაწყვეტილებას შეიცვლის, მაგრამ გააკეთებს თუ არა ამას ათენის ტურნირამდე, ჯერჯერობით, გაურკვეველია.

**კობა ხატისაშვილი**



ბექა ლობჟანიძე პროფესიონალებში გადადის

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი. მაიამის მასტერსი




**First round (left):**

- ფედერერი (შვეიც, 1)
- მონფილსი (საფ)
- ისნერი (აშშ)
- სიოდერლინგი (შვედ)
- კუბეკი (ავსტრია)
- ვავრინკა (შვეიც, 28)
- ჰიუიტი (ავსტრა, 21)
- აკასუსი (არგ)
- ვენტურა (ესპ)
- ლი (კორ)
- სელა (ისრ)
- რობრედო (ესპ, 14)
- ცონგა (საფ, 12)
- მელცერი (ავსტრი)
- ლოდრა (საფ)
- შუტლერი (გერ)
- ბენეტო (საფ)
- კარლოვიჩი (ხორ, 19)
- ჩელა (არგ, 30)
- ო. როხუსი (ბელ)
- კვალიფიკაცია
- პანესკუ (რუმ)
- კვალიფიკაცია
- როდიკი (აშშ, 6)
- დავიდენკო (რუს, 4)
- გულბისი (ლატ)
- ჰრბატი (სლოვაკ)
- კვალიფიკაცია
- ბოლელი (იტა)
- კოლშრაიბერი (გერ, 26)
- მონაკო (არგ, 18)
- კვალიფიკაცია
- ვოლანდრი (იტა)
- ანჩიჩი (ხორ)
- სიმონი (საფ)
- მარეი (ბრიტ, 13)
- იუჟნი (რუს, 11)
- კვალიფიკაცია
- საფინი (რუს)
- ფიში (აშშ)
- კლემანი (საფ)
- ალმაგრო (ესპ, 24)
- ვერდასკო (ესპ, 29)
- ტიპსარევიჩი (სერ)
- კვალიფიკაცია
- კვალიფიკაცია
- იოჰანსონი (შვედ)
- ფერერი (ესპ, 5)

**Second round (left):**

- ფედერერი (შვეიც, 1)
- ვავრინკა (შვეიც, 28)
- ჰიუიტი (ავსტრა, 21)
- რობრედო (ესპ, 14)
- ცონგა (საფ, 12)
- კარლოვიჩი (ხორ, 19)
- ჩელა (არგ, 30)
- როდიკი (აშშ, 6)
- დავიდენკო (რუს, 4)
- კოლშრაიბერი (გერ, 26)
- მონაკო (არგ, 18)
- მარეი (ბრიტ, 13)
- იუჟნი (რუს, 11)
- ალმაგრო (ესპ, 24)
- ვერდასკო (ესპ, 29)
- ფერერი (ესპ, 5)



წინა ტურნირის ტრიუმფატორი ნოვაკ ჯოკოვიჩი

**First round (right):**

- გასკე (საფ, 8)
- ტურსუნოვი (რუს
- კოროლიოვი (რუს
- დელ პოტრო (არგ)
- ლევინე (აშშ)
- ფ. ლოპესი (ესპ, 32)
- ფერერო (ესპ, 22)
- ნიშიკორი (იაპ)
- მონტანიესი (ესპ)
- ბერლოკი (არგ)
- კუერი (აშშ)
- ბერდიჩი (ჩეხ, 10)
- კანიასი (არგ, 15)
- კვალიფიკაცია
- სტარაჩე (იტა)
- კვალიფიკაცია
- სპეიდი (აშშ)
- გონსალესი (ჩილ, 17)
- ანდრეევი (რუს, 31)
- ბერერი (გერ)
- კვალიფიკაცია
- კალერი (არგ)
- კვალიფიკაცია
- ჯოკოვიჩი (სერ, 3)
- ნალბანდიანი (არგ, 7)
- ერნანდესი (ესპ)
- მალისე (ბელ)
- კუერტენი (ბრა)
- გროსჟანი (საფ)
- შტეპანეკი (ჩეხ, 27)
- ლუბიჩიჩი (ხორ, 23)
- სანტორო (საფ)
- ბიორკმანი (შვედ)
- ჟიკელი საფ)
- სეპი (იტა)
- ბლეიკი (აშშ, 9)
- მატიო (საფ, 16)
- ჩილიჩი (ხორ)
- ვლიეგენი (ბელ)
- მაუ (საფ)
- მაიერი (გერ)
- მოია (ესპ, 20)
- ნიემინენი (ფინ, 25)
- კიფერი (გერ)
- ჰაასი (გერ)
- როიტმანი (არგ)
- კვალიფიკაცია
- ნადალი (ესპ, 2)

**Second round (right):**

- გასკე (საფ, 8)
- ფ. ლოპესი (ესპ, 32)
- ფერერო (ესპ, 22)
- ბერდიჩი (ჩეხ, 10)
- კანიასი (არგ, 15)
- გონსალესი (ჩილ, 17)
- ანდრეევი (რუს, 31)
- ჯოკოვიჩი (სერ, 3)
- ნალბანდიანი (არგ, 7)
- შტეპანეკი (ჩეხ, 27)
- ლუბიჩიჩი (ხორ, 23)
- ბლეიკი (აშშ, 9)
- მატიო (საფ, 16)
- მოია (ესპ, 20)
- ნიემინენი (ფინ, 25)
- ნადალი (ესპ, 2)

| წინა ფინალები | |
|---|---|
| 2007 ჯოკოვიჩი (სერ)-კანიასი (არგ) | 6:3, 6:2, 6:4 |
| 2006 ფედერერი (შვეიც)-ლუბიჩიჩი (ხორ) | 7:6, 7:6, 7:6 |
| 2005 ფედერერი (შვეიც)-ნადალი (ესპ) | 2:6, 6:7, 7:6, 6:3, 6:1 |
| 2004 როდიკი (აშშ)-კორია (არგ) | 6:7, 6:3, 6:1, კორიას უარი |
| 2003 აგასი (აშშ)-მოია (ესპ) | 6:3, 6:3 |
| 2002 აგასი (აშშ)-ფედერერი (შვეიც) | 6:3, 6:3, 3:6, 6:4 |
| 2001 აგასი (აშშ)-გემბილი (აშშ) | 7:6, 6:1, 6:0 |
| 2000 სამპრასი (აშშ)-კუერტენი (ბრა) | 6:1, 6:7, 7:6, 7:6 |
| 1999 კრაიჩეკი (ჰოლ)-გროსჟანი (საფ) | 4:6, 6:1, 6:2, 7:5 |
| 1998 რიოსი (ჩილ)-აგასი (აშშ) | 7-5, 6-3, 6-4 |
| 1997 მუსტერი (ავსტრია)-ბრუგერა (ესპ) | 7:6, 6:3, 6:1 |
| 1996 აგასი (აშშ)-ივანიშევიჩი (ხორ) | 3:0 ივანიშევიჩის უარი |
| 1995 აგასი (აშშ)-სამპრასი (აშშ) | 3:6, 6:2, 7:6 |
| 1994 სამპრასი (აშშ)-აგასი (აშშ) | 5-7, 6-3, 6-3 |
| 1993 სამპრასი (აშშ)-ვაშინგტონი (აშშ) | 6:3, 6:2 |
| 1992 ჩანგი (აშშ)-მანჩინი (არგ) | 7:5, 7:5 |
| 1991 კურიე (აშშ)-უიტონი (აშშ) | 4:6, 6:3, 6:4 |
| 1990 აგასი (აშშ)-ედბერგი (შვედ) | 6:1, 6:4, 0:6, 6:2 |
| 1989 ლენდლი (ჩეხ)-მუსტერი (ავსტრია) | მუსტერის უარი |
| 1988 ვილანდერი (შვედ)-კონორსი (აშშ) | 6:4, 4:6, 6:4, 6:4 |
| 1987 მეჩირი (ჩეხ)-ლენდლი (ჩეხ) | 7:5, 6:2, 7:5 |
| 1986 ლენდლი (ჩეხ)-ვილანდერი (შვედ) | 3:6, 6:1, 7:6, 6:4 |
| 1985 მაიოტი (აშშ)-დევისი (აშშ) | 4:6, 4:6, 6:3, 6:2, 6:4 |

ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატის წინ

# გრეტცკიმ კანადას უარი უთხრა



"ფინიქს კოიოტზის" მთავარმა მწვრთნელმა, ლეგენდარულმა **უეინ გრეტცკიმ** კანადის ნაკრების გაწვრთნაზე უარი განაცხადა. რეგულარული ჩემპიონატი ისე მიმდინარეობს, რომ "ფინიქსს" პლეიოფში მოხვედრის მხოლოდ თეორიული შანსი დარჩა. ამის გამო, კანადის ნაკრების გენერალურმა მენეჯერმა **სტივ აიზერმანმა** თავის ძველ მეგობარს ეროვნული გუნდის გაწვრთნა შესთავაზა. მაგრამ ყველა დროის საუკეთესო ჰოკეისტმა ამ შეთავაზებაზე უარი განაცხადა, რადგან თვლის, რომ ამ ეტაპზე არსებობენ სხვა მწვრთნელები, რომლებიც ამოცანას უფრო კარგად დაართმევენ თავს.

გრეტცკის გარდა, კანადის ნაკრების დამრიგებლის პოსტი **კრეიგ მაკტავიშს** ("ედმონტონი"), **ლინდი რაფს** ("ბაფალო") და **კენ ჰიჩკოკს** ("კოლამბუსი") შესთავაზეს. არ არის გამორიცხული, მთავარი მწვრთნელის პოსტზე ვიხილოთ "სენტ ლუსის ბლუზის" თავკაცი **ენდი მიურეი**, რომელმაც შარშან, კანადას ოქროს მედლები მოაპოვებინა.

რაც შეეხება უეინ გრეტცკის, ის უკვე სამი წელია "ფინიქსის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობს, მაგრამ შედეგებით ვერ დაიკვეხნის: გუნდი ზედიზედ მესამე წელია ვერ ხვდება პლეიოფში.

აქვე შეგახსენებთ, რომ კანადის კვებეკ სიტიში გასამართ ჩემპიონატზე მასპინძელთა ნაკრებს ერთი დანაკლისი უკვე აქვს: ტრავმის გამო ვერ ითამაშებს NHL-ის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი **ვენსან ლეკავალიე**.

გია თვალაბეიშვილი

კალათბურთი

## კემბის ორი მილიონი

"დენვერ ნაგეტსის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა **მარკუს კემბიმ** გუნდისგან 2-მილიონიანი ბონუსი მიიღო. "ნაგეტსი" ამ თანხას იმის გამო იხდის, რომ კალათბურთელმა სეზონში 65-მატჩიან ზღვარს გადააბიჯა.

ბონუსს 34 წლის კემბი თავისი წლიური ხელფასის პროცენტული შეფარდებით იღებს. ცენტრი შარშანაც დაჯილდოვდა - მაშინაც სეზონში 65 მატჩზე მეტი ჩაატარა და 1.25 მილიონი დოლარით გამდიდრდა.

## კარლაილი ჩიკაგოში ინიშნება

"ინდიანასა" და "დეტროიტის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი **რიკ კარლაილი** მომავალ წელს შესაძლოა "ჩიკაგო ბულზს" ჩაუდგეს სათავეში. Detroit News-ის ცნობით, "ხარების" ამჟამინდელი დამრიგებელი **ჯიმ ბოილანი**, რომელიც დროებით ასრულებს მთავარი მწვრთნელის მოვალეობებს, ამ სეზონის შემდეგ დატოვებს პოსტს.

კარლაილის სამწვრთნელო კარიერაში ორი მთავარი მომენტია გამოსაყოფი. 1999-2000 წლების სეზონში მან "ინდიანა" სუპერფინალში გაიყვანა, ორი წლის შემდეგ კი, "დეტროიტში" მუშაობისას, სეზონის მწვრთნელის ტიტული მოიპოვა. ამჟამად კარლაილი ESPN-ში მიმომხილველად მუშაობს.

## გასოლი ხვალ დაბრუნდება

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ცენტრმა **პაუ გასოლმა** ფეხის ტრავმა მოიშუშა და უახლოეს ტურში თავის გუნდს დახმარებას გაუწევს. ეს ინფორმაცია "ლეიკერსის" მთავარმა მწვრთნელმა **ფილ ჯექსონმა** გაავრცელა. როგორც იცით, გასოლს ბოლო ხუთი მატჩის გამოტოვება მოუწია. ესპანელი მოედანზე ხუთშაბათს, "შარლოტთან" მატჩში დაბრუნდება.

"ლეიკერსის" ლაზარეთი დატოვა კიდევ ერთმა ცენტრმა, **კრის მიმმა**, რომელმაც ორი თვის წინ მარცხენა ფეხის ოპერაცია გაიკეთა.

## ადელმანის 800 გამარჯვება

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში "ჰიუსტონმა" 108:100 დაამარცხა "საკრამენტო". ეს გამარჯვება საიუბილეო აღმოჩნდა ჰიუსტონელთა დამრიგებლისთვის, **რიკ ადელმანისთვის**, რომელმაც მწვრთნელის რანგში NBA-ში თავისი მე-800 მატჩი მოიგო.

ასე რომ, ადელმანი ლიგის ისტორიაში გახდა 13-ე მწვრთნელი, ვინც ამ ზღვარს გადააბიჯა.

## პალასიო თვის მოთამაშეა

სანამ ევროლიგის მეოთხედფინალური ეტაპი დაიწყება, ULEB-მა მარტში ამ ტურნირის საუკეთესო კალათბურთელი დაასახელა. ეს გახლავთ ბელგრადის "პარტიზანის" ამერიკელი ლეგიონერი **მილტ პალასიო**.

მეორე ჯგუფური ეტაპის სტარტზე ორი წაგების შემდეგ, "იუტა ჯაზის" ყოფილმა მოთამაშემ და მისმა კლუბმა პლეიოფში გასვლა მაინც მოახერხეს. და ამ გმირობის (აქამდე, მსგავსი რამ მხოლოდ ორმა კლუბმა შეძლო) მთავარი შემოქმედი სწორედ პალასიო გახდა, რომელმაც საშუალოდ 20.3 ქულა, 4.0 მოხსნა და 2.0 შედეგიანი გადაცემა დააგროვა. ამერიკელი ორქულიანების 74 (!), სამქულიანების 55 და ჯარიმების 88 პროცენტს იყენებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცურვა. ევროპის ჩემპიონატი

# აკორდი ორი რეკორდით




მარლეენ ფელდჰუისი

ჰოლანდიის ქალაქ აინდჰოვენში დასრულდა მოცურავეთა ევროპის ჩემპიონატი, რომლის ბოლო დღეც მსოფლიოს კიდევ ორი რეკორდით აღინიშნა. სულ კი ჩემპიონატზე მსოფლიოს ექვსი რეკორდი გაუმჯობესდა, რომლეთაგან სამი ფრანგ **ალენ ბერნარზე** მოდის.

მართალია, ბერნარმა ჩემპიონატის ბოლო დღეს რეკორდით ველარ გაგვაოცა, თუმცა 50 მეტრზე თავისუფალ სტილში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა და თავისი მონაგარი ორ ოქრომდე გაზარდა. შეგახსენებთ, რომ ბერნარმა წინა ოქრო ას მეტრზე თავისუფალში მოიპოვა და ამავე დისტანციაზე ორჯერ დაამყარა მსოფლიო რეკორდი.

ტურნირის ბოლო დღეს კი, ადგილობრივი მაყურებლის გასახარად, რეკორდით და მორიგი ტიტულით, თავი ჰოლანდელმა **მარლეენ ფელდჰუისმა** გამოიჩინა, რომელმაც 50 მეტრი თავისუფალი სტილით 24.09 წამში გაცურა და 0.04 წამით გააუმჯობესა რეკორდი, რომელიც მისმა სახელოვანმა თანამემამულე **ინგე დე ბრუინმა** სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადაზე დაამყარა. სხვათა შორის, ახალი რეკორდსმენი თავად დე ბრუინმა დააჯილდოვა.

*"ახლა თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ ქალებს შორის მსოფლიოში უსწრაფესი მოცურავე ვარ. ორმაგად სასიხარულო კი ისაა, რომ ამას თანამემამულეების წინაშე მივაღწიე. ნახევარფინალშიც ძალიან სწრაფი ვიყავი და მეგონა, რომ რეკორდს შევწვდებოდი, მაგრამ ცოტა დამაკლდა. ამჯერად კი მიზანს მაინც მივაღწიე"*, - განაცხადა ფელდჰუისმა, ვისაც ფინიშთან თითქმის ნახევარი წამით ჩამორჩა მისივე თანამემამულე **ჰინკელინ შროიდერი**. მხოლოდ ბრინჯაოს დასჯერდა ტიტულოვანი შვედი **ტერეზ ალშამარი**.

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატის პირველივე დღეს, ფელდჰუისმა თანაგუნდელებთან ერთად, 4X100 მეტრზე თავისუფალით ესტაფეტა მსოფლიო რეკორდით მოიგო, მერე კი 100 მეტრზე თავისუფალში ინდივიდუალურ ოქროსაც დაეუფლა.

ტურნირის ბოლო დღეს მსოფლიოს მეორე რეკორდი იტალიელი **ფედერიკა პელეგრინის** ანგარიშზეა, რომელმაც 400 მეტრი თავისუფალი სტილით 4 წუთსა და 01.53 წამში გაცურა და 0.20 წამი მოაკლო ძველ რეკორდს, რომელიც ორი წლის წინ ფრანგმა **ლორ მანოდუმ** დაამყარა. სხვათა შორის, პელეგრინი 200 მეტრზე თავისუფალშიც ფავორიტი იყო, მაგრამ ფალს სტარტის გამო, პირველივე ეტაპზე ჩარჩა.

*"რა თქმა უნდა, იმ დისკვალიფიკაციამ ჩემზე საშინლად იმოქმედა, მაგრამ რომ დავმშვიდდი, ეს მარცხი მოტივაციის დამატებით წყაროდ გამოვიყენე. დღეს რომ სტარტზე ვიდექი, ვიცოდი, რომ ოქროს მოპოვება შემეძლო, მაგრამ ასეთ შედეგს ნამდვილად არ ველოდი"*, - განაცხადა პელეგრინიმ.

400 მეტრზე შერეულ ინდივიდუალურ სტილში, ევროპის რეკორდით (4:09.59) გაიმარჯვა უნგრელმა **ლასლო ჩეჰმა**, ვისაც ამავე სტილით, 200 მეტრიც აქვს მოგებული.

ევროპის კიდევ ერთი რეკორდი ქალებს შორის 4X100 მეტრზე შერეული სტილით ესტაფეტაში დამყარდა. საუკეთესო შედეგი (3:59.33) ბრიტანელებმა აჩვენეს, არადა, პირველ ას მეტრზე რუსებს მსოფლიო რეკორდის გრაფიკი ჰქონდათ. სხვათა შორის, ბრიტანული ოთხეული სულ მეოთხე გუნდია, რომელმაც ეს დისტანცია ოთხ წუთზე ნაკლებში გაცურა.

სენსაციური გამოდგა ათმეტრიანი კოშკიდან მხტომელთა ასპარეზობა, სადაც მამაკაცებს შორის 13 წლის ბრიტანელმა ბიჭუნამ, **თომას დეილიმ** გაიმარჯვა. თანაც, ეს გამარჯვება მან ფაქტობრივად მეხუთე (ექვსიდან) ნახტომით გაინაღდა, რომელიც შვიდი მსაჯიდან სამმა მაქსიმალური, ათი ქულით შეუფასა.

*"ვინმეს ჩემთვის შობის დღესასწაულზე რომ ეთქვა, წელს ევროპის ჩემპიონი გახდებიო, თავიდან მოვიშორებდი. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ მე ნერვები არ მაქვს, მაგრამ ეს ასე არ არის. ნერვები მაქვს და თანაც, ძალიან მგრძნობიარე, მაგრამ ნახტომის შესრულებამდე, მათ მოთოკვას ვახერხებ"*, - ჩემპიონისთვის შესაფერისი თავდაჯერებით განაცხადა დეილიმ.

■ ■ ■

ევროპელი მოურავეები რომ კონტინენტის ჩემპიონატზე ასპარეზობდნენ, იმ დროს მათ ავსტრალიელ კოლეგებს სიდნეიში ოლიმპიური შიდა-შესარჩევი ტურნირი (იმავდროულად, ავსტრალიის ჩემპიონატი) ჰქონდათ, რომელზეც ასევე დამყარდა მსოფლიო რეკორდები. ყველაზე მეტად კი თავი **სტეფანი რაისმა** გამოიჩინა, ვინც ჯერ 400 მეტრზე შერეულ ინდივიდუალურში, ამერიკელი **კეიტი ჰოფის** ძველ რეკორდს 1.43 წამი მოაკლო და ახალი ნიშნული 4 წუთსა და 31.46 წამზე დააფიქსირა, შემდეგ კი 200 მეტრზე შერეულ ინდივიდუალურში, დისტანცია ორ წუთსა და 8.92 წამში გაცურა და 0.80 წამი მოაკლო ჩინელი **იან იან ვუს** მიერ 1997 წელს, შანხაიში დამყარებულ რეკორდს.

რაისის გარდა, თავი **ემილი სიბომმა** და **სოფი ედინგტონმაც** გამოიჩინეს. ჯერ სიბომმა 50 მეტრზე გულაღმა ცურვაში (არაოლიმპიური დისციპლინა) ფინიშს 27.95 წამში მიაღწია და ძველ რეკორდს 0.05 წამი მოაკლო, შემდეგ კი მისი რეკორდი ედინგტონმა გააუმჯობესა, რომელმაც დისტანცია 27.67 წამში გაცურა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ფორმულა 1.
ვარსკვლავი

რუბრიკას წარმოგიდგენთ
Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

Formula 1

# ალონსო რენოს დატოვებს?

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ესპანელი **ფერნანდო ალონსო** არ მალავს, რომ შესაძლოა, ამ სეზონის შემდეგ, "რენო" მიატოვოს, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ კონკურენტუნარიან გუნდში გამოჩნდება ადგილი. რა თქმა უნდა, ის ასეთ გუნდებს შორის არ გულისხმობს "მაკლარენს" და არაორაზროვნად მიანიშნებს, რომ "ფერარიში" გადასვლა სურს.

*"ჩემი ორივე ტიტული "რენოსთან" ერთად მოვიპოვე და როცა აქ ვბრუნდებოდი, იმედი მქონდა, რომ ტიტულისთვის ბრძოლის საშუალება, ამ სეზონში თუ არა, მერმის მაინც მექნებოდა. გუნდთან ორწლიანი კონტრაქტი მაქვს, მაგრამ იგივე კონტრაქტი იმის უფლებასაც მაძლევს, რომ ამ სეზონის ბოლოს ის დავარღვიო. რა თქმა უნდა, თუ წავალ, უკეთეს გუნდში, ასეთად კი, რა დასამალია, მხოლოდ "ფერარი" მეგულება"*, - ესპანურ გაზეთ "ას-თან" საუბარში განაცხადა ალონსომ.

შეგახსენებთ, რომ ზედიზედ ორი ტიტულის მოპოვების (2005 და 2006 წლებში) შემდეგ, ალონსომ შარშანდელი სეზონი "მაკლარენში" გაატარა, მაგრამ იქიდან სკანდალით წამოვიდა და ისევ "რენოს" დაუბრუნდა იმ იმედით, რომ ფრანგული გუნდი ახალი სეზონისთვის კარგად მოემზადბოდა. ესპანელმა "რენოსთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომელიც მას უფლებას აძლევს, ამ სეზონის ბოლოს თავადვე გადაწყვიტოს, დარჩება თუ არა გუნდში, რომელმაც ორჯერ მოაპოვებინა ჩემპიონის წოდება.

*"ამ ეტაპზე, ამაზე ლაპარაკი ნაადრევია, თუმცა ახლავე შემიძლია განვაცხადო, რომ თუ "რენოს" დავტოვებ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩემთვის ადგილი "ფერარიში" გამოინახება. ნახეთ, პირველ ორ ეტაპზე ფელიპეს (მასას) რა ცუდი შედეგები ჰქონდა. თანაც, ამის მიზეზი მისი შეცდომებია. ვინ იტყვის, რომ სეზონის ბოლოს "ფერარიში" მისი ადგილი არ გათავისუფლდება. ყოველ შემთხვევაში, ახლა ბევრი ლაპარაკობს, რომ თუ მან ასე გააგრძელა, მაშინ სხვა გუნდის ძებნა მოუწევს. ეს ვარაუდები ლოგიკურად იბადება, მაგრამ მერწმუნეთ, მათი განხილვა ამ ეტაპზე უაზრობაა"*, - ამბობს 26 წლის ესპანელი, ვისაც მოქმედ პილოტებს შორის, ყველაზე მეტი, 19 რბოლა აქვს მოგებული.

"ფერარის" თავის პილოტებთან - მსოფლიოს ფინელ ჩემპიონ **კიმი რაიკონენთან** და ბრაზილიელ **ფელიპე მასასთან** კონტრაქტები 2009 წლის ჩათვლით აქვს დადებული, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ იტალიური კომპანიის პრეზიდენტ **ლუკა დი მონტეძემოლოს** ალონსოს გადაბირება არაერთხელ უცდია. თუმცა, ძნელი სათქმელია, ახლა რა ჭკუაზეა გამოცდილი მენეჯერი, ვინც იმავდროულად, "ფიატის" პრეზიდენტიცაა.

ლუკა ალონსოს მაშინ ეტაპიჟებოდა, როცა მარანელოელთა რიგები მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა, გერმანელმა **მიხაელ შუმახერმა** დატოვა. მაშინ დი მონტეძემოლოს სურვილი, შუმახერის ადგილზე ალონსო მიეწვია, გასაგები იყო - ესპანელმა ხომ ზედიზედ ორჯერ აჯობა შუმახერს, ვისაც მანამდე, "ფერარისთან" ერთად, ზედიზედ ხუთი ტიტული ჰქონდა მოპოვებული.

მოკლედ, ალონსო ხვდება, რომ ამ სეზონში "რენოსთან" ერთად, თუნდაც ერთ გამარჯვებაზე ოცნებაც კი გამორიცხულია. ამის მიზეზს კი პირველი ორი ეტაპის შედეგები აძლევს. ავსტრალიაში, ქაოტურ რბოლაში მეოთხე ადგილი მხოლოდ იმის გამო ერგო, რომ რამდენიმე პილოტს პრობლემები შეექმნა. მალაიზიაში კი ის მერვე ადგილს დასჯერდა. თანაც, ორივე ეტაპის კვალიფიკაციაზე ათეულში შესვლაც კი უჭირდა.

*"პირველ ორ რბოლაზე ნაჩვენები შედეგები მეტნაკლებად მოსალოდნელი იყო. ვიცოდით, რომ მოწინავე რვაში გასვლა ძალიან გაგვიჭირდბოდა. მალაიზიაში მასას რბოლა რომ დაემთავრებინა, ქულებს ვერც მივიღებდით. რბოლაში ამდენი ინციდენტი რომ არ მომხდარიყო, კვალიფიკაცია მეცხრეზე უნდა დამესრულებინა, რბოლა კი - მერვეზე. ბარსელონამდე მანქანას გარკვეული მოდერნიზაცია ჩაუტარდება, მაგრამ პროგრესი სხვებისგანაცაა მოსალოდნელი. ასე რომ, ჩემპიონატის მსვლელობისას, ბევრი ცვლილება მოსალოდნელი არაა - თითქმის ყოველ სეზონში მსგავსი სურათი იხატება. რა პერსპექტივა გვექნება მომავალი სეზონისთვის, ამაზე კონკრეტული ლაპარაკი ალბათ ამ სეზონის მიწურულს იქნება შესაძლებელი"*, - ამბობს ალონსო.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## TV სპორტი

**საზოგადოებრივი მაუწყებელი**

23:45 ჩრ. ირლანდია-საქართველო (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
15:05 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:05 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:20 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
17:55 ევრო 2008. ტელეჟურნალი.
18:25 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
20:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:35 2:1 - საფეხბურთო ტოქშოუ.
21:20 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:20 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ლევერკუზენი.
00:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:20 90 წუთი - საფეხბურთო ტოქშოუ.
01:50 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 სპორტდოსიე.
08:56 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:13 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:08 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ედმონტონი-მინესოტა.
12:56 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. ფინალი. მარდი ფიში-ნოვაკ ჯოკოვიჩი. ინდიან უელსი. აშშ.
15:00 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
15:28 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
15:57 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-ხეტაფე.
17:41 ფეხბურთი. Barca TV.
17:48 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
18:18 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. რეინჯერსი-ფილადელფია.
20:06 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:46 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ლივერპული.
21:35 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
22:05 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
23:21 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ატლეტიკო.
01:18 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:55 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
02:09 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კოლამბუსი-ჩიკაგო (LIVE).
05:42 სპორტდოსიე.
06:12 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-ხეტაფე.

**EUROSPORT**

11:30 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. III დღე. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
13:30 ფეხბურთი.
14:00 ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-იტალია. კანადა.
15:30 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. III დღე. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
18:30 მულტისპორტი.
19:00 ფეხბურთი.
19:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ხორვატია-ჰოლანდია.
20:15 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. იტალია-პორტუგალია.
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 მულტისპორტი.
21:25 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
21:30 გოლფი. PGA-ს ტური.
22:30 გოლფი. ევროპის ტური.
23:00 გოლფ-კლუბი.
23:10 მულტისპორტი.
23:15 სპორტული კურორტი. ტელეჟურნალი.
23:30 ველოსპორტი (ტრეკი). მსოფლიო ჩემპიონატი. I დღე. მანჩესტერი. ინგლისი (LIVE).
02:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩები. მიმოხილვა.
03:00 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. III დღე. პეკინი. ჩინეთი.
04:15 სპორტული კურორტი. ტელეჟურნალი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ხორვატია-ჰოლანდია.
13:45 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ჩეხეთი-პოლონეთი.
14:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. თურქეთი-შვედეთი.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ხორვატია-ჰოლანდია.
17:45 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ჩეხეთი-პოლონეთი.
18:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. თურქეთი-შვედეთი.
19:15 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. სან ხოსე-კალგარი.
20:15 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მადრიდი. ესპანეთი.
21:15 ახალი ამბები.
21:30 ფრისტაილი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ბილიარდი.
00:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი.
01:00 პროფესიული კრივი. საშუალო წონა. ვ. სენჩენკო (უკრაინა)-ს. ზიმლევიჩი (პოლონეთი). დონეცკი. უკრაინა.
02:00 ახალი ამბები.

ჰოკეი

## 46 წლის ჩელიოსი წასვლას არ აპირებს

ჰოკეის ეროვნული ლიგის ყველაზე ასაკოვანი ჰოკეისტი, "დეტროიტ რედ უინგზის" მცველი **კრის ჩელიოსი** კლუბთან კიდევ ერთი წლით აპირებს კონტრაქტის გახანგრძლივებას.

*"მომწონს ის, რომ შემიძლია საკუთარი წვლილი შევიტანო გუნდურ წარმატებაში. ჩემი ასაკი კარგად ვიცი, უკვე გავჭაღარავდი კიდეც, მაგრამ თანაგუნდელებს შეუძლიათ ყოველთვის ჰქონდეთ ჩემი იმედი"*, - განაცხადა ამერიკელმა ლეგენდამ.

*"ჩვენ მას უკვე ვესაუბრეთ და თუ სეზონის ბოლო ნაწილი წარმატებული იქნება, დიდია ალბათობა იმისა, რომ კონტრაქტს ერთი წლით გავახანგრძლივებთ. ჩელიოსი ბრწყინვალედ მოქმედებს რიცხობრივი უმცირესობის დროს, ემოცია არ აკლია. ის ყველასთვის მისაბაძი მაგალითია"*, - ამბობს "რედ უინგზის" გენერალური მენეჯერი **კენ ჰოლანდი**.

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ევრო 2009** | |
| **UNDER 21** | |
| აზერბაიჯანი-იტალია | 0:2 |
| გერმანია-ლუქსემბურგი | 6:0 |
| ირლანდია-ჩერნოგორია | 1:1 |
| ესპანეთი-ყაზახეთი | 5:0 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ბელარუსი (U21)-ლიტვა (U21) | 2:0 |
| ინგლისი (U21)-პოლონეთი (U21) | 0:0 |
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| იორკი-ნორთვიჩი | 1:1 |
| **უელსი** | |
| ებერისტვიტი-ლანელი | 1:2 |
| ძერსოუსი-ნიუი | 1:2 |
| **შოტლანდია** | |
| **I დივიზიონი** | |
| სტირლინგი-დანფერმლაინი | 2:3 |
| სტ. ჯონსტონი-კლაიდი | 1:2 |
| **III დივიზიონი** | |
| ისტ სტირლინგი-დამბარტონი | 1:1 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ბელინცონა-კონკორდია | 2:0 |
| **უნგრეთის თასი** | |
| ვაშაში-ინტეგრალი | 1:2 |
| კაპოშვარი-დიოშდი | 3:0 |
| ჰონვედი-კაჭინბარჩიკა | 4:2 |
| **კალათბურთი** | |
| **იტალია** | |
| ვირტუსი-მონტეგრანარო | 89:78 |
| **საფრანგეთი** | |
| კლერმონი-პო ორტეზი | 88:94 |
| **ჰოკეი** | |
| **რუსეთი** | |
| მეტალურგი (მ)-ლოკომოტივი | 2:3 |
| **ჩეხეთი** | |
| კარლოვი ვარი-ბუდეიოვიცე | 4:0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

## კალათბურთი. NBA
### რეგულარული

**ბოსტონი–ფილადელფია 90:95**

28:22, 24:26, 19:18, 19:29

**ბოსტონი:** გარნეტი (18), პოუ (16+7 მოხსნა), რ. ალენი (14+6 პასი), პირსი (12), ჰაუსი (11).

**ფილადელფია:** იგუოდალა (28), მილერი (20+6 პასი), იანგი (16+9 მოხსნა), დალემბერი (6+12 მოხსნა).

**დეტროიტი–ფინიქსი 110:105 (ო)**

26:25, 25:25, 25:23, 20:23, 14:9

**დეტროიტი:** ბილაპსი (32), უოლასი (23+9 მოხსნა), სტაკი (13), პრინსი (11).

**ფინიქსი:** სტაუდმაიერი (33), ნეში (23+9 პასი), ჰილი (15+9 მოხსნა), ო'ნილი (12+10 მოხსნა).

**მაიამი–მილუოკი 78:73**

17:25, 15:12, 22:13, 24:23

**მაიამი:** ქუინი (24+4 ჩაჭრა), ენტონი (11+7 მოხსნა), ბარონი (11), დევისი (10), კუკი (10).

**მილუოკი:** რედი (24), ბონუტი (16+17 მოხსნა), უილიამსი (15), ვილანუევა (5+10 მოხსნა).

**ნიუ იორკი–ნიუ ჯერსი 91:106**

22:30, 23:26, 18:26, 28:24

**ნიუ იორკი:** კროუფორდი (26+8 პასი), რენდოლფი (17+8 მოხსნა), ჩენდლერი (13), ლი (12+13 მოხსნა).

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (27+7 პასი), ჯეფერსონი (26), კრსტიჩი (22), ბუნი (8+11 მოხსნა).

**მემფისი–დენვერი 106:120**

31:28, 26:23, 22:37, 27:32

**მემფისი:** გეი (30), უორიკი (29+7 მოხსნა), მილერი (19+14 მოხსნა), კრიტერტონი (14).

**დენვერი:** სმიტი (27), აივერსონი (26+7 პასი), ენტონი (23+9 მოხსნა), მარტინი (14+10 მოხსნა), კემბი (5+15 მოხსნა+7 დაფარება).

**ჰიუსტონი–საკრამენტო 108:100**

26:24, 27:25, 24:23, 31:28

**ჰიუსტონი:** ელსტონი (28), მაკგრეიდი (17), ბეტიე (15), სკოლა (11), ჰეიესი (10+7 მოხსნა).

**საკრამენტო:** მარტინი (18), არტესტი (17+6 პასი), გარსია (17), სალმონსი (15).

**სიეტლი–პორტლენდი 97:84**

21:25, 28:28, 22:10, 26:21

**სიეტლი:** დიურანი (23+9 მოხსნა), უილკინსი (20+7 მოხსნა), გრინი (16), რიდნური (15), კოლისონი (13+11 მოხსნა).

**პორტლენდი:** უებსტერი (22), აუთლო (13), როი (11), ოლდრიჯი (10), ჯეკი (10), ბლეიკი (7+9 პასი), პრჟიბილა (5+13 მოხსნა).

**გ. სტეიტი–ლეიკერსი 119:123 (ო)**

28:20, 35:32, 23:35, 25:24, 8:12

**გოლდენ სტეიტი:** დევისი (30+9 მოხსნა+7 პასი+4 ჩაჭრა), ჯექსონი (29+7 პასი), ჰარინგტონი (19+12 მოხსნა), ელისი (18+9 მოხსნა+9 პასი), აზუბუიკე (18+7 მოხსნა).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (30+11 მოხსნა+7 პასი), ოდომი (23+21 მოხსნა+5 დაფარება), ვუიაჩიჩი (19), ფიშერი (18), ტურიაფი (11+8 მოხსნა), რადმანოვიჩი (10).

### კვირის მოთამაშეები

გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად "ბოსტონ სელტიქსის" ფორვარდი **კევინ გარნეტი** და "ნიუ ორლეან ჰორნეთსის" მცველი **კრის პოლი** დასახელდნენ.

აღმოსავლეთის რჩეულმა გარნეტმა თავის გუნდს დასავლური ტურნეს ოთხი მატჩიდან სამში მოეგებინა. ჩემპიონატის ლიდერმა "დალასს", "ჰიუსტონსა" და "სან ანტონიოს" მოუგო. თავად გარნეტი ამ 4 მატჩში 20.5 ქულას, 11.0 მოხსნას და 2.0 ჩაჭრას აგროვებდა.

"ნიუ ორლეანმა" კრის პოლის დახმარებით კვირა წაუგებლად განვლო. გუნდის ლიდერმა სამ მატჩში 25.7 ქულას, 10.0 შედეგიან გადაცემას და 3.0 ჩაჭრას მოუყარა თავი.

| აღმოსავლეთი | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. x-ბოსტონი* | 70 | 55 | 15 | 78.6 |
| 2. x-დეტროიტი* | 70 | 50 | 20 | 71.4 |
| 3. x-ორლანდო* | 72 | 46 | 26 | 63.9 |
| 4. კლივლენდი | 71 | 40 | 31 | 56.3 |
| 5. ვაშინგტონი | 69 | 36 | 33 | 52.2 |
| 6. ფილადელფია | 71 | 36 | 35 | 50.7 |
| 7. ტორონტო | 70 | 35 | 35 | 50.0 |
| 8. ატლანტა | 69 | 30 | 39 | 43.5 |
| 9. ნიუ ჯერსი | 71 | 30 | 41 | 42.3 |
| 10. ინდიანა | 70 | 29 | 41 | 41.4 |
| 11. ჩიკაგო | 69 | 27 | 42 | 39.1 |
| 12. შარლოტი | 69 | 25 | 44 | 36.2 |
| 13. მილუოკი | 69 | 24 | 45 | 34.8 |
| 14. ნიუ იორკი | 70 | 19 | 51 | 27.1 |
| 15. მაიამი | 70 | 13 | 57 | 18.6 |

| დასავლეთი | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ნიუ ორლეანი* | 69 | 47 | 21 | 69.1 |
| 2. ლეიკერსი | 71 | 49 | 22 | 69.0 |
| 3. ჰიუსტონი | 71 | 48 | 23 | 67.6 |
| 4. იუტა* | 71 | 46 | 25 | 64.8 |
| 5. ფინიქსი* | 70 | 47 | 23 | 67.1 |
| 6. სან ანტონიო | 70 | 47 | 23 | 67.1 |
| 7. დალასი | 70 | 44 | 26 | 62.9 |
| 8. გ. სტეიტი | 70 | 43 | 27 | 61.4 |
| 9. დენვერი | 71 | 43 | 28 | 60.6 |
| 10. პორტლენდი | 71 | 37 | 34 | 52.1 |
| 11. საკრამენტო | 70 | 31 | 39 | 44.3 |
| 12. კლიპერსი | 69 | 21 | 48 | 30.4 |
| 13. მინესოტა | 69 | 18 | 51 | 26.1 |
| 14. მემფისი | 70 | 18 | 52 | 25.7 |
| 15. სიეტლი | 72 | 17 | 54 | 23.9 |

*x - გავიდა პლეიოფში*

## კალათბურთი. ინტერვიუ ლებრონ ჯეიმსთან

# ადრე ოლიმპიადა არ გვაინტერესებდა



ის ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მთავარი ვარსკვლავია. მას "მეფეს" და "რჩეულს" უწოდებენ. საშუალოდ მატჩში 30-ზე მეტ ქულას აგროვებს. უკვე აღარ ადარებენ მაიკლ ჯორდანს, რადგან ეს თემა მობეზრებულია და მას დამოუკიდებლად აფასებენ. მისი დიდება უკვე ყოველგვარ საზღვრებს გასცდა. მის ფოტოებს მოდური ჟურნალების ყდებზე ბეჭდავენ. მან 90-მილიონიანი კონტრაქტის გააფორმა "ნაიკთან. ის ორი შვილის მამაა.. რაც ყველაზე საინტერესოა, ჯერ მხოლოდ 23 წლისაა.

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის საუკეთესო ბომბარდირს, ლებრონ ჯეიმსს წელს კიდევ ერთი სიმაღლე ექნება დასაპყრობი - აგვისტოში მას და "დრიმ თიმს" პეკინის ოლიმპიადა ელით. სწორედ ამ თემით იწყება "კლივლენდის" ლიდერის ინტერვიუ.

**- ნაკრებში მისი ისტორიის ყველაზე რთულ და უარეს პერიოდში მიხვედით - წაგებული ოლიმპიადა, ჩაგდებული მსოფლიო ჩემპიონატი... რა ელოდება "დრიმ თიმს" წლევანდელ ოლიმპიადაზე?**

- ამერიკას ყოველთვის ერთი მიზანი აქვს - ოქრო. ასე იყო ამერიკული კალათბურთის მთელი ისტორიის მანძილზე და ასე იქნება ამჟამადაც. მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობთ. გარდა პირველისა, სხვა ადგილი არ დაგვაკმაყოფილებს. და ნუ ინერვიულებთ: ჩვენი გუნდის და მისი მწვრთნელების დონე ამ ამოცანას შეესაბამება.

**- წინა წლებში არ შეესაბამებოდა?**

- ჩემი აზრით, ადრე ვერ ვაცნობიერებდით საერთაშორისო ტურნირების მნიშვნელობას. ოლიმპიადები და მსოფლიო ჩემპიონატები იმაზე ნაკლებად გვაინტერესებდა, ვიდრე NBA-ის სეზონისთვის მზადება. ახლა კი გვესმის, რამდენად მნიშნელოვანია ოლიმპიადა, თანაც არა მარტო ამერიკული კალათბურთისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის. ნაკრების თამაშების მიმართ ჩვენი დამოკიდებულება შეიცვალა. ეს გასულ წელს, ლას ვეგასში გამართულ ამერიკის ჩემპიონატზეც იგრძნობოდა.

**.- აზრის შეცვლისკენ რამ გიბიძგათ? ნაკრების წაგებებმა თუ NBA-ში კლიმატის შეცვლამ?**

- ბევრმა რამემ. კულტურაც შეიცვალა და ახლა ნაკრებში მოთამაშეები სულ სხვა აზროვნებით მიდიან.

**- თქვენს გუნდში გამთამაშებლის პოზიციაზე უდიდესი კონკურენცია იქნება. როგორ ფიქრობთ, საბოლოოდ ვის აირჩევენ? ჯეისონ კიდს ვიხილავთ პეკინში?**

- დარწმუნებული ვარ, რომ ასე იქნება - ჯეისონი ხელშეუხებელია. ყოველთვის მონაწილეობს ვარსკვლავების მატჩებში და ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო პირველი ნომერია. აქ ფიქრიც კი არ არის საჭირო. კიდევ ვინ? ძნელი სათქმელია. კრის პოლი, დერონ უილიამსი, ჩონსი ბილაპსი... მოკლედ, მწვრთნელებს დიდი თავსატეხი ელით.

**- ვის მიიჩნევთ ოლიმპიადაზე მთავარ კონკურენტად?**

- ევროპაში და სამხრეთ ამერიკაში ძლიერი ნაკრებები არიან. მაგრამ მეტოქეებზე არ ვფიქრობთ და მათ ფავორიტებად და აუთსაიდერებად არ ვყოფთ. ამერიკის ნაკრები - აი ეს არის დანარჩენებისთვის მთავარი მოწინააღმდეგე!

■ ■ ■

**- NBA-ში გამოჩენისთანავე, ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო კალათბურთელად იქეცით. მაგრამ წელს, თქვენმა შედეგიანობამ ასტრონომიულ სიმაღლეებს მიაღწია. რა შეიცვალა თქვენს თამაშში?**

- ეს ის არის, რასაც "კომფორტის დონე" ეწოდება. მე მგონია, სწორედ ამ სიმაღლეზე გავედი. მოთამაშე გრძნობს, როდის წაუვიდეს ტყორცნა, როგორ აღმოჩნდეს საჭირო ადგილას, როგორ მისცეს თავის თავს წარმატების მიღწევის შანსი. ამისთვის დრო და დიდი პრაქტიკაა საჭირო. გამიმართლა იმ მხრივ, რომ როგორც კი ადრეულ ასაკში NBA-ში გადავედი, მაშინვე სასტარტო ხუთეულში მოვხვდი და ბევრი სათამაშო დრო მომცეს. ასეთ ფუფუნებაზე ბევრი ვერ იოცნებებს. ხოლო, რაც უფრო მეტს თამაშობს, მით უფრო გემატება დამაჯერებლობა. ახლა მე უფრო უკეთ ვგრძნობ ტყორცნას საშუალო დისტანციიდან, უკეთ მესმის, როგორ უნდა ვიმოქმედო ფარქვეშ.

**- ჯანმრთელობის მდგომარეობის მხრივ როგორ არის საქმე? მუხლები არ გაწუხებთ?**

- უკეთესადაც შეიძლება. მაგრამ ვთამაშობ. აი ჩემი დიაგნოზი.

■ ■ ■

**- ცოტა ხნის წინ, მოდურ ჟურნალ Vogue-ის გარეკანზე მოხვდით. ეს გამოცემა 100 წლისაა, მაგრამ აქამდე მსგავსი პატივი მხოლოდ ორ მამაკაცს - მსახიობებს რიჩარდ გირსა და ჯორჯ ქლუნის ერგოთ...**

- ეს ჩემთვისაც კარგია და მთლიანად კალათბურთისთვისაც. მე ჯანმრთელი, ლამაზი მამაკაცი ვარ, მოდას მივდევ, ამ სფეროში შესანიშნავად ვერკვევი. ასე რომ, სწორად მოიქცნენ, როცა მე და ჟიზელი (ჟიზელ ბუნდჰენი - ბრაზილიელი სუპერმოდელი და ამერიკული ფეხბურთის ვარსკვლავის, ტომ ბრედის მეგობარი - რედ.) მოდის შესახებ მსოფლიოში საუკეთესო ჟურნალის ყდისთვის ფოტოების გადასაღებად მიგვიწვიეს.

**- ტომ ბრედის უარი არ უთქვამს? ფოტოებზე თითქოს მის მეგობარ გოგონას ეხვევით.**

- ის გადაღებებს არ ესწრებოდა. თანაც რა პრეტენზია უნდა გასჩენოდა?! ფოტოსესია სულ რამდენიმე წუთი გაგრძელდა. გარდა ამისა, ჩვენ ამის შესახებ უკვე ველაპარაკეთ ერთმანეთს.

**- მოდების ჟურნალი, ჟიზელ ბუნდჰენი... იდეალური მასალაა გასახდელში ხუმრობისთვის. თანაგუნდელებს, ალბათ, უკვე მიზანში ჰყავხართ ამოღებული...**

- ჟურნალი ჯერ არ გამოსულა. ვნახოთ. ვფიქრობ, ის ბიჭები, რომლებიც მოდაში კარგად ერკვევიან, გამიგებენ და დადებითად შეაფასებენ ამ ყველაფერს. ხოლო ისინი, რომლებიც ვერ ერკვევიან - მახვილგონივრულობაში წაივარჯიშებენ. აი მაგალითად, დეიმონ ჯონსი აღფრთოვანებული დარჩება. ის მოდის აქტიური მიმდევარია.

**- თავის დროზე, NBA-ის მთავარი კომპნია შაკილ ო'ნილი იყო. როგორ ფიქრობთ, ის უკან ჩამოიტოვეთ?**

- არ ვიცი. ვფიქრობ, მე და შაკს განსხვავებული სტილი გვაქვს. მის გარდერობში არ შემიხედავს. რაც მთავარია, საკუთარი გემოვნებით ძალიან ვამაყობ.

**გია თვალაბეიშვილი**

## ჰოკეი. NHL
### რეგულარული

**აილენდერსი–პიტსბურგი 4:1**

1:1, 2:0, 1:1

**გოლები:** 1:0 პარკი-10 (ოკსპო-2, სპილერი-1), 1:1 სიკორა-28 (ტ. კენედი-9, ტეფი-7). 2:1 გერინი-23 (ვაშიჩეკი-19, მარტინეკი-14), 3:1 ბერგენჰაიმი-10 (გერინი-19, შატანი-24), 4:1 ჰანტერი-12 (შატანი-25, ტამბელინი-3).

**მონრეალი–ოტავა 7:5**

3:0, 4:1, 0:4

**გოლები:** 1:0 ა. კოსტიცინი-24 (პლეკანეცი-39, ჰამრლიკი-20), 2:0 ჰიგინსი-23 (ლაპიერი-8), 3:0 ა. კოსტიცინი-25 (მტრაიტი-43, კოვალიოვი-45), 3:1 ვერმეტი-19 (რ. რობიტაილი-18, მ. ლაპოინტი-6), 4:1 ბუიონი-2 (სმოლინსკი-16), 5:1 მარკოვი-16 (რაიდერი-16, კოვალიოვი-46), 6:1 გრაბოვსკი-3 (ს. კოსტიცინი-17), 7:1 კოსტოპულოსი-6 (მარკოვი-41, ლაპიერი-9), 7:2 ჰიტლი-38 (ალფრედსონი-44, რიჩარდსონი-7), 7:3 ლაპოინტი-6 (დონოვანი-5, რ. რობიტაილი-19), 7:4 ჰიტლი-39 (კომოდორი-11, ალფრედსონი-45), 7:5 სპეცა-32 (სტილმანი-39, ალფრედსონი-46).

**კოლორადო–კალგარი 2:0**

0:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ლეოპოლდი-4 (ფორსბურგი-3, ვოლსკი-27), 2:0 ჰეიდუკი-24 (პ. შჩასტნი-43, რ. სმიტი-22).

**ედმონტონი–მინესოტა 5:3**

3:1, 2:1, 0:1

**გოლები:** 1:0 გლენკროსი-12 (ბროძიაკი-14, სტორტინი-9), 2:0 კოლიანო-17 (რ. ნილსონი-28, გილბერტი-19), 3:0 პენერი-22 (პემსკი-48, სტოლი-21), 3:1 შულტცი-2 (პეროში14, შეპარდი-15), 4:1 ბროძიაკი-14, 4:2 ჰილი-1 (ბელანჟე-24), 5:2 კოლიანო-18 (სემგანიე-36, რ. ნილსონი-29), 5:3 ფედორუკი-4 (სკოულა-8, ჰილი-5).

### კვირის სამი ვარსკვლავი

"ვაშინგტონი უიზარდსის" რუსი ლეგიონერი **ალექსანდრ ოვეჩკინი** გასული კვირის პირველი ვარსკვლავი გახდა. "ტორონტოს" ფინელ მეკარე **ვესა ტოსკალას** მეორე ვარსკვლავის სტატუსი ერგო, ხოლო მესამე ვარსკვლავია "ფილადელფიას" ფორვარდი **დანიელ ბრიერი**.

ოვეჩკინმა ბოლო სამ კვირაში მეორედ მოიპოვა ეს ტიტული. რუსმა გასულ შვიდ დღეში 7 ქულა (3 გოლი+4 შედეგიანი პასი) დააგროვა - ყველაზე მეტი ლიგაში. ოვეჩკინს რეგულარულში 60 გოლი დაუგროვდა. უკანასკნელად ეს ზღვარი სეზონში "პიტსბურგის" ფორვარდებმა **მარიო ლემიემ** და **იარომირ იაგრმა** გადალახეს. ეს 1995-96 წლებში მოხდა.

"ტორონტომ" გასულ კვირას სამივე შეხვედრა მოიგო. ტოსკალა საშუალოდ 2.00 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 94.0 პროცენტს იგერიებდა.

ბრიერმა სამ მატჩში 6 ქულის (3+3) მოხვეჭა შეძლო.

| აღმოსავლეთი | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. x-მონრეალი | 77 | 43 | 24 | 10 | 96 |
| 2. პიტსბურგი | 76 | 43 | 26 | 7 | 93 |
| 3. კაროლინა | 76 | 41 | 30 | 5 | 87 |
| 4. ნიუ ჯერსი | 75 | 42 | 26 | 7 | 91 |
| 5. ოტავა | 76 | 41 | 28 | 7 | 89 |
| 6. რეინჯერსი | 75 | 39 | 26 | 10 | 88 |
| 7. ფილადელფია | 76 | 38 | 28 | 10 | 86 |
| 8. ბოსტონი | 75 | 37 | 28 | 10 | 84 |
| 9. ვაშინგტონი | 76 | 37 | 31 | 8 | 82 |
| 10. ბაფალო | 75 | 35 | 29 | 11 | 81 |
| 11. ფლორიდა | 76 | 36 | 31 | 9 | 81 |
| 12. ტორონტო | 76 | 35 | 31 | 10 | 80 |
| 13. აილენდერსი | 77 | 34 | 36 | 7 | 75 |
| 14. ატლანტა | 77 | 31 | 38 | 8 | 70 |
| 15. ტამპა ბეი | 75 | 29 | 38 | 8 | 66 |

| დასავლეთი | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. y-დეტროიტი | 76 | 50 | 20 | 6 | 106 |
| 2. x-სან ხოსე | 75 | 45 | 21 | 9 | 99 |
| 3. მინესოტა | 77 | 40 | 28 | 9 | 89 |
| 4. x-ანაჰაიმი | 77 | 43 | 26 | 8 | 94 |
| 5. დალასი | 76 | 42 | 29 | 5 | 89 |
| 6. კალგარი | 76 | 39 | 27 | 10 | 88 |
| 7. ვანკუვერი | 75 | 38 | 27 | 10 | 86 |
| 8. კოლორადო | 77 | 40 | 31 | 6 | 86 |
| 9. ედმონტონი | 77 | 39 | 33 | 5 | 83 |
| 10. ნეშვილი | 76 | 37 | 31 | 8 | 82 |
| 11. ჩიკაგო | 76 | 36 | 32 | 8 | 80 |
| 12. ფინიქსი | 76 | 36 | 34 | 6 | 78 |
| 13. კოლამბუსი | 75 | 33 | 31 | 11 | 77 |
| 14. სტ. ლუისი | 75 | 30 | 33 | 12 | 72 |
| 15. ლოს ანჯელესი | 76 | 30 | 40 | 6 | 66 |

*y - დივიზიონის ჩემპიონი; x - გავიდა პლეიოფში*

| ბომბარდირები (გოლი+პასი) | |
|---|---|
| ოვეჩკინი (ვაშ) | 106 (60+46) |
| მალკინი (პიტ) | 102 (44+58) |
| იგინლა (კალ) | 91 (48+43) |
| დაციუკი (დეტ) | 90 (31+59) |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 89 (40+49) |
| სპეცა (ოტა) | 87 (32+55) |
| ზეტერბერგი (დეტ) | 85 (40+45) |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 85 (21+64) |

| გოლეადორები | |
|---|---|
| ოვეჩკინი (ვაშ) | 60 |
| კოვალჩუკი (ატლ) | 50 |
| იგინლა (კალ) | 48 |
| მალკინი (პიტ) | 44 |
| ზეტერბერგი (დეტ) | 40 |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 40 |
| ჰიტლი (ოტა) | 39 |

| ასისტენტები | |
|---|---|
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 64 |
| სავარი (ბოს) | 63 |
| დაციუკი (დეტ) | 59 |
| მალკინი (პიტ) | 58 |
| ლიდსტრომი (დეტ) | 57 |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 56 |
| სპეცა (ოტა) | 55 |
| ჰ. სედინი (ვან) | 55 |